ი. შტეინბერგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ. 75 კ.

ინდოეთი

სახელგამი
1931

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ფ ტ ე ი ნ ბ ე რ გ ი

F 6320 K36.817 K5.207
2 2 2
K14.251 K26.915
2 2

ი ნ დ ო ე თ ი

ს ა ხ ა ლ გ ა ზ ე თ ი

ტ ფ ი ლ ი ს ი

1 9 3 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგამის 1-ლი სტამბა პლეხანოვის გამზირი № 91.

მთავლიტი № 2123. შეკვ. № 825. ტირაჟი 4000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული ცნობები.

ინდოეთი წარმოადგენს ვეებერთელა ნახევარკუნძულს 4.350 ათას კვ. კილომეტრის სივრცით. ამ ნახევარკუნძულს სხვანაირად ინდოსტანს უწოდებენ, რაც სპარსულად „ინდოელების მიწა“-ს ნიშნავს. მას გარს არტყია ინდოეთის ოკეანე და უძველესი დროიდანვე იქცევდა ვაჭრებისა და ავანტიურისტების ყურადღებას, რომლებმაც მის შესახებ შექმნეს წარმოდგენა, როგორც მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო მდიდარ მხარეზე.

მაგრამ პირველი, რაც ინდოეთში მისვლისას თვალში გეცემათ, ესაა მისი აუწერელი სიღარიბე. ინდოელი რაჯების სიმდიდრის, ბრილიანტის ფარღულების, ქათმის კვერცხის ოდენა და კიდევ უფრო მოზრდილ ზურმუხტთა შესახებ მოთხრობების წაკითხვის შემდეგ გადიხართ მადრასის, ბომბეის ან კალკუტის ნავსადგურში და გაკვირვებით უცქერით უმეცარ, ჭუჭყიან ბრბოს, საშინლად მყრალ ძონძებში, რომლებიც მოწყალებას თხოულობენ და ალბათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ თავისი ქვეყნის ზღაპრულ სიმდიდრეზე.

დანარჩენი ქვეყნისაგან ინდოეთს ყოფს ჰიმალაის უზარმაზარი ქედი, რომლის გადალახვა შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ წლის განსაზღვრულ დროში და ისიც მეტად მცირერიცხოვანი ულელტეხილებით და ბილიკებით, რომელსაც მხოლოდ გამყოლები თუ იცნობენ კარგად.

გარეშე ქვეყნისაგან განკერძოება ხელს უწყობდა ამ მხარეში ისეთ ძველ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა შენარჩუნებას, როგორიცაა კასტა და რომელიც დიდი ხანია გაქრა ევროპაში.

18 ათასი კილომეტრის გასწვრივ ინდოეთის საზღვარს ინდოეთის ოკეანე შეადგენს, რომელიც ყოველი მხრიდან აკრავს მის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილს. ჩრდილოეთ ინდოეთს აქვს ხმელეთის საზღვრები. ჩრდილოეთ ჰიმალაის იქეთა მხარეზე ინდოეთის მეზობლებია ტიბეტი და დასავლეთი ჩინეთი. აღმოსავლეთით ინდოეთს საზღვრავს სამხრეთ ჩინეთი, მაგრამ მისგან თითქმის გადაუვალი მთებით განიყოფება. როცა სამხრეთ ჩინეთში აჯანყებამ მწვავე რევოლიუციონური ხასიათი მიიღო, ინგლისის მთავრობამ ინდოეთ-ინგლისის საზღვარზე მრავალი ექსპედიცია გაგზავნა, რომ ამით ხელი შეეშალა ჩინეთის რევოლიუციონერებისთვის ინდოეთის რევოლიუციონურ მოძრაობას დაკავშირებოდენ.

ჩრდილოეთ-დასავლეთით ინდოეთს ავღანისტანი საზღვრავს. დასავლეთის საზღვარი ინდოეთისათვის ყოველთვის საბედისწერო იყო. ყველა დამპყრობელები ამ ქვეყანაში მხოლოდ დასავლეთიდან მოდი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოდა, რადგან ინდოეთისა და სხვა ქვეყნების საზღვარზე მთებს აქვთ სწორედ ამ მხრიდან ადვილად გადასალახავი უღელტეხილები.

განსაკუთრებით ცნობილია ბოლანის გზა, რომლითაც მიდიოდა ინდოეთში ალექსანდრე მაკედონელი, და ხეიბერის გზა, რომლითაც თავს ესხმოდენ ინდოეთს ავღანელები და სპარსელები.

დღეს ორივე გზა ინგლისელების ხელშია, რომლებმაც გაამაგრეს ის უახლესი დროის ტეხნიკური საშუალებებით. ინდოეთის მოსაზღვრე ავღანისტანმა 1919 წ. გამოაცხადა თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თავისუფლად ინგლისის მზრუნველობა-მფარველობისაგან და ინდოეთის მეგობარი გახდა.

თავის დასავლეთ საზღვრიდან ინდოეთი ყველაზე უფრო ს. ს. რ. კავშირთან არის ახლო. ჩრდილოეთ-დასავლეთის კუთხეში ორივე ქვეყანა დაშორებულია ურთიერთისაგან მხოლოდ ავღანისტანის პროვინციის კახანის ვიწრო ზოლით.

ამგვარად ინდოეთი დაცულია ყოველი მხრიდან მთებით და ოკეანეებით; მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის მხარე წარმოადგენდა ძველი დროიდანვე მის სუსტ ადგილს.

ზედაპირის აგებულობის მიხედვით ინდოეთი შეიძლება ოთხ ნაწილად გაიყოს:

ჰიმალაის ზონა, რომელიც გაჭიმულია სპარსეთის ყურედან ბენგალიის ყურემდე. აქ მრავალი მაღალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთაა, რომელთა შორის პირველი ადგილი ჰიმალაის ქედს ეკუთვნის. ისინი ჰყოფენ ინდოეთს დანარჩენი ქვეყნებისგან, მათ ფერდობებზე იზრდება უდიდესი ტყეები; დაბლობები კი თესვისთვის იხვნება.

მის სამხრეთით იმყოფება ე. წ. ჩრდილო ინდოეთი, რომელიც უმთავრესად მდინარე ინდის და განგის აუზებისაგან შედგება და ქვეყნის ყველაზე უფრო მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს წარმოადგენს.

აქ იმყოფება ყველაზე ნაყოფიერი პროვინციები პენჯაბი, ბენგალი და შეერთებული პროვინციები, რომელთა წყალობითაც ინდოეთმა მსოფლიოს ბეღელის სახელწოდება მიიღო.

უფრო სამხრეთით იმყოფება მშრალი ოლქები და ცენტრალური ინდოეთის უდაბნოები — დეკანის ზეგანით და ჰატის მთებით. სამხრეთით იმყოფება სუბტროპიკული ნაწილი ორანჟერეების მსგავსი დაბლობებით, ზღვის თბილი ქარებით.

ინდოეთის მთავარი მთის მასივის — ჰიმალაის — წყალობით ინდოეთს აქვს მდინარეები და ნაყოფიერი ნიადაგი. ჰიმალაის მთებს მთლიანად უჭირავს ერთად აღებული დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და ავსტრიის ოდენა სივრცე. ჰიმალაის შემდეგ სიდიდის მხრივ მეორე ადგილი ჰატებს ეკუთვნის. ამ მთებს უჭირავთ 1.500 ათასი კვ. კილომეტრის სივრცე, 15 მილიონი მოსახლეობით. ჰატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს „კიბეებს“; ეს მთები საფეხურებით მიიმართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ინდოეთის ოკეანეს სანაპიროების პარალელურად.

ჰიმალაიდან სათავეს იღებენ ისეთი უდიდესი მდინარეები, როგორიცაა ინდი, ბრამაპუტრა და ვანგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უამრავ პატარა მდინარეს.

ჰატებიდან გამომდინარეობს: გოდავარი, კრიშნა და კავერი, რომლებიც ბენგალიის ყურეს ერთვიან.

ინდოეთში არის აგრეთვე უფრო ნაკლები მნიშვნელობის მდინარეებიც. საერთოდ მდინარეების რაოდენობა ინდოეთის ტერიტორიაზე საკმარისი არაა, და ის რაიონები, სადაც მდინარეები არ მოიპოვება, უშუალოდ წვიმებზეა დამოკიდებული.

მორწყვის მიხედვით ინდოეთში შეიძლება გავარჩიოთ სამი რაიონი: **ჩრდილო რაიონები**, რომლებიც წყალს იღებენ მდინარეებისა და გამდნარი თოვლისაგან, **ცენტრალური და დასავლეთის რაიონები**, რომლებიც თითქმის სავსებით დამოკიდებული არიან წვიმებზე და სარგებლობენ ხელოვნური რწყვით, და **სამხრეთის რაიონები** (მათ ნაწილობრივ შეიძლება მიეკუთვნოს **აღმოსავლეთის** რაიონებიც), რომელთაც მდინარეები აქვთ, მხოლოდ საკმაო რაოდენობით კი არა.

ამგვარად ინდოეთის საგრძნობი ნაწილის მიწათმოქმედება წვიმებზეა დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთში ჰქრის ორი მუსონი — ქარები, რომელთაც გვალვიან რაიონებში მოაქვთ სინესტე: სამხრეთ დასავლეთისა ჰქრის ივნისიდან სექტემბრამდე და ჩრდილო-აღმოსავლეთისა ოქტომბრიდან დეკემბრამდე.

სამხრეთ დასავლეთის მუსონი იჭრება ინდოეთში ორი მხრიდან: ბენგალიის ყურედან და არაბეთის ზღვიდან.

ჰაერის მდინარებას არაბეთის ზღვიდან მიაქვს სინესტე ინდოეთის ოკეანესა და დასავლეთ ჰატებს შორის მდებარე ტერიტორიისათვის და აღწევს თავისი წვიმებით ცენტრალურ ინდოეთამდე.

ჰაერის მდინარება ბენგალიის ყურედან რწყავს ბირმას, ასამს, ბენგალიას და განგის დაბლობებს. განსაზღვრული დროის განმავლობაში ორივე მდინარება ერთდება და რწყავს პენჯაბს და დასავლეთ ჰიმალაის რაიონებს.

ჩრდილო-დასავლეთის მუსონი რწყავს მადრასსა და მაისორის პლატოს დასავლეთ ჰატებამდე. მთელ რიგ რაიონებს უჭირავთ ისეთი მოხერხებული ადგილი, რომ წვიმებს იღებენ ორივე მუსონისაგან. სამაგიეროდ არის ისეთი რაიონებიც, რომლებამდეც ვერ აღწევს წვიმები ვერცერთი მუსონიდან და ხასიათდებიან მუდმივი მოუსავლობით. პერიოდული წვიმები, რომლებიც მუსონებს მოაქვთ, დიდ როლს თამაშობს ინდოეთის მეურნეობაში, რადგანაც ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო შეფარდებულია მათ დაწყებასთან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთოდ ინდოეთში ნოტიო არათანაბრად ნაწილდება. იმ რაიონების გვერდით, რომლებიც მდიდარია მდინარეებით და ირწყვება პერიოდული წვიმებით, როგორიცაა ასამი, არსებობს ისეთი ოლქები დასავლეთში, როგორიცაა სინდი, სადაც ნალექები წლის განმავლობაში 8 სანტიმეტრს უდრის.

ინდოეთის ჰავა მეტად მრავალფეროვანია. სამხრეთ-ინდოეთი მდებარეობს ეკვატორიალურ მხარეში, ჩრდილო რაიონებს კი უჭირავთ ე. წ. ზომიერი სარტყელის მე-12 გრადუსი, რომელიც შეეფარდება ჩვენს საშუალო ზოლს.

მიუხედავად ჰავის ასეთი დიდი სხვადასხვაობისა, ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ მისი ორგვარი გარკვეული ტიპი: რაიონები, სადაც ძლიერ სიცხეებს ძლიერი სიცივეები სცვლის — ინდოეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში, როგორც, მაგალითად, პენჯაბი და სინდი; რაიონები, სადაც მთელი წლის განმავლობაში რჩება მაღალი ტემპერატურა, ძალიან მცირე დაწევით ზამთრის წვიმიან პერიოდში, რასაც ადგილი აქვს ცენტრალურ და სამხრეთ ინდოეთში. ზომიერი ჰავა მოდის უმთავრესად ჰიმალაის ზონაზე, რომელსაც საგარაკო ადგილებად იყენებენ ინდოელი მდიდრები და ინგლისის ადმინისტრაცია.

კლიმატიური პირობების სხვადასხვაობა გავლენას ახდენს ინდოეთის მცენარეულობაზე. ჩრდილოეთით — ნაძვი, კედრი, ბალახფიჭვი, დაბალი ბუჩქები და ბა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლახი, ვეებერთელა ფართოფოთლებიანი პალმები, ხელუხლებელი ტყეები, გაუვალი ტევრებით, სავსე მაიმუნებით, თუთიყუშებით და გველებით, გიგანტური ბუჩქნარები უცხო, ბრჭყვიალა ყვავილებით, ორხიდეები, ატეხილი ბამბუკი და მრავალი სხვა; ყველაფერი ეს არის ინდოეთში ახლაც, მაგრამ მხოლოდ მეტად ვიწრო ტერიტორიაზე კალკუტასა და პონდიშერს შუა, სამხრეთის მდინარეების ჭაობიან დელტებში. გაუვალი ტყეები გვხვდება ცენტრალური ინდოეთის ზოგიერთ ადგილებშიაც, რომელნიც აუტანელი ცხელი ჰავისა და ციების გამო თხლად არიან დასახლებულნი.

ინდოეთის პეიზაჟი არაა მხატვრული. ხორბლის, ფეტვის, ქერის, მდოგვის დაუსრულებელი მინდვრები, ბამბისა და ბრინჯის ამწვანებული სივრცეები, თამბაქოს ვიწრო ზოლები. ჯუნგლი ინდოელ გლეხს დაუმუშავებელ მიწად მიაჩნია, რომელიც სიცხისგან გამხმარი ხეებით და სქელი ეკლნარებითაა დაფარული.

ვეფხები, პანტერები, ლეოპარდები, აფთრები, სპილოები და გველები ინდოეთში დღემდე მოიპოვებიან, მაგრამ ისინი გახიზნული არიან შორს უდაბნოებსა და ხელუხლებელ ტყეებში, საიდანაც თავს ესხმიან უახლოეს სოფლებს და იტაცებენ ცხოველებს. გლეხის ჩივილი მტაცებლების შესახებ უშედეგოდ რჩება. ვ ფხს ინახავენ რომელიმე სიზეიმო ნადირობისათვის. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვთ გლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხებისათვის გარეულ ღორებს, რომლებიც ღუპავენ ნათესების დიდ სივრცეებს. ხდება ისეც, რომ გლეხებს ოფიციალურად უკრძალავენ მათ განადგურებას, რადგან გარეულ ღორებზე ნადირობა ითვლება საუკეთესო გასართობად, რომლითაც ინგლისელი და ინდოელი მაგნატები უმასპინძლდებიან თავის სტუმრებს. შინაური ცხოველის როლს ინდოეთში კამეჩი და აქლემი ასრულებს, სამხრეთში კი—სპილო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდოეთის მოსახლეობა.

ინდოეთის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა მოხდა 1921 წელს. ამ აღწერის ცნობების მიხედვით, ინდოეთში ცხოვრობს 318.942.480 კაცი. მათგან ბრიტანეთის ინდოეთზე მოდის 247.003.293 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 77%, ხოლო მკვიდრთა სახელმწიფოებზე მოდის 71.939.187 კაცი, ე. ი. მთელი მოსახლეობის 23%.

ინდოეთი — სოფლების ქვეყანაა. მის ქალაქებში ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 10%. აქამდე მოიპოვება ისეთი მივარდნილი კუთხეები, სადაც, სხვა თეთრკანიანებზე რომ არ ვილაპარაკოთ, არცერთ ინგლისელს არ გაუვლია.

ისე, როგორც გეოგრაფიულის მხრივ, ინდოეთი წარმოადგენს მთელ რიგ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოლქებს, როგორც ჰავის, ისე ბუნების მხრივ, ასევე მისი მოსახლეობაც არ არის ერთგვარი და ერთ ენაზე მოლაპარაკე.

მოსახლეობის ეს არაერთგვაროობა ინგლისელებს ჩვეულებრივ მთავარ არგუმენტად მოჰყავთ ხოლმე ინდოეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნის წინააღმდეგ. როგორც კი დაისმება ინდოეთის თვითმმართველობის საკითხი, მაშინვე იმეორებენ ფრაზებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთში არსებული ცხრა რელიგიისა და 130 სხვადასხვა ენის შესახებ. „როგორ შექმნიან ისინი თვითმმართველობას, — აცხადებს ინგლისის მთავრობა, — როცა ვერც კი გაიგებენ ერთმანეთისას, ხუმრობა ხომ არ არის 130 სხვადასხვა ენა და ცხრა სარწმუნოება, რომ არაფერი ვთქვათ რამდენიმე მეორეხარისხოვან კულტზე. მიეცით ინდოელებს თავისუფალი არსებობა, და ინდოეთი, როგორც მთლიანი სახელმწიფო, დაუყოვნებლივ შესწყვეტს არსებობას“.

ყველაფერი ეს ძალზე გადაჭარბებულია. 130 სხვადასხვა ენა ინდოეთში არ არის. არის მხოლოდ 12 ენა, რომელთაგანაც სამი უკვე მოკვდა. ამავე დროს მთელს მოსახლეობას (მადრასის პროვინციაში მცხოვრები რამდენიმე მილიონის გამოკლებით) ესმის ინდოსტანის ენა. ის, რასაც ინგლისელები ნათლავენ 130 ენად, არის არც მეტი, არც ნაკლები — სხვადასხვა რაიონისა და პროვინციების კილოკავები. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიის შესახებაც. ინდოეთში არის მხოლოდ ორი გაბატონებული რელიგია: ინდუიზმი ანუ ბრამანიზმი, რელიგია ოდესღაც მუსულმანების მიერ დაპყრობილ ინდოეთისა, რომელსაც მისდევს 216 მილ. მცხოვრები, და მაჰმადიანობა. დანარჩენი კულტი არაა ყურადღების ღირსი, რადგან მათ მიმდევართა რიცხვი ათეული ათასებით განისაზღვრება. დამოკიდებულება ორი მთავარი კულტის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდევართა შორის ყოველთვის მშვიდობიანი არაა. ისინი იმყოფებიან სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში, რომელიც ჯერ კიდევ მუსულმანების ინდოეთში შეჭრის დროიდან შეიქმნა.

მათ მტრობას ხელოვნურად აღვივებენ ინგლისელები საკუთარი ინტერესებისათვის. ინგლისის. მთავრობა თვითონ აქეზებს ინდუსებს მუსულმანების წინააღმდეგ და თვითონვე გაჰკივის მთლიანი ნაციონალური გრძნობის უქონლობაზე ინდოეთის მოსახლეობაში.

ინდოეთში მოსახლეობის განაწილებაზე მრავალი ფაქტი ახდენდა გავლენას. მთავარია ეკონომიური პირობები, რამაც ხალხის უფრო მჭიდროდ დასახლება გამოიწვია იქ, სადაც ნიადაგი და ნალექები ხელს უწყობდა მიწათმოქმედებას, და ისტორიული მიზეზები, რომლებმაც გავლენა მოახდინა სხვათა შორის ინდოეთში რელიგიური თემების განაწილებაზეც. ჩრდილო-დასავლეთიდან მოსული მაჰმადიანები დამკვიდრდენ უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთის სანაპირო პროვინციებში, პენჯაბში, ბენგალიისა და სინდის აღმოსავლეთ ნაწილში. ინდუსები ცხოვრობენ უმთავრესად ინდოეთის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში. დანარჩენი რელიგიური უმცირესობანი გაფანტული არიან მთელს ინდოეთში, ბუდისტების გამოკლებით, რომლებიც თითქმის მხოლოდ ბირმაში ცხოვრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასები და კასტები

როცა ამ ას ორმოცდაათი წლის წინად ინგლისელები შეიჭრენ ინდოეთში, — იქ მათ კასტური წყობილება დახვდათ. მთელს ინდოეთს ჰკვებავდა პატრიარქალური სოფელი, რომელსაც ყვლეფდენ: ფეოდალი რაჯები (თავადები), მიწათმფლობელი ზამინდარები, სახელმწიფოს მოხელენი და გადასახადის ამკრეფნი. ინგლისი ამ ფეოდალურ სამეფოში შეიჭრა ვაჭრის სახით, როგორც გამყიდველი და შემყიდველი, და თავისი იაფი საფაბრიკო საქონელით საძირკველი შეურყია ძველ ხელოსნობას.

იმათ შემოიღეს ფულის სისტემა; ამან მოსპო ნატურალური მეურნეობა, რომლის დროსაც როგორც ხელოსანი, ისე ფეოდალი ყველაფერს ნატურით ღებულობდა. ამავე დროს ინგლისელებმა საფუძველი შეურყიეს კასტურ წყობილებას.

ინდუიზმის მორწმუნე ნაწილი ინდოეთის მოსახლეობისა გაყოფილია სოციალურ ჯგუფებად, რომელთაც კასტები ეწოდება. კასტების წარმოშობის საკითხი დღემდე დიდ დავას იწვევს. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ თავდაპირველად ინდოეთში არსებობდა ოთხი კასტა: ბრამინები — ქურუმები, კშატრიები — მეომრები, ვაისია — მიწათმოქმედნი და შუდრა — ხელოსნები. ეს იყო ნამდვილი კლასობრივი დაყოფა, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ მონათმფლობელურ ინდოეთში და რომელიც შეიქმნა გამარჯვებულთა დამარცხებულებისადმი დამოკიდებულების ზეგავლენით. პირველი ორი კასტა გამარჯვებულთა კასტა იყო, რომელთაც დაიპყრეს ინდოეთი. დანარჩენი კასტები დამარცხებულთა კასტებს წარმოადგენდენ.

ეს კასტები ჩვენს ერამდე არსებობდენ. ზოგიერთი მეცნიერის უსაფუძვლო მოსაზრებით, ისინი წარმოიშვენ კანის ფერის სხვადასხვაობის ნიადაგზე: თითქოს კანის ფერი სავალდებულოდ ხდიდა ამა თუ იმ წესების შესრულებას საჭმლის მიღებისა და ქორწინების დროს.

ისტორიული ცნობების მიხედვით, ამ წესებს ძველ დროში არ ასრულებდენ და კასტაც ინდოეთში არც ისე დიდი ხანია, რაც წარმოიშვა.

ის შემოვიდა სპარსეთიდან. შემოღებულ იქნა ბრამინების მიერ, რომელთაც გამოიყენეს უპირატესობა, რომელსაც კასტების სპარსული დაყოფა აძლევდა ქურუმებს. კასტები საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინდოეთში ფეოდალურ პერიოდში, როცა გამოიყო მიწათმოქმედთა და ხელოსანთა კასტები.

დღეს ოთხ კასტად დაყოფას მხოლოდ ისტორიული ინტერესი აქვს, რამდენადაც ის წარმოდგენას გვაძლევს ინდოეთის თანდათანობითი განვითარების შესახებ. არსებითად კასტების რიცხვი უამრავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასტა, რომელიც გარკვეულ ეკონომიურ ერთეულს შეადგენდა, ვერ დარჩებოდა კარჩაკეტილ, მშვიდობიან მდგომარეობაში. საწარმოო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად იცვლებოდა კასტაც. პირველყოფილი ოთხი კასტა დიდი ხანია რაც არ არსებობს. თითოეული კასტა გაიყოფება უამრავ ჯგუფად, რომელთაც აგრეთვე კასტები ეწოდება და შეიქმნა შრომის შთამომავლობით განაწილების საფუძველზე. არსებობს შვიდი ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხდება კასტებად დაყოფა: 1) ტომობრივი კასტები,—პენჯაბის ზოგიერთი ტომები გაერთიანდენ სოციალ-ეკონომიურ საფუძველზე ინდუიზმის მიღების შედეგად; 2) პროფესიონალური კასტები, როცა სხვადასხვა ტომის ან კასტის ხალხი ერთგვარი პროფესიის გამო ერთდება ერთ კასტაში (ამ ტიპის კასტები განსაკუთრებით განვითარებულია შეერთებულ პროვინციებში); 3) სექტანტური კასტები, როცა ამა თუ იმ სექტის პირები ჰქმნიან ერთ კასტას; 4) ეროვნული კასტები, რომლებიც აერთიანებენ ერთ კუთხეში მცხოვრებ ერთი ეროვნების ხალხს, მაგ. მარატები; 5) გადასახადების გზით წარმოშობილი კასტები, —როცა სხვადასხვა კასტის მიმდევრები ახალ ადგილზე გადასახლების შემდეგ ჰქმნიან ერთ კასტურ ჯგუფს; 6) ახალ ზნე-ჩვეულებათა შექმნის შედეგად წარმოშობილი კასტები და 7) შერეული კასტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კასტა არავითარ წინააღმდეგობაში არაა კლასთან. სხვადასხვა კასტაში მყოფი პირნი შეიძლება ერთ კლასს ეკუთვნოდენ. დღეს, კლასობრივი დანაწილების ნიადაგზე, ინგლისელების ინდოეთში მისვლის დროი-



დერვიში.

დან დაწყებული, კასტური წყობილების გახრწნა სწრაფად მიმდინარეობს. კასტების მთავარი პრინციპის შესრულება — წინაპართა პროფესიის აუცილებელი მემკვიდრეობა — თითქმის შეუძლებელია კაპიტალიზმის განვითარების გამო ინდოეთში. ასე, მაგალითად, უმაღლეს კასტას, ბრამინებს, უფლება აქვთ მისდიონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მეცნიერულ მუშაობას და ღვთისმსახურებას, მაშინ, როდესაც ბრამინების 75% ცხოვრობს „აკრძალული პროფესიებით“ — ფაბრიკაში მუშაობამდეც კი. სხვა კასტების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

ყველაზე უფრო მტკიცეა მიწათმოქმედთა კასტები, მაგრამ ისინიც კარგავენ მიწას, მიდიან ქალაქებში და ივიწყებენ ძველ ტრადიციებს. კასტურ ჩვეულებათაგან ყველაზე უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს შერეული ქორწინების და ურთიერთობის აკძალვა ე. წ. „შეუხებლებთან“, ანუ უწმინდურებთან, ე. ი. ინდოელი მოსახლეობის იმ ჯგუფებთან, რომლებიც არ ეკუთვნიან კასტას ან დაბალ კასტაში შედიან.

მოსახლეობის ასეთი განკიცხული ფენების წარმოშობა ადვილი ასახსნელია, უმაღლესი კასტები ყველა ჭუჭყიან და უსიამოვნო ვალდებულებას, როგორიცაა, მაგალითად, ფეხსადგილების გაწმენდა და სხვა, დაპყრობილ მოსახლეობას აკისრებენ, რითაც ამ უკანასკნელებს ერთხელ და სამუდამოდ აყენებენ „უსუფთაოთა“ და „შეუხებელთა“ რიგში, რომელთაგანაც შეიძლება გაჭუჭყიანება და გადამდები სენის მიღება. დროთა მსვლელობაში ეს წმინდა სანიტარული ზომა რელიგიურ ჩვეულებად გადაიქცა. განკიცხული ჯგუფები ახლა უდიდესი ენერგიით იბრძვიან არსებობის უფლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთში წ.-კ. მცოდნენი 8%-ს შეადგენენ. თუ ქალებსაც ვიანგარიშებთ, ეს პროცენტი კიდევ უფრო ნაკლები იქნება. განკიცხულთა შორის წერა-კითხვის მცოდნეობა პროცენტი უფრო დაბალია. ცალკე სკოლები მათთვის არ არის, იმ სკოლებში კი, სადაც ბრამინების შვილები სწავლობენ, არცერთ „შეუხებელს“ არ შეუძლია შესვლა.

„ინგლისმა დაარღვია ინდოეთში ძველი ფეოდალური წყობილება,—ამბობს მარქსი,—და დააყენა ის ბურჟუაზიული ექსპლოატაციის გზაზე. თემური წყობილება, ეს საფუძველი ფეოდალური რეჟიმისა, განადგურებულ იქნა ინგლისის მანუფაქტურის საშუალებით.

დღეს ინდოეთს გარკვეული ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. კლასობრივი დიფერენციაცია მეტად ჩქარი ნაბიჯით ვითარდება. მარქსის სიტყვებით: „ძველი აზიური საზოგადოების დარღვევამ შექმნა საფუძვლები დასავლეთის საზოგადოებრივი წყობილებისათვის აზიაში, ინგლისელებმა გამოიწვიეს ინდოეთში ახალი კლასების წარმოშობა, როგორიცაა მრეწველები, ბურჟუაზია და პროლეტარიატი“.

კლასობრივი დაყოფის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ ინდოეთში შემდეგი სოციალური ჯგუფები: 1) მემამულეები, რომელთა რიცხვში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიან ადგილობრივი თავადები და სოფლის ბურჟუაზია 2) ბურჟუაზია და ინტელიგენ(ცია, 3) მუშათა კლასი: ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი, 4) გლეხობა. კლასების რიცხვობრივი რაოდენობა ასეთია: 1921 წ. აღწერით 418.942.000 მრცხოვრებია მათ შორის სოფლის მეურნეობით ცხოვრობს 229 მილ. კაცი. აქედან 10 მილ. ეკუთვნის სოფლის მსხვილ არისტოკრატიას და ბურჟუაზიას. ამათ რიცხვშივე შედიან მცირერიცხოვანი მესაკუთრე გლეხები, რომლებიც დაქირავებული შრომით სარგებლობენ, და აღნიშნული ჯგუფების კმაყოფაზე მყოფი პირები. წვრილი მიწადმოქმედი გლეხები, უმთავრესად მოიჯარადრენი, აგრეთვე წვრილი მესაქონლეები და მეთევზეები 180 მილიონს შეადგენენ, ბურჟუაზია და ინტელიგენცია შეადგენს 50 მილ. აქედან ვაჭრებსა და სხვა პარაზიტულ ჯგუფებზე მოდის 28 მილ., ინტელიგენციაზე 4 მილიონი, დანარჩენებია მსხვილი, საშუალო ბურჟუაზია და წვრილი მიწათმფლობელები.

ქალაქის პროლეტარიატი შედგება 2.681 ათას საფაბრიკო-საქარხნო მუშისაგან, 753 ათას რკინისგზელისაგან (ოჯახის წევრებთან ერთად ეს მუშები და რკინისგზელები 8 მილიონს შეადგენენ) და 24 მილიონი წვრილი ხელოსნისაგან.

სოფლის პროლეტარიატის რიცხვი უდრის, ოჯახის წევრებთან ერთად, 37.920 ათას კაცს. მოსახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობის ცალკე ჯგუფს შეადგენენ ევროპელები. ინგლისის ქვეშევრდომთა რიცხვი, 1921 წ. აღწერით, უდრის 163 ათას კაცს, ამათგან 67.432 კაცი მოკალათებულია მოძალადეობის აპარატში, რომელიც ინგლისის ტახტს უმორჩილებს ინდოეთს. ესენი შემდეგნაირად ნაწილდებიან: ინდოეთის არმიაში მსახურობს 60.000 ინგლისელი, სამოქალაქო სამსახურში—3.432 და პოლიციაში 4.000. ამათ უჭირავთ უმაღლესი საპასუხისმგებლო თანამდებობანი ინდოეთის მმართველობის ყველა დარგში, განსაკუთრებით არმიასა და სამხედრო ავიაციაში. უკანასკნელ დროს ინდოეთის არმიაში, რომელიც 756.600 ერთეულისაგან შედგება, დაბალი აფიცრობის თანამდებობაზე მოიპოება ინდოელთა მცირე პროცენტი, სამხედრო ავიაციაში კი აქამდე არ მოიპოება არცერთი ინდოელი.

ის აღწერა, რომლის მასალებიც ჩვენ მოგვყავს, 1872 წლიდან მეხუთეა. ამ უკანასკნელი აღწერისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ წინანდელ, 1911 წ. აღწერასთან შედარებით ის გვაჩვენებს მოსახლეობის ზრდას ათი წლის განმავლობაში სულ 1,2 %. ეს აიხსნება შიმშილობით, რომელიც ყოველწლიურად ასეულ ათას მსხვერპლსა ნთქავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივი სიმდიდრენი

ჯერ კიდევ უძველეს დროის მრავალ ზღაპარსა და თქმულებაში ინდოეთი გამოყვანილია როგორც ძვირფასი მადნეულობით მდიდარი ქვეყანა. ზღაპარი ინდოეთის ქვეყანაზე, რომელშიც თითქოს ნიჩბებით შეიძლებოდა საგანძურის მოხვეტა, ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ძველი მოგზაური მეზღვაურები ისწრაფოდენ ამ ზღაპრული სამეფოსაკენ.

ძველ დროს ინდოეთში ბევრი სპილენძი იყო. მთელს ქვეყანაზე ცნობილი იყო და დღესაც სახელგანთქმულია ბრინჯაოს და სპილენძის ხელოვნურად ნაკეთები ნივთები. ნაქები იყო ინდოელთა ფოლადის ხმლები და რკინის სხვა ნაწარმოებნი. დღეს ინდოეთის მთის სიმდიდრეები მცირე როლს თამაშობენ ლითონისა და მინერალების მსოფლიო ამოღებასთან შედარებით. ინდოეთის მთავარი უბედურება ისაა, რომ მას ძალიან ცოტა ქვანახშირი მოეპოება, დამუშავებული ნახშირი ყოველთვის ვერაა კარგი ღირსების და თითქმის მთლიანად ქვეყნის შიგნით იხმარება. უკანასკნელ წლებში ნახშირის ამოღება რამდენიმედ გაიზარდა. ასე, მაგალითად, 1870 წ. ინდოეთში ამოღებული იყო 987 ათასი ტონი. 1914 წ.—15 მილ. ტონი; 1928 წელს კი 22 მილ. ტონი. ქვანახშირის მთავარი მომხმარებელია რკინის გზები. ქვანახშირის ბუდობების უფრო აჩქარებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დამუშავება გამოიწვია სარკინისგზო ქსელის გაფართოებამ. ინდოეთში არის ნავთი — ბირმაში, ასამში და პენჯაბში; 1927/28 წ. ამოღებულ იქნა 281 მილ. გალონი; ოქროს დამუშავება უმთავრესად ხდება მკვიდრთა სახელმწიფოში მეისორი. 1927 — 28 წ. დამუშავებულ იქნა 384 ათას უნცის რაოდენობით; შემდეგ ტყვია, ვერცხლი, რომელთაც უმთავრესად იღებენ ბირმაში, მარგანეცი, სელიტრა, მარილი, კალა. რკინის მადნები 1927/28 წ. ბენგალსა, ბიხარსა და ორისეში — ამოღებულ იქნა 1.846 ათას ტონის რაოდენობით, ძველ დროში რკინის და სპილენძის გადნობა შინამრეწველური წესით ხდებოდა თითქმის თვითეულ პროვინციაში. მიღებულ ლითონს იყენებდენ ყოველგვარი შინამრეწველური წარმოებისათვის, მაგრამ ის სავსებით უვარგისია სამანქანო ინდუსტრიის ტეხნიკური მიზნებისათვის. ევროპული წესით რკინის ლითონის დამუშავების პირველი ცდა 1830 წ. ჩატარდა, რის შემდეგაც დაიწყეს მუშაობა აღნიშნულ პროვინციებში. უკანასკნელი ცნობებით აღმოჩენილია რკინის ახალი, მდიდარი ბუდობები მკვიდრთა სახელმწიფოებში. ლითონის ნაწარმოების დიდი ნაწილი ინდოეთს შემოაქვს გარედან. ეს ფაქტი ხაზგასმული იყო კომინტერნის მე-VI კონგრესზე, რომელმაც აღნიშნა ადგილობრივი რკინის, ფოლადის და ამ ნივთიერებათაგან გაკეთებულ სხვა ნაწარმთა უმნიშვნელო რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობა (10 %), დანარჩენი 90 % შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან რკინის და ფოლადის, მანქანების, რკინის მასალების და ჭურჭლის სახით.

მიმოსვლის საშუალებანი.

როცა ინდოეთის გზებზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, ინგლისი არასოდეს არ ივიწყებს თავისი დამსახურების აღნიშვნას ამ ქვეყნის ცივილიზაციასა და კულტურასთან დაკავშირების საქმეში. მაგრამ ნამდვილად კი ინდოეთი თავისი სივრცით ათჯერ დიდია გერმანიაზე და უდრის მთელი ევროპის სივრცეს (ს. ს. რ. კ. გამოკლებით), ხოლო მისი სარკინისგზო ქსელი ხუთჯერ ნაკლებია ევროპის რკინისგზების ქსელზე.

ინგლისის ბატონობამდე ინდოეთში არსებობდა გზები, რომლებიც აერთებდენ უმთავრეს სავაჭრო პუნქტებს. დღეს ამ გზების რიცხვი გადიდდა, მას მიემატა გზატკეცილების 300 ათასი კილომეტრი და დაახლოებით რკინის გზების 55 ათასი კილომეტრი. მიუხედავად ამისა, წლის წვიმიან დროს ქვეყნის მრავალი სამიწათმოქმედო ოლქი დღევანდლამდე თითქმის გაუვალია: არის ადგილები, სადაც წლის არცერთ დროს არ შეიძლება მისვლა, თუ არა ჯორების საშუალებით.

მეორე მხრივ ავღანისტანის მოსაზღვრე და ჩვენთან ახლოს მდებარე ჩრდილო დასავლეთის პროვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია მთლიანად დასერილია სიგრძე-სიგანით საუკეთესო საავტომობილო გზატკეცილებითა და რკინის გზებით, რომელთაც განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ ავღანისტანთან და ს. ს. რ. კავშირთან ომის შემთხვევაში. ნაციონალისტები ამას უსაყვედურებენ ინგლისელებს და აღნიშნავენ, რომ ჩვენთვის საჭიროა უფრო ნაკლებად მოწყობილი, მაგრამ ეკონომიურად უფრო მნიშვნელოვანი გზები ქვეყნის შიგნით, სადაც მოსახლეობა უფრო კულტურულია და მჭიდროდაცაა დასახლებელი. მიუხედავად ამისა, ინგლისის მთავრობას თავისი დამსახურება ამ დარგში უდიდესად მიაჩნია.

მიწათმოქმედება.

ინდოეთში მოსახლეობის 319 მილ. კაციდან მიწათმოქმედებაში ჩაბმულია 229 მილ., მემამულეები და მდიდარი გლეხები შეადგენენ 10 მილიონს. 180 მილ., ე. ი. ძირითადი მოსახლეობა, წარმოადგენს იმ გლეხურ მასას, რომელიც თვით ინგლისური ოფიციალური ანგარიშებითაც კი იმდენად ღარიბია, რომ მისი კეთილდღეობის აღდგენა განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებს.

ინდოეთში სულ 2.316 ქალაქია $32^1/_2$ მილ. მცხოვრებით და 685.655 სოფელი 287 მილ. მცხოვრებით.

მიწათმოქმედების მიმდევარ 229 მილ. მცხოვრებზე, მემამულეების ჩათვლით, დასამუშავებლად გამოსადეგი მიწის 222 მილ. აკრი მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმფლობელია ინდოეთში ინგლისის მთავრობა. მას ეკუთვნის მიწები, რომლებიც იძლევა მისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ერთ მეხუთედს.

ინდოეთში მიწათმფლობელობის სამი სისტემაა — ზამინდარი, რაიოტვარი და თემური მიწათმფლობელობა. ეს უკანასკნელი თანდათან კვდება.

ზამინდარის სისტემის დროს, მსხვილი მიწათმფლობელნი, — ზამინდარები ანუ ტალუკდარები (მსხვილი მემამულეები), რომელთაც მიწა აღებული აქვთ იჯარით ინგლისის მთავრობისაგან, — შუამავლებს წარმოადგენენ მთავრობასა და გლეხურ მასას შორის. გლეხები იჯარით იღებენ მიწებს ამ მემამულეთაგან; იჯარას იხდიან ფულად ან პროდუქციით. საიჯარო ქირის ერთი ნაწილი შეუდის მთავრობას საადგილმამულო გადასახადის სახით.

ეს სისტემა გავრცელებულია ჩრდილოეთში, სადაც ბრიტანეთის ინდოეთის დასამუშავებელი მიწების 53%-ზე ვრცელდება იგი.

მიწით სარგებლობის შესახებ ინდოეთში არსებობს დროებითი და მუდმივი დებულებანი.

მიწით მუდმივი სარგებლობის დებულების თანახმად, რომელიც 1793 წ. იქნა დამტკიცებული, ზამინდარებმა უნდა იხადონ მთავრობის სასარგებლოდ გლეხობისაგან მიღებული იჯარის 90%. 1854 წ. ის შემცირდა 50%-მდე, დღეს კი შეადგენს სულ გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის საიჯარო გადასახადის 27%; ხოლო გლეხის საიჯარო ქირა კი ამისდაკვალად არაა შემცირებული.

მიწები, რომლებზედაც დროებითი დებულება ვრცელდება, იბეგრება პერიოდულად, და ზამინდარები უხდიან მთავრობას იმის ნახევარს, რასაც იღებენ მოიჯარადრე გლეხებისაგან.

რაიოტვარის სისტემით, რომელიც უმთავრესად ბომბეის, მადრასის და პენჯაბის პროვინციებში არსებობს, რაიოტები—გლეხები—უშუალოდ ღებულობენ მიწებს მთავრობისაგან. ბეგარის რაოდენობა ყოველ ოცდაათ წელს უნდა გადაისინჯოს, სათანადო დეპარტამენტი არკვევს თვითეული მინდვრის საშუალო წლიურ ღირებულებას, აკლებს მას დამუშავების ღირებულებას და სხვა ხარჯებს და წმინდა შემოსავლის 50%-ს ნიშნავს მთავრობის სასარგებლოდ.

თემური სისტემით, რომელიც ახლა იშვიათად გვხვდება, მთელი სოფელი ურთიერთ თავდებობით აგებს პასუხს მთავრობისათვის სამიწათმოქმედო გადასახადის გაღებაში.

ამ სისტემის დროს ორგვარ შემთხვევას აქვს ადგილი:

1. მთელი მიწები საერთო სარგებლობაში იმყოფება, დამუშავება შეერთებული ძალ-ღონით ხდება და მოსავალი თანაბრად იყოფა მომუშავეთა შორის და 2) თითოეული მიწათმოქმედი ამუშავებს მისთვის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოფილ ნაკვეთს და იხდის იმდენს რაც მას ხვდება წილად, დანარჩენს იტოვებს საკუთარ სარგებლობაში.

ინდოელი გლეხების უმრავლესობას საკუთარი მიწები არა აქვს, ამიტომ ისინი ხდებიან მემამულეების ან მთავრობის მოიჯარადრეებად. ზამინდარები აძლევენ მიწას პატარ-პატარა ნაჭრებად და ღებულობენ გლეხობისაგან მასზე გაცილებით მეტ გადასახადს, ვიდრე გათვალისწინებულია კანონით.

ინდოელი მემამულე უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს რანტიეს, ეკონომიურ პარაზიტს, რომელიც სისხლს სწოვს გლეხობას და ერთ კაპეიკს არ ხარჯავს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე. მიწათმფლობელთა რიცხვი, რომლებიც არ ეწევიან სამიწათმოქმედო შრომას, ყოველწლიურად იზრდება ეკონომიურად განადგურებული გლეხობის ხარჯზე.

ასე, მაგალითად, პროვინცია მადრასში 1901 წ. მათი რიცხვი 20 კაცს უდრიდა, 1911 წ. კი უკვე 77-ს. მიწათმფლობელთა რიცხვის ზრდასთან ერთად უარესდება გლეხობის მდგომარეობა, რომელიც ჰკარგავს მიწის უკანასკნელ ნაჭრებს.

მოიჯარადრე გლეხობაზე უკეთეს მდგომარეობაში არ არიან მესაკუთრე გლეხები (რაიოტვარის და თემური სისტემები). ისინი თანდათან ჰკარგავენ მიწებს და მოჯამაგირეებად ხდებიან. ერთ-ერთი უმთავრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტება, რომელიც მათ სტანჯავთ — ესაა მიწის უკიდურესი დაქუცმაცება. ინდუსთა ძველი კანონის მიხედვით, რომელსაც მოსახლეობა ასრულებს დღემდე, თითოეული შვილი იღებს მამის საკუთრების ნაწილს. თუ მამა ჰფლობდა მიწის ნაკვეთებს სამ ადგილას, თითოეული შვილი იღებს სამივე ნაკვეთიდან თანასწორ ნაწილს. ამის შედეგად თითოეულ გლეხს აქვს მიწის რამდენიმე ნაკვეთი სხვადასხვა ადგილას, რაც იწვევს ბევრი დროსა და შრომის დაკარგვას, ზღუდავს კულტურების შერჩევას და აძლიერებს მიწათმოქმედების ჩამორჩენილობას. დაქუცმაცების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კანარის ერთ-ერთი მაზრა, სადაც 59 მიწისმფლობელს ეკუთვნის 59 აკრი მიწა, რომელიც გაფანტულია 139 ადგილას. ზოგიერთ გლეხს მიწები დაფანტული აქვს 10 ადგილას, ამავე დროს მიწის ზოგიერთი ნაკვეთი უდრის აკრის ერთ მეოცდაათედს. ამ უმნიშვნელო ნაჭრების გვერდით კი არის უზარმაზარი თავისუფალი ადგილები ნადირობისათვის. მათში დაცული მხეცები დაუსჯელად ანადგურებენ გლეხობის ნათესებს.

ეკონომიური თვალსაზრისით, გლეხობისათვის ამ ორ სისტემას შორის არავითარი განსხვავება არ არის. ზამინდარის სისტემით მას მემამულე ყვლეფს, რაიოტვარის სისტემით კი — მთავრობა. მიწების რაოდენობა, რომლებიც გლეხობის განკარგულებაში იმყოფება ორივე სისტემის დროს, ბოლოს და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი უმნიშვნელოა, რომ მასზე არსებობა ძალიან ძნელია. ზამინდარის სისტემის დროს პროდუქტების დიდ ნაწილს ართმევენ მას საიჯარო გადასახადის და ბეგარის სახით და გლეხი შიმშილობას განიცდის. რაიოტვარის სისტემით სხვადასხვა სახის გადასახადის შედარებითი რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ გლეხი ვალდებულია თავის ხარჯზე არჩინოს გადასახადის ამკრეფნი და იძულებული ხდება მუდმივი ქრთამებით მოისყიდოს ისინი.

გლეხობის მთელი შემოსავალი ფაქტიურად პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა დაფარვას ხმარდება. მისი სიღარიბის მთავარი წყაროა ის ორმაგი ექსპლოატაცია, რომელსაც განიცდის, როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ქვეყნის კაპიტალისაგან.

გლეხობა იყვლიფება მარცვლის საზღვარგარეთ გატანის გამო. ყოველწლიურად, მიუხედავად მოსავლიანობისა, ინდოეთიდან გააქვთ ასეული ათასი ტონი პური, რაც ქვეყნის შიგნით იწვევს სპეკულიაციას და სასურსათო საგნებზე ფასების აწევას.

მეორეს მხრივ, სოფლის მოსახლეობა სასურსათო მარცვლეულის მაგიერ აწარმოებს ტეხნიკურ კულტურებს, მრეწველობისთვის საჭირო ნედლ პროდუქტებს, საბაზრო ფასები კი საკვებ საგნებზე იმდენად მაღალია, რომ მას არ შეუძლია ბაზრით სარგებლობა.

ინდოეთის უმნიშვნელოვანეს კულტურებად ძველთაგან ითვლება პური, ბრინჯი, ქერი, ჯუგარა, ფეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი, ყავა, ჩაი, ყოველგვარი ზეთოვანი და ლებნიანი მცენარე, ბამბა, ინდიგო და სხვა.

ინდოეთის უმთავრესი საწარმოო კულტურა ბრინჯია. ისაა მოსახლეობის დიდი ნაწილის ძირითადი საკვები საგანი, მას უკავია ახლა 79 მილიონი აკრი და, მიუხედავად ამისა, ის საკმაო არაა. ეს ხდება იმის გამო, რომ ინდოეთი წარმოადგენს ბრინჯის უდიდეს ექსპორტიორს, მასების მოხმარების შემცირების ხარჯზე.

ხორბლის მხრივ ინდოეთს მესამე ადგილი უჭირავს ამ პროდუქტის მწარმოებელ ქვეყნებს შორის. ხორბალს ეკავა 1928 წ. 25 მილ. აკრი.

ფეტვი ნაკლებ როლს არა თამაშობს მოსახლეობის საკვებ პროდუქტთა შორის.

არის ფეტვის სპეციალური ჯიშები, რომლებიც მხოლოდ ინდოეთში მოდის, სახელად ბაჯრი და რაჯი ჰქვიან. იმით უმთავრესად ღარიბი მოსახლეობა იკვებება.

ზემოთმოყვანილ გარემოებათა შედეგად ინდოელი გლეხი მუდმივ შიმშილობას განიცდის. 1921 წ. აღწერის მიხედვით, გლეხური ოჯახების 85%-ს აქვთ მხოლოდ იმ შემოსავლის 51%, რომელიც აუცილებელია, რომ არ იშიმშილოს. მოიპოვება მთელი რაიონები, რომლების გლეხური მოსახლეობა 8 — 10 მანეთით ცხოვრობს წელიწადში თითო სულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ ცხოვრობს ინდოელი გლეხი, ამას შემდეგი მაგალითიდან დავინახავთ: მადრასიდან ოცი ვერსის დაშორებით არის სოფელი. მასში 500 მცხოვრები და 50 სახლია.

მოსახლეობა ცხოვრობს ოჯახებად. ერთი ასეთი ოჯახი შედგება ორი ძმისა, მათი ცოლებისა და 8 ბავშისაგან. მიწის საერთო რაოდენობა მთელს ოჯახზე უდრის 4 აკრს. აქედან ისინი წლის განმავლობაში სამჯერ იღებენ მოსავალს—ორს ზაფხულში, ხოლო ერთს ზამთარში და ეს მათ წელიწადში 140 მანეთს აძლევს. 30 მან. იხდიან მთავრობისათვის—სამიწათმოქმედო გადასახადის სახით, ორი მანეთი მიდის საგზაო ბეგარაზე, 40 მანეთამდე ჯდება უღელი კამეჩის შენახვა და 40 მანეთს ოჯახი საერთო ძალლონით გარეშე სამუშაოებზე შოულობს. ამგვარად, 12 სულისაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობს მთელი წლის განმავლობაში 100 მანეთით, ე. ი. თითო სულზე მოდის 9 მანეთი. მემამულეთა მინდვრებზე მამაკაცები 10 საათის მუშაობაში დღეში 25-დან 30 კაპეიკამდე იღებენ, ქალები და ბავშები კი—12-და 15 კაპეიკამდე. ხანდახან სამინდვრო მუშაობის ნაცვლად მიმართავენ შემთხვევით სამუშაოებს მადრასში.

რა მოეპოება ასეთ გლეხურ ოჯახს მთელი წლის კატორღული მუშაობის შედეგად?

ყველა 12 კაცი ცხოვრობს მიწურ ქოხში. საოჯახო ნივთები არა აქვთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამაკაცები და ქალები მთელი წლის განმავლობაში ატარებენ ერთსა და იმავე ქსოვილს, რომელიც ფარავს მხოლოდ თეძოებს. დედაკაცები და გოგოები განუსაზღვრელი დროის განმავლობაში ატარებენ ქსოვილის ნაკვეთს—სარის—რომლითაც იფარავენ სხეულს.

ისინი ერთხელ სჭამენ დღეში, მათი საკვები შედგება მარტო ბრინჯისაგან. მიუხედავად ასეთი სიღატაკისა, ეს ოჯახი კისრამდე ვალშია ჩაფლული.

ყველაფერი, რაც ყოველდღიური ცხოვრების ჩარჩოებს სცილდება, საჭიროებს მევახშის დახმარებას—იქნება ეს ავადმყოფობა, ქორწინება, თუ სიკვდილი.

ინდოეთში გლეხი იბადება და კვდება მევახშის ვალებში ჩაფლული.

იმავე სოფელში არიან უფრო მეტად ღატაკნი—80 უმიწაწყლო მოჯამაგირე, რომელთაც ზემოთ აღწერილი ოჯახის ცხოვრება მიუწვდომელ ფუფუნებად მიაჩნიათ.

ისინი მოკლებული არიან საშუალებას ხანდახან, დღეში ერთხელ მაინც, სჭამონ, რის გამოც პირდაპირ შიმშილისაგან კვდებიან.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ამ სოფელში, რომელიც სულ 20 კილომეტრითაა დაშორებული ისეთ დიდ სამრეწველო ცენტრს, როგორიცაა მადრასი,—სკოლა არ არის.

ისეთი სოფლები, როგორიც მადრასის ახლოსაა, თითქმის ყველა პროვინციაში გვხვდება. ბიხარაში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პენჯაბში, ბენგალიაში — ყველგან სწარმოებს იგივე ბრძოლა არსებობისათვის, ყველგან უმუშევრობაა, გლეხები ყველგან შიმშილობენ, ყველგან მცირე ხელფასია და დიდი სამუშაო დღეა სოფლის მოჯამაგირეებისათვის. ყველგან დიდი სასოფლო-სამეურნეო

ტალახისა და თიხისაგან გაკეთებული ქოხი.

გადასახადი, ცუდი ბინები, სანიტარული პირობების, განათლების და საექიმო დახმარების უქონლობა.

ზემოთმოყვანილი ფაქტები (1928 წ.) ნათელს ჰფენს გლეხობის აუწერელ სიღატაკეს.

ინდოელ გლეხთა 17% არ აქვს ამა თუ იმ სახის დავალიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეულ მიწათმოქმედზე საშუალოდ 200 მან. ვალი მოდის. მთელი გლეხობის საერთო დავალიანება 12-ჯერ აღემატება მათ მიერ შესატან გადასახადს. მიწის მუშის გალატაკების ტემპზე რეალურ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები: 1866 წ. — 1874 წლამდე გაყიდულ იქნა ვალებში 88 ათასი აკრი მიწა; შემდგომს ყოველ ხუთ წელში ეს ციფრი იზრდება და 1900 წ. აღწევს 338 ათას აკრს. 1920 წლის გამოანგარიშებიდან გამოირკვა, რომ ყოველ წლიურად იყიდება გლეხობის მიწების 20 ათასი აკრი.

ინდოელი გლეხის ცხოვრებაში უდიდეს როლს მევახშე თამაშობს. ინგლისის მთავრობა ცდილობს მევახშეს დაუპირისპიროს კოოპერატიული საზოგადოებანი. გლეხისაგან მევახშე ჩვეულებრივად 15-დან 50%-მდე იღებს, მაგრამ არის უფრო დიდი %-იც, იგი ხანდახან 200%-მდე ადის. კოოპერატიული საზოგადოება კი სულ 9%-ს ართმევს. მიუხედავად ამისა, გლეხი უფრო მევახშეს ეტანება, რადგანაც ეს უკანასკნელი ვადებს ისე ფორმალურად არ უდგება, როგორც კოოპერატივების ადმინისტრაცია. აუცილებელ შემთხვევაში იგი იცდის ხოლმე და, რა თქმა უნდა, არ ივიწყებს თავის სარგებელსაც. მახეში გაბმულ გლეხს კი ვადის გაგრძელება უხარია. მევახშის მთავარი ბოროტება ისაა, რომ ის მიწის მუშისგან აუწერელად დიდ სარგებელს იღებს და ფართოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობს მისი დავალიანებით, გამოუცდელობით და უვიცობით სავაჭრო საქმეებში.

მევახშე აერთიანებს კრედიტორისა და ხორბლით მოვაჭრის ფუნქციას, ის ყუდულობს გლეხისაგან მისი ნაწარმოების პროდუქტებს, როცა ბაზარზე უცვლელი ან დაბალი ფასებია და მიყიდის მას მსხვილ ექსპორტიორს, რომლისთვის საქმის დაჭერა საბითუმო მოვაჭრესთან უმჯობესია.

მევახშე ხდება სოფლის ეკონომიური დიქტატორი, რომელიც თავის პირობებს უკარნახებს და მწარმოებელს თავისი პროდუქტის უმნიშვნელო ნაწილს უტოვებს.

გლეხობის სიღარიბე გამანადგურებელ გავლენას ახდენს მიწათმოქმედებაზე.

მიწის დამუშავება დღემდე პირველყოფილი რკინისწვერიანი ხის გუთნით სწარმოებს. ეს გუთანი მხოლოდ მიწის ზედაპირს ჩიჩქნის. ბევრ ადგილას უფრო მძიმე გუთანი წარმოუდგენელია, რადგან მუშა საქონელს არ შეუძლია მისი თრევა.

დეკანში უფრო მძიმე გუთნებია, მაგრამ მისთვის საჭიროა რამდენიმე უღელი ხარი.

სასოფლო ინვენტარი ძალიან ელემენტარულია, მანქანა მასში სრულიად არაა.

ინდოეთის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა განსაკუთრებით ხასიათდება თესლბრუნვის უქონლობით ბევრ ადგილას, რაც წიადაგის გამოფიტვას იწვევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხთა მინდვრები ინდოეთში ყველაზე უფრო საჭიროებს სასუქს. ხელოვნური სასუქისათვის გლეხობას არ აქვს საშუალება.

შეშის ნაკლებობის გამო საქონლის ნაკელს საბობ მასალად იყენებენ.

ბევრ მიწის მუშას უღელი საქონელი ჰყავს. საქონელიც აგრეთვე შიშშილობას განიცდის. ცხენი ინდოეთში თითქმის სრულებით არაა. ტვირთის საზიდად იყენებენ ვირს და ხარს. ევროპასთან შედარებით ინდოეთი ღარიბია საქონლის მხრივ. საქონლის რაოდენობა, 1921 წლის აღწერის მიხედვით, 145 მილ. უდრის.

მინდვრების მორწყვა ყველგან დამაკმაყოფილებელი ვერაა. ინგლისის მთავრობა, სხვა სიკეთეთა შორის, რომელიც თითქოს მან მისცა ინდოეთს, პირველ რიგში აყენებს ირიგაციას, მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ საირიგაციო სისტემა ინგლისმა მზამზარეულად მიიღო დიდი მონგოლებისაგან. დღეს 49 მილ. სარწყავ აკრში ინგლისის მთავრობის წილზე მოდის 20 მილიონი აკრი; აქაც არხების უმრავლესობა იმაზე დიდი ხნით ადრეა გაყვანილი, ვიდრე ინგლისელები ინდოეთში მივიდოდენ.

ეს 20 მილ. აკრი სასაცილო პარადოქსად მოჩანს იმ 113 მილ. აკრთან, რომელიც სავსებით გამოსადეგი მიწაა, მაგრამ ურწყავია. ამას გარდა, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ინგლისელებისა და ინდოელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მემამულეების მიერ დაპყრობილია საძოვრებისა და პლანტაციების დიდი ფართობები. თავის პლანტაციებზე ინგლისის მთავრობა ფულს არა ზოგავს. მაგ., სილში საფუძველი ეყრება ახლა უდიდეს სარწყავ სისტემას ინგლისის ბამბის პლანტაციებისათვის. მაგრამ ინდოელი გლეხობისათვის ის სრულიად უსარგებლო დარჩება. პლანტაციები ერთის მხრივ მეტოქეობას უწევენ გლეხურ მეურნეობას, მეორეს მხრივ, იძლევიან სასოფლო-სამეურნეო მუშების აშკარა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ტიპიურ სურათს.

ამ ბოლო დროს ინგლისის მთავრობამ მოუხშირა ინდოელი გლეხის გაღატაკების შესახებ საკითხის დასმას. ინგლისელები ამის მთავარ მიზეზად ასახელებენ თვით გლეხთა მასებს. ისინი იმეორებენ ბურჟუაზიული ეკონომისტების ფრაზებს ნიადაგის გამოფიტვის, მიწის ნაკვეთებად დაქუცმაცების, ტყის გაჩეხვის, ინდოელი გლეხის „სიზარმაცის“ და მისი შრომის ნაკლები ნაყოფიერების შესახებ; ამავე დროს ინგლისი სერიოზულად შეშფოთებულია შექმნილი მდგომარეობით. რასაკვირველია, აქ საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისი ლაპარაკობს, რადგანაც ინდოეთი მათ უნდათ, როგორც საქონლის გამსაღებელი ბაზარი.

ეს შიშ ხელს არ უშლის მას, რომ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის მათ გაიღონ ყოველწლიურად 6.590 ათასი მანეთი, რაც თითო აკრზე 3 კაპეიკს შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხედრო საჭიროებისათვის ყოველწლიურად 500 მილ. მანეთი იხარჯება, პირდაპირ განსაცვიფრებელი ხდება თანხების ასეთი შეუსაბამო განაწილება ინგლისის კაპიტალიზმისაგან, რომლის ექსპლოატაციის სისტემა ახრჩობს ინდოეთის მიწათმოქმედებას თავისავე საზიანოდ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ცდა „მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“ ინგლისის მთავრობამ მაინც გააკეთა. მან შეჰქმნა სამეფო კომისია მიწათმოქმედების საქმეებზე, რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში იკვლევდა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ინდოეთში. ეს კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიწათმოქმედების არსებულ პირობებში ქვეყანა სრული სიღატაკისაკენ მიექანება. ამის შემდეგ მან შეიტანა მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის წინადადებანი.

ერთის მხრივ, კომისია წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო საიმპერატორო სამეცნიერო გამოკვლევათა ინსტიტუტი მუშაკთა შესაფერი კადრის მოსამზადებლად, გადიდებულიყო სასოფლო-სამეურნეო კათედრების რიცხვი უნივერსიტეტებში და გაზრდილიყო აგრონომთა რიცხვი.

მეორეს მხრივ, კომისია წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო სანიმუშო მეურნეობანი, მერძეობის მსხვილი მეურნეობანი, ყოველგვარი ღონისძიება ყოფილიყო მიღებული სოფლის მეურნეობის დაქვეითე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესაჩერებლად. ინდოეთის მიწადმოქმედება,—ნიადაგის განოყიერების, საწარმოო იარაღების, თესლბრუნვის, საქონლის ჯიშისა და თესლის გაუმჯობესებების მხრივ,—უნდა წავიდეს იმ გზით, რომლითაც მიდის ევროპა.



სოფელი ინდოეთში.

ყველა ამ ღონისძიებას მხედველობაში ჰყავს, პირველ ყოვლისა, შეძლებული გლეხი, რადგან ღარიბი გლეხობისათვის სრულიად მიუწვდომელია კომისიის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი.

კომისიას, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა ეს, როცა ლაპარაკობდა, რომ საუკეთესო საძოვრები საუუკეთესო მესაქონლეებს მიეცესო, საქონლის ნაკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნური განაყოფიერებით შეიცვალოსო, კერძო პირებს საშუალება მიეცეს წვრილი სარწყავი სისტემის მოწყობისაო.

ყველაფერი ეს ხელმისაწვდომია მხოლოდ მემამულეებისა და შეძლებული გლეხებისთვის — კულაკებისთვის.

ამიტომაც ინგლისის მთავრობა მათკენ იღებს თავის გეზს.

მას განზრახვა აქვს კომისიის წინადადებათა თანახმად „იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ მეურნეობის თანამედროვე საფუძველზე წარმოება, მიეცეს უფრო მოზრდილი მიწის ნაჭრები“, კიდევ მეტი შექმნას ცალკე მსხვილი მეურნეობანი, რომლებიც ვალდებული გახდებიან გააშენონ ვაჭრობისათვის გამოსადეგი კულტურები.

თავისი მზრუნველობის ქვეშ მყოფ კულაკთან დავის აცილების მიზნით, კომისია წინადადებას იძლევა, რომ შეძლებულ გლეხობასთან მოულაპარაკებლად არ მოხდეს მიწათმოწყობა ახალ საფუძველზე.

ამავე დროს მთავრობა ამ შეძლებულ გლეხობას აუარებელ დაპირებას აძლევს, ქალაქის ბაზრის მოწესრიგებამდეც კი, რომლებზეც მიდის მხოლოდ კულაკი. ამავე დროს სრულიად მივიწყებულია ღარიბი გლეხისთვის მისაწვდომი სოფლის ბაზარი.

მიწათმოქმედების სამეფო კომისიის ძირითადი მიზანია მსხვილი მრეწველობისათვის ბაზრის გაფართო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება. კომისიას მბჭედველობაში აქვს სწორედ ინგლისის მრეწველობა, ამისთვის მან გაილაშქრა ინდოეთში ზეთისსახდელ, აზოტის და სხვა ქარხნების მოწყობის წინააღმდეგ და წინადადება შეიტანა გარედან შემოსატან რკინასა და ფოლადზე ბაჟების შემცირების შესახებ.

ამგვარად ინგლისი განაგრძობს თავის ძველ პოლიტიკას: ინდოეთმა უნდა დაივიწყოს ინდუსტრიალიზაცია; მისი დანიშნულებაა იყოს ინგლისის მრეწველობის ნედლეულის ბაზა და საქონლის გასასაღებელი ბაზარი.

მრეწველობა.

ინდოეთის მრეწველობაში მოსახლეობის 11% არის ჩაბმული, თუ ხელოსნებსაც ჩავთვლით. საფაბრიკო და სამთამადნო მრეწველობაში, ჩაბმულია 2.181 ათასი კაცი. ტრანსპორტზე მუშაობს 753 ათასი კაცი, რაც სულ, დაახლოებით, 3.300 ათას მუშას შეადგენს. ჩვეულებრივ ამ რიცხვს უმატებენ ოჯახის წევრებს და დგება უფრო დიდი ციფრი — 8 მილიონამდე. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი ხელოვნურად დააყენეს მრეწველობის მხრივ მეექვსე ადგილზე, ინდოეთის სახალხო მეურნეობა ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოთა უკან დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1914 წლის ომამდე ინდოეთის ეკონომიკას ახასიათებდა ინგლისის მისწრაფება იმისკენ, რომ ყოველმხრივ შეეფერხებინა ინდოეთის დამოუკიდებელი მრეწველობის განვითარება. კაპიტალისტური განვითარების სფეროში მოქცევის შემდეგ ინდოეთს არ შეეძლო გვერდი აეხვია ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის. ამ გზაზე ის შედგა მე-XIX ს. დასაწყისს; ამავე ხანებში ჩნდება ინდოეთში პირველი ფაბრიკები.

მე-XIX ს. ბოლომდე ინგლისელები განუყოფლად ბატონობდენ ინდოეთში. რკინისგზები, სამთამადნო საქმე, საზღვაო ტრანსპორტი — ინგლისის კაპიტალის ხელში იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მე-XIX ს. ნახევარში საპლანტაციო მეურნეობას ჩაის, ყავის, ჯუტის და ინდიგოს კულტურების წარმოებით.

ინდოეთის ბურჟუაზიას მხოლოდ მე-XIX ს. ბოლოს მიეცა საშუალება, რომ მრეწველობაში საკუთარი ძალები გამოეყენებინა. მანამდე ის იძულებული იყო მის მიერ დაგროვილი სავაჭრო კაპიტალი მიწათმოქმედებაში დაებანდებინა.

მე-XIX ს. ბოლოს შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში ინგლისის ნაწარმოებისათვის ბაზრების გაფართოებასთან დაკავშირებით, ინგლისელებმა შეარბილეს ინდოეთის მრეწველობის დახშობის პოლიტიკა. ამ მხრივ ნაკლები როლი არ ითამაშა თვით მკვიდრი ბურჟუაზიის მნიშვნელობის ზრდამ და აგრეთვე საზღვარგარეთის კონკურენციის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის წარმოების აუცილებლობამ თვით ინდოეთში. ამ დროიდან ვაჭრობით გამდიდრებულ ინდოეთის ბურჟუაზიას საშუალება მიეცა ეროვნული მრეწველობის ორგანიზაციაში მონაწილეობა მიეღო. მისი მთავარი ყურადღება საფეიქრო მრეწველობისკენ იქნა მიმართული. ამ მიმართულებით ინგლისელები მათ ნაკლებ წინააღმდეგობას უწევდენ და 1880 წ. ინდოეთში უკვე 58 საფეიქრო საწარმო მოიპოვებოდა, რომლებიც ინდოელების კუთვნილებას შეადგენდენ. პირველი ნაბიჯების შემდეგ ინდოეთის ბურჟუაზიამ სწრაფი ტემპით იწყო განვითარება და დიდი შრომა დასჭირდათ ინგლისელებს ომამდე, რომ შესაფერი ჩარჩოებით შემოეზღუდათ ინდოეთის მრეწველობა, რომელიც ისე იწევდა მაღლა, თითქოს საფუარი ჰქონოდეს გაკეთებული. ინდოეთის მრეწველობა დატვირთული იყო სპეციალური გადასახადებით; საიმპორტო მექანიკურ მოწყობილობაზე განსაკუთრებული ბაჟი იყო დაწესებული; ინგლისის იმპორტისათვის ინდოეთში დაწესებული იყო მფარველობითი სისტემა. ინდოეთს განზრახ სტოვებდენ ჩამორჩენილი ქვეყნის მდგომარეობაში, რომლითაც სარგებლობდენ ინგლისელები, როგორც ნედლეულის წყაროსა და მასალების ბაზრისათვის. ინდოეთის ექსპორტის და იმპორტის მონოპოლია ფაქტიურად ინგლისელების ხელში იმყოფებოდა, მისი ფულის სისტემა სავსებით დამოკიდებული იყო მეტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიის ნება-სურვილზე. ინდოეთის კაპიტალი დამოუკიდებულ მდგომარეობაში იყო.

მსოფლიო ომმა უდიდესი რევოლიუცია მოახდინა ინდოეთის ეკონომიკაში. ინგლისი იძულებული შეიქნა შეესუსტებინა ეკონომიური იძულება. კიდევ მეტი, მას დასჭირდა დახმარება ინდოეთის მრეწველობისაგან. საომარი მასალების დიდი რაოდენობის საჭიროებამ აიძულა ინგლისი ჩაება ინდოეთი სამხედრო მრეწველობაში. ამის გარდა ინდოეთს საშუალება მიეცა წყნარი ოკეანეს ბაზრებზე მეომარი ქვეყნების პროდუქცია შეეცვალა საკუთარი პროდუქციით. ამ პერიოდში ინგლისის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ განევითარებინა ინდოეთის მრეწველობა თავისი საკუთარი კაპიტალის კონტროლის ქვეშ.

მანქანებისა და ტექნიკურ აგებულებათა შემოტანის სწრაფმა შემცირებამ გავლენა იქონია ინდოეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე და ინგლისს უნდა ეცნო ინდოეთის სხვა ქვეყნებისაგან იძულებითი დამოკიდებულების საშიშროება.

ომის დროს ინგლის-ინდოეთის მთავრობა ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რომ განევითარებინა ინდოეთის მრეწველობის ის დარგები, რომლებიც მისთვის საჭირო იყო სამხედრო საქმისათვის. ინდოეთის ბურჟუაზია მხარს უჭერდა ინგლისელების პოლიტიკას, და ჯერ კიდევ ახალგაზრდა მრეწველობა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ კონცენტრაციისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილ საწარმოთა შემცირების ხარჯზე. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა 1916 წ. ინდუსტრიალიზაციის კომისიის წინადადებებმა ინდოეთის ინდუსტრიალიზაციაზე კურსის აღების შესახებ.

პირველი ადგილი დაიჭირა საფეიქრო და მძიმე მრეწველობამ. 1921 წ. უკვე 257 საფეიქრო ფაბრიკა იყო. ამათში 18 საწარმოს 3.000 მუშაზე მეტი ჰყავდა, საშუალოდ თითო საწარმოზე მოდიოდა 572 მუშა. ჯუტის ფაბრიკების რიცხვი 82 უდრიდა, აქედან 46 საწარმოს 3.000 მუშაზე მეტი მუშა ჰყავდა და 9 საწარმოს 8.000 მუშაზე მეტი. საშუალოდ თითო საწარმოზე 4.000 მუშა მოდიოდა. რკინის გზის სახელოსნოებსა და გემთსაამშენებლოებს ჰქონდა 22 საწარმო, საშუალოდ თითო საწარმოზე 583 მუშით. მსხვილ მრეწველობას საწარმოთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა მოეპოებოდა, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებს, სამაგიეროდ არსებობს საწარმო ტატა 26.000 მუშით და ბენგალიის ქარხნები 9.000 მუშის რაოდენობით.

წარმოების კონცენტრაცია ძალიან სწრაფად მოხდა. მაგალითად, საფეიქრო მრეწველობას ახლა განაგებს 7-8 მსხვილი ტრესტი; ასევე ხდება ჩაის მრეწველობაში, რომელშიც ჩაის უდიდესი ტრესტი თავის პირობებს მთავრობასაც კი უკარნახებს. ყველა ამ გაერთიანებას ჯერ კიდევ არაოფიციალური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, იგი იმის დამამტკიცებე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია, რომ, როგორც კი ცოტაოდნად შესუსტდა საგარეო კაპიტალის გავლენა, ინდოეთი წავიდა კაპიტალისტური განვითარების იმავე გზით, როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნები. ინდოეთის ბურჟუაზიამ როგორც კი მიიღო პოლიტიკური დათმობები, — იწყო ზრდა და განმტკიცება.

ინგლისის კაპიტალისათვის მალე ნათელი შეიქნა, რომ ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას უარყოფითი შედეგები მოაქვს. ინდოეთის ადგილობრივმა ბურჟუაზიამ იწყო პოლიტიკური დათმობების მოთხოვნა, რომლებიც აშკარად ინგლისისათვის საზიანო იყო და ეწინააღმდეგებოდა ინდოეთის მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ბაზრისთვის შენარჩუნების სურვილს. ბოლოს გამოირკვა, რომ აუცილებელია კურსის აღება სამიწათმოქმედო მეურნეობაზე, გლეხობის სყიდვითი უნარიანობის გზაზე.

ინგლისმა გაითვალისწინა ყოველივე ეს და შეცვალა თავისი დამოკიდებულება ინდოეთის ბურჟუაზიისადმი. მცირე დათმობების ძველი პოლიტიკა შეიცვალა მტკიცე უარის სისტემით. გააფთრებულმა ბრძოლამ, რომელიც ინგლისის და ინდოეთის ბურჟუაზიას შორის გაჩაღდა სავალიუტო და საფინანსო რეფორმების გარშემო, გარკვევით დაგვანახა, რომ შეიქმნა უკვე ახალი ეპოქა ინგლისის პოლიტიკაში ინდოეთის მიმართ. ინგლისმა ძალდატანებით დააწესა ინდოეთის მრეწველთათვის არახელსაყრელი რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიის კურსი; ინდოელი მრეწველნი თავისი საქონლის გატანისას ყოველთვის ზარალობდენ, მაშინ, როდესაც ინგლისელი ვაჭარი საქონლის შემოტანისას ახალი კურსით მოგებას იძენდა. უკანასკნელ დროს ინგლისის კაპიტალისტების მიერ ინდოეთის მთელი საფინანსო სისტემის ხელში ჩაგდებამ ინდოეთი საბოლოოდ გადააქცია ფინანსიური კაპიტალის საკუთრებად. ეს კაპიტალი საჭიროებს გასასაღებელ ბაზარს და ნედლეულის წყაროს, ამიტომ ინდოეთის ბურჟუაზიას უარი ეთქვა საფეიქრო მრეწველობის შელავათებზე, მინის და ქიმიურ მრეწველობაში მფარველობითი სისტემის შემოღებაზე და სხვა. მრეწველობის ეს სამივე დარგი ინგლისელების ხელში იმყოფება. პირიქით, მრეწველობის იმ დარგების მიმართ, რომლებიც ინგლისელებმა მიიკუთვნეს, ეკონომიური სარგებლობისა და სამხედრო ინტერესების გულისთვის ტარდება მფარველობითი სისტემა. ინდოეთის მრეწველობის დახშობის ამ ტენდენციასთან ერთად, ერთის შეხედვით გაუგებარია ის, რომ ინგლისის კაპიტალის ექსპორტი ამ ქვეყანაში იზრდება განუწყვეტლივ და 1928-29 წ. აღწევს მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტს. მაგრამ თუ დავუკვირდებით როგორ იხარჯება ეს კაპიტალი, დავინახავთ, რომ მისი დიდი ნაწილი იხარჯება ირიგაციაზე, რკინისგზების მშენებლობაზე და მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ნედლეულის გატანას ქვეყნიდან. დანარჩენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი დაბანდებულია ჩაის პლანტაციებში, ჯუტის მრეწველობაში, ე. ი. მიმართულია სოფლის მეურნეობის ექსპლოატაციისაკენ. ინგლისიდან გატანილი კაპიტალის მოგება მეტროპოლიაში ბრუნდება. ამგვარად ინგლისის კაპიტალი არა თუ ხელს არ უწყობს ინდოეთის მრეწველობის განვითარებას, არამედ, პირიქით, ხელს უშლის მას, რადგან ეს საშუალებას აძლევს ინგლისს გაბატონებული როლი ითამაშოს ინდოეთში და ამავე დროს გაიტანოს მთელი მოგება.

1920 — 1926 წ. პერიოდის დამახასიათებელი ფაქტები — ინგლისის და ინდოეთის კაპიტალის თანამშრომლობა და ინდოეთის მრეწველობის ზრდა — ახლა შეიცვალა. ახალი სამრეწველო დეპრესია, ფაბრიკების რიცხვის შემცირებით, სამუშაო ხელფასის დაკლებით და უმუშევრობით, რომლებიც გამოწვეულია სავალიუტო რეფორმით, განსაკუთრებით აძლიერებს კრიზისს. რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესი ინდოეთში ახლაც მიმდინარეობს, მიუხედავად ინგლისის სურვილისა. ინდოეთი შევიდა კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის წრეში და ინდუსტრიალიზაცია ამ მოვლენის მხოლოდ აუცილებელი შედეგია. ინგლისი იძულებული გახდა, ომის მიერ შექმნილი პირობების გამო, რომელშიაც ნაკლები როლი არ ითამაშა საზღვარგარეთის კაპიტალის კონკურენციამ ინდოეთის ბაზარზე, საშუალება მიეცა ინდოეთისათვის დროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით დამდგარიყო სამრეწველო განვითარების გზაზე. ახლა ინგლისი არ ატარებს მრეწველობის წაქეზების იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა ომის პირველ წლებში, ცდილობს თავისი კაპიტალი, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ჰხმარდებოდა, გაათავისუფლოს, მობილიზაცია უყოს ინდოელთა ადგილობრივ საშუალებებს მის საბოლოო დასამონებლად, რომ იგი ინგლისის საქონლის გასაღების ბაზად იქცეს. მაგრამ კაპიტალისტური მრეწველობა ინდოეთში ყოველწლიურად იზრდება იმ ექსპლოატაციის შედეგად, რომელიც მრეწველობის განვითარებისათვის შესაფერ პირობებსა ჰქმნის. ეს ფაქტი აღნიშნა უკვე კომუნისტური ინტერნაციონალის მე-VI კონგრესმა: „უკანასკნელ წლებში სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი ბრიტანეთის ინდოეთში 15% გაიზარდა, ინდოეთის მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალი კი გაიზარდა 200%-ით“.

ახლაც კი, მიუხედავად ღრმა კრიზისისა, ინდოეთის მრეწველობის პროდუქცია იზრდება. მისი ხვედრითი წონა უმნიშვნელოა, მაგრამ თვით ფაქტი მისი ზრდისა ძალზე დამახასიათებელია.

ინდოეთის მრეწველობის მთავარი დარგების მდგომარეობა ასეთია:

საფეიქრო მრეწველობა: 334 საფეიქრო საწარმოო, 8.714.168 ჯარაა, 159.464 საქსოვი დაზგა, 373508 მუშა, წლიური პროდუქცია 1928-29 წელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში 3.830 მილ. იარდი, რაც 1927-28 წელთან (4.330 მილ.) შედარებით, საგრძნობ შემცირებას იძლევა. ბამბეულის ქსოვილის ექსპორტი ყოველწლიურად კლებულობს. 1927/8 წ. გატანილ იქნა 168,6 მილ. იარდი, 1928/29 წ. 149,2 მილ. ეს აიხსნება სხვა ქვეყნების კონკურენციით საგარეო ბაზარზე,

ჯუტის ქარხანა.

რომლებიც უკეთესი ხარისხის პროდუქციას იძლევიან, ვიდრე ინდოეთი. ჯუტის მრეწველობას აქვს ახლა 90 საწარმო, 327.400 მუშა, 48.500 საქსოვი დაზგა და 1.017.500 ჯარა. 1927/28 წ. გამომუშავებულ იქნა 696 ათასი ტონი ნედლი ჯუტი.

მეტალურგიული მრეწველობა ყველა დარგში გვიჩვენებს ზრდას გასულ წლებთან შედარებით. 1927-28 წ. დამზადდა 875 ათასი ტონი თუჯი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

420 ათასი ტონი ფოლადი, 320 ათასი ტონი ფოლადის ნაწარმოები.

ინდოეთის უმთავრესი სამრეწველო ქალაქები და ამავე დროს ნავსადგურები არის კალკუტა, ბომბეი, მადრასი, კარაჩი, რანგუნი. ამათ გარდა სავაჭ-



ბომბეის ქუჩა.

რო და სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ლაგორს, ამრიტსარს, კაუნპორს, დელის და სხვა. ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ბომბეის და კალკუტას. ბომბეის აქვს შესანიშნავი ნავსადგური, მასშივეა მრავალი საფეიქრო ფაბრიკა, მანქანათმშენებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოები, წისქვილები და ტყავის მსხვილი ქარხნები. კალკუტა თამაშობს ჯუტის, ჩაის და ნახშირის მრეწველობის ცენტრის როლს. მის მიდამოებში იმყოფება ქაღალდის, ჭურჭლის ფაბრიკები, ბრინჯის საწმენდი, ზეთის სახდელი, ტყავეულობის ქარხნები და სხვა.

საფაბრიკო მრეწველობის გარდა ინდოეთში დღემდე ძალიან განვითარებულია შინამრეწველური ხელობა, რომელთაგან პირველი ადგილი უჭირავს მქსოველობას და აკმაყოფილებს სოფლების მოთხოვნილებას. ხელით სამუშაო დაზგების რაოდენობის გამორკვევა ძალიან ძნელია, მაგრამ ცნობილია, რომ მათი რიცხვი აღემატება რამდენიმე მილიონს. კაპიტალისტური წარმოების გავლენით გამოწერილ ხელოსანთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინდოეთში მაინც 20 მილიონზე მეტი ხელოსანი ითვლება.

ვაჭრობა

ინდოეთი ეკუთვნის იმ ქვეყნებს, სადაც, მიუხედავად სიღარიბისა, სავაჭრო ბალანსი ყოველთვის დადებითია. ინგლისი სარგებლობს ამ მოჩვენებითი მდგომარეობით და გაჰკივის ინდოეთის წარმატებაზე მისი მფარველობის ქვეშ. ნამდვილად კი ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსი სრულიად არ ამტკიცებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას, თითქოს ქვეყანა ეკონომიური წინსვლის სტადიაში იმყოფებოდეს.

ინდოეთის ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსი აიხსნება მისი კოლონიალური მდგომარეობით, რის შედეგადაც მხარე იძულებულია მეტი გაიტანოს, ვიდრე შემოიტანოს. ის ძალზე ღარიბია, რომ იყიდოს, მეორე მხრივ ისეთი პირველი საჭიროების საგნების შეტანა ინდოეთში, როგორიცაა მანქანების მოწყობილობა, იძულებით ფერხდება. თუმცა ახლა მდგომარეობა რამდენიმედ შეიცვალა, მაგრამ ინდოეთს მაინც ძალიან მცირე რაოდენობით შეაქვს მანქანები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ინდოეთი, რომლის განვითარება ხელოვნურად იბოჭება, უფრო მეტ გაჭირვებას განიცდის იმპორტის, ვიდრე ექსპორტის შემცირებით. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს მსოფლიო ომის პერიოდი, როცა მანქანების შემოტანის შემცირებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა ინდოეთის მთელს მრეწველობაზე. მეორე მხრივ ნაკლები როლი არ ითამაშა მაშინ ექსპორტის შემცირებამაც. ევროპის ბაზრების დახურვამ ინდოეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის გამოიწვია ბამბის, ჯუტის და სხვა საგნების ფასების ძლიერი დაცემა.

ინდოეთის მრეწველობის ზრდის მიხედვით ვითარდება მისი ვაჭრობაც. 1919-20 წ. ექსპორტმა მიაღწია სარეკორდო ციფრს — 1.180 მილ. მანეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის შედეგად, რომ მოთხოვნილება ჯუტის ნაწარმოებზე, კაუჩუკზე, ტყავზე, ქსოვილზე საგრძნობლად გაიზარდა.

ომის დროს ადგილი ჰქონდა შემოტანილ და გატანილ ღირებულებათა ძლიერ ზრდას, ომის შემდეგ მან დაცემა იწყო; ეს აიხსნება რუპიის კურსის აწევით და ფასების ზრდით, ისე რომ, თუმცა საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა (ფულში გამოხატული) ომის დროინდელზე უფრო მაღალი იყო, მაგრამ ვაჭრობის რაოდენობა, საქონლის რაოდენობის მიხედვით, ძალზე შემცირდა.

საგარეო ვაჭრობა დღეს ამჟღავნებს ინგლისისათვის რამოდენიმედ უსიამოვნო პროცესს, რის გამოც ინგლისის პრესას ისტერიკა ემართება. დიდი ბრიტანეთის წილი ამ ვაჭრობაში, როგორც ექსპორტში, ისე იმპორტში, თანდათან კლებულობს. მის დატოვებულ პოზიციებს იკავებს პირველ რიგში იაპონია (13%) და შეერთებული შტატები.

ინდოეთის საერთო იმპორტი ამჟამად 20 მილ. მანეთს უდრის. მას შემოაქვს გამზადებული ფაბრიკატები, გააქვს კი უმთავრესად ნედლეული.

როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო საბითუმო ვაჭრობა, უმთავრესად ინგლისელების ხელშია; საცალო ვაჭრობა თითქმის სავსებით ინდოელებს ეკუთვნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგარეო ვაჭრობა უმთავრესად ზღვით სწარმოებს. ხმელეთით ვაჭრობა ავღანისტანთან, სპარსეთთან, ტიბეტთან და დასავლეთ ჩინეთთან საგარეო ვაჭრობის მთელი ბრუნვის მხოლოდ 5%-ს შეადგენს.

ინდოეთის საგარეო ვაჭრობა სარგებლობს ეგრეთ წოდებული სადევიზო ბანკების კრედიტით, რომლებიც საექსპორტო ვაჭრობას ემსახურებიან. ამის შემდეგ გასაგები ხდება ინდოეთის მჭიდრო დამოკიდებულება საგარეო კაპიტალზე, რადგანაც ინდოეთის საგარეო ვაჭრობა სწარმოებს ინგლისიდან შემოტანილი კაპიტალით, რაც უზრუნველყოფს ინდოეთის მიერ საზღვარგარეთიდან შეტანილი საქონლის ფულის გადახდას.

შინაური ვაჭრობა ფინანსიურ დახმარებას იღებს ინდოეთის საიმპერიო ბანკისაგან, სააქციო ბანკებისა და კერძო ბანკირებისაგან, რომლებიც აძლევენ სესხს საქონლის გირაოთი ან შინაური თამასუქებით.

ინდოეთში არსებობს მთელი რიგი არაოფიციალური ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ინდოელ ვაჭრებს. იმათ უწოდებენ სავაჭრო პალატებს. ისინი თითქმის ყველა მსხვილ სამრეწველო ცენტრში არსებობენ. ინდოეთის ბურჟუაზიის ზეგავლენის შედეგად ინგლისის მთავრობა დროგამოშვებით აძლევს მათ ზოგიერთ შეღავათს. ასეთია, მაგალითად, წარმომადგენლების გაგზავნა ცენტრალურ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ რაიმე მნიშვნელოვან როლს ეს პალატები არ თამაშობენ.

ინდოეთის ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობა საკმაოდ მერყეევია მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის სისუსტის გამო. ინგლისის სავაჭრო წრეებში დროგამოშვებით პირდაპირ პანიკა იქმნება ხოლმე ინდოეთის ბაზრის მცირეტევადობის გამო. ის სულ უფრო ნაკლებად ასრულებს ინგლისის ბაზრის როლს და ვერ იძლევა ომისა და გაფიცვებისაგან გამოწვეული კრიზისის შედეგების დაძლევის შესაძლებლობას.

იაპონია, ბელგია, გერმანია, შეერთებული შტატები ცდილობენ დაიპყრონ ინდოეთის ბაზარი და ამ მიზნით ავსებენ მას ფოლადის, რკინის და საფეიქრო საქონლით.

ომის შემდეგ ინგლისის მდგომარეობა მით უფრო კატასტროფიულია, რომ ის განდევნილ შეიქნა მსოფლიო ბაზრიდან. ინდოეთის ბაზარმა მისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, და ინგლისიც ცდილობს, რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს ის თავისი პოლიტიკური ძალა-უფლების საშუალებით. ამავე დროს ინდოეთის ბაზარი თანდათან იკვეცება, რადგან ინდოეთის ექსპორტის მომხმარებელი ევროპის ქვეყნების სყიდვითი უნარიანობა ძალზე დაეცა.

როგორ ებრძვის ინგლისის იმპერიალიზმი შექმნილ პირობებს? ის ყოველგვარ ღონეს ხმარობს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მოსპოს ადგილზე ინდოეთის მრეწველობის კონ-
კურენცია და ინდოეთი გადააქციოს მხოლოდ და
მხოლოდ საქონლის გასაღების და ნედლეულის ბაზად.
ინგლისისათვის ეს მით უფრო აუცილებელია, რომ
მისი საკუთარი მრეწველობა თანამედროვე სტანდარ-
ტიზაციაქმნილ მასიურ წარმოებასთან დაკავშირებით,
სულ უფრო და უფრო მეტ ნედლეულს და სათ-
ბობ მასალას საჭიროებს, რომ არაფერი ვთქვათ სა-
ქონლის გასაღების ბაზარზე. ამ მიზნით ინგლისი,
ერთის მხრივ ამცირებს თავისი კაპიტალის ექსპორტს
ინდოეთში, აბრკოლებს ადგილობრივი მრეწველო-
ბის განვითარებას და ცდილობს დაეუფლოს ბაზარს,
მეორეს მხრივ, ის აძლიერებს კაპიტალის ექსპორტს
სხვა ქვეყნებში და ამნაირად სძლევს მაღალი პრო-
ტექციონისტული ბაჟების სისტემას, რაც ხელს უშ-
ლის სხვა ქვეყნების ბაზრების დაპყრობას.

სახელმწიფო წყობილება.

ქ. დელიდან რამდენიმე მილის მანძილზე, სადაც
იმყოფება ინგლისის ვიცე-კოროლის ოფიციალური
საზამთრო რეზიდენცია (ზაფხულის სიცხეებისგან ის
თავს იფარავს მთაგორიან სიმლაში), გაფენილია მკვდა-
რი ქალაქი. მას ეწოდება ახალი დელი. ამ ქალაქში
არაა არც სავაჭროები, არც ბაზრები, არც საცხოვ-
რებელი ბინები. ის გაშენებულია არქივებისა, საქ-
მეებისა და მთავრობის მოხელეებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხელეები, უმთავრესად ინგლისელი კლერკები, იმყოფებიან ამ ქალაქში დღისით, უკეთ რომ ვთქვათ, დილით და საღამოთი. დღისით მასში ძალზე ცხელა, ღამით კი ახალი დელი ცალიერდება და მასში მხოლოდ დარაჯები დაეხეტებიან.

ახალი დელი—ესაა გამარჯვებული ინგლისელი ბიუროკრატის, „ჩინოვნიკის“ აპოთეოზი, რომელიც შეზრდია სხვა ქვეყანას პარაზიტულ მცენარედ და უკანასკნელ სისხლს სწოვს მას ბიუროკრატიული აპარატის შესანახად.

ინდოეთს ეჯავრება ახალი დელი; მასზე დახარჯული მილიონებით გამოწვეულ აღშფოთებას არა ერთხელ მოუცავს მუშათა მიტინგები. თვით ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსაც კი წამოსცდებათ ხოლმე თავის პრესაში რამდენიმე სიტყვა მშიერი გლეხობისა და „ინდოეთის პარლამენტის“ ფუფუნებით მორთული სასახლეების შესახებ. მათი ფრაზები, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის დემაგოგიაა, ისინიც არ იტყვიან უარს ამ სასახლეებში მოკალათებაზე, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ისინიც გრძნობენ ცოტაოდენ უხერხულობას.

1929 წ. აპრილის დასაწყისში ახალმა დელიმ საომარი კურთხევა მიიღო: ინგლის-ინდოეთის საკანონმდებლო კრების საუცხოვო დარბაზში საზოგადოებრივი უშიშროების ბილის განხილვის დროს გადასროლილ იქნა ორი ყუმბარა. ყუმბარებმა დაამსხვრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მომხრეთა მიერ დაკავებული სკამები და დასჭრა რამდენიმე კაცი. ყუმბარებთან ერთად დარბაზში გადასროლილ იქნა რამდენიმე ფურცელი. ფურცელს ხელს აწერდა „ბალრაჯი, ინდოსტანის რესპუბლიკანური სოციალისტური არმიის მთავარსარდალი". ტიტული თუმცა ახირებულია, მაგრამ ბალრაჯის სიტყვები უბრალო და გასაგებია.

ის ამბობს: „ინდოეთის ხალხი მოელის საიმონისგან რაღაც ნამცეცებს და თითქმის დაობს კიდეც არარსებული ძვლების გაყოფაზე, მთავრობა კი განაგრძობს თავის რეპრესიებს, სცემს კანონებს საზოგადოებრივი უშიშროების და მუშათა არეულობების შესახებ. ყოველი შემთხვევისათვის მოთადარიგებული აქვს კანონი საგიტაციო წერილების წინააღმდეგ პრესაში. ის ატუსაღებს მუშათა აქტიურ ბელადებს, რითაც გვაგრძნობინებს, რომ მისგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ".

ფურცელი მიმართულია უპირველეს ყოვლისა ინგლისელი ბიუროკრატის საიმონის წინააღმდეგ, რომელიც მივიდა ინდოეთში „ჩინოვნიკობის" ბატონობის განსამტკიცებლად.

მთავრობის მოხელე ინდოეთში ყველაფერია, ინდოეთი ეკუთვნის მას, მას ემორჩილება მთელი სახელმწიფო აპარატი. ინდოელმა ნაციონალისტებმაც, ინგლისის მთავრობისადმი წაყენებული კონსტიტუციონური მოთხოვნილებების დროს, არ დაივიწყეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემატებინათ, რომ ინგლისელ მოხელეებს. რჩებათ დიდი ჯამაგირები და პენსიები.

როგორ დაეპატრონა მთავრობის მოხელე ინდოეთს?

150 წლის წინად ინდოეთის ნახევარკუნძული დაიპყრეს ინგლისელმა ვაჭრებმა. ამ ვაჭრებმა იგი ნაწილობრივ იარაღით დაიპყრეს, ნაწილობრივ დიპლომატიური ოსტატობის, მოტყუების და მოსყიდვის საშუალებით. შემდგომ ისინი იძულებული შეიქნენ შინაური არეულობის პერიოდში დაპყრობილი ქვეყანა ინგლისის მთავრობისთვის გადაეცათ.

ამ გადაცემის შემდეგ ინდოეთის დიდ ნაწილს ეწოდა ბრიტანეთის ინდოეთი—ინდოეთის იმპერია, საკუთრივ ინდოეთისაგან განსხვავებით, რომელიც შესდგება მთელს ნახევარკუნძულზე გაფანტულ რამდენიმე სამთავროსაგან, ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მყოფი თავადების—რაჯებისა და მაგარაჯების—მმართველობით.

ბრიტანეთის ინდოეთის სივრცე უდრის 1.094.360 კვ. მილს, ე. ი. მთელი ინდოეთის სივრცის (1.805.332 კვ. მილის) 61%-ს. ინდოელ სახელმწიფოთა ნაწილზე მოდის 711.032 კვ. მილი ანუ 39%.

ბრიტანეთის ინდოეთის მოსახლეობა შეადგენს 247.003.293 კაცს, ე. ი. 77%. ადგილობრივ-სამთავროების მოსახლეობის რაოდენობა უდრის 71.939.187 კაცს ანუ 23%-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის ინდოეთის მმართველობა სწარმოებს 1919 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მიხედვით, რომელსაც ვადა გაუვიდა 1929 წელს.

ამ რეფორმის თანახმად ბრიტანეთის ინდოეთი გაყოფილია 15 პროვინციად. ამათგან მადრასს, ბომბეის, ბენგალიას, შეერთებულ პროვინციებს პენჯაბს, ბიხარას და ორისას, ცენტრალურ პროვინციებს ბირმას და ასამს განაგებენ გუბერნატორები. დანარჩენ ექვს პროვინციას განაგებენ საიმპერიო ანუ ცენტრალური ხელისუფლების აგენტები.

ინდოეთის კონსტიტუცია ძალიან რთული და არეულია. ამას ერთხელ აღნიშნავდენ თვით ინგლისელები. ინდოეთს განაგებს ლონდონში მყოფი ინდოეთის საქმეების სტატ-სეკრეტარი და ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნული ვიცე-კოროლი, რომელსაც რეზიდენცია აქვს ინდოეთის სატახტო ქალაქ დელში. ამ ორი ცენტრის გარშემო თავს იყრის უზარმაზარი ბიუროკრატიული სამყარო.

ინდოეთის საქმეების სტატ-სეკრეტარი ინიშნება ინგლისის მთავრობისაგან, ის პასუხისმგებელია მხოლოდ ინგლისის პარლამენტის წინაშე და აღჭურვილია ინდოეთის მთავრობის კონტროლის, ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის უფლებებით, განაგებს ამ ქვეყნის შემოსავალს და ხელმძღვანელობს ყველა ოფიციალურ პირს, რომლებიც დანიშნული არიან 1919 წ. კონსტიტუციის ძალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატ-სეკრეტარის პასუხისმგებლობა ინდოეთის საქმეებზე პარლამენტის წინაშე ნომინალურია იმიტომ, რომ ინდოეთი არ თამაშობს დიდ როლს ინგლისის პარტიების პოლიტიკაში.

ინგლისის საქმეების სტატ-სეკრეტართან იმყოფება ე. წ. ინდოეთის საბჭო ანუ ინდოეთის საქმეების სამინისტრო. სამინისტროში შედის 8—12 წევრი, რომელთაც სტატ-სეკრეტარი ნიშნავს.

ჯამაგირს ისინი იღებენ ინდოეთის ბიუჯეტიდან, ამიტომ ინდოელები განუწყვეტლივ მოითხოვენ ამ პარაზიტული ორგანოს მოსპობას.

მეორე პირი ინდოეთის საქმეების მმართველობაში არის ვიცე-კოროლი, რომელსაც მიკუთვნებული აქვს ყველა სამხედრო და სამოქალაქო უწყების მმართველობის კონტროლის უფლებები. ვიცე-კოროლი, რომელსაც სხვანაირად ეწოდება ინდოეთის გენერალ-გუბერნატორი, ინიშნება 5 წლის ვადით. მასთან არსებობს აღმასრულებელი ორგანო 8 კაცის შემადგენლობით, რომელიც ინიშნება ინგლისის მთავრობისა და ინდოეთის არმიის მთავარსარდლის მიერ.

ჩვეულებრივად ვიცე-კოროლი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს აღმასრულებელი საბჭოს აზრს და მის ხმას აქვს უპირატესობა მხოლოდ ხმების თანაბარი გაყოფის დროს. მაგრამ იმ საკითხებში, რომელიც თავდაცვასა და საერთოდ ბრიტანეთის ინდოეთის ინტერესებს შეეხება, მას უფლება აქვს საბჭოს დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვად თვითონ გამოიტანოს გადაწყვეტილებები. ამგვარად, პრაქტიკული პოლიტიკის საკითხებში ვიცე-კოროლი ინდოეთში არის ნამდვილი დესპოტი და დამოკიდებულია მხოლოდ სტატ-სეკრეტარზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები სათავეში უდგანან ინდოეთის ცხრა სახელმწიფო დეპარტამენტს: ფინანსების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სხვა დეპარტამენტებს, გარდა საგარეო საქმეთა დეპარტამენტისა, რომლის სათავეში თვით ვიცე-კოროლი დგას.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ე. წ. ინდოეთის პარლამენტს, რომელიც შესდგება სახელმწიფო საბჭოსა და საკანონმდებლო კრებისაგან.

სახელმწიფო საბჭოში შედის 34 არჩეული წევრი, 6 დანიშნული არაოფიციალური პირი და 20 ოფიციალური პირი, ე. ი. მოხელე.

. საკანონმდებლო კრებაში შედის 103 ამორჩეული წევრი და 41 დანიშნული პირი, რომელთაგანაც 26 მოხელეა.

ვიცე-კოროლის აღმასრულებელი საბჭოს წევრები ერთდროულად შედიან წევრებად ამა თუ იმ პალატაში და ხმის უფლება აქვთ, იმ პალატაში, სადაც მივლინებული არიან.

ვიცე-კოროლს უფლება აქვს დაითხოვოს პალატა, ან გააგრძელოს სესია თავისი შეხედულებისამებრ.

ბილი რომ კანონად იქცეს, იგი ორივე პალატამ უნდა მიიღოს. მაგრამ ის შეიძლება ვიცე-კოროლმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანვე დააბრუნოს ხელახლა გასარჩევად. საერთოდ, ინდოეთის საკანონმდებლო ორგანოს უფლებები ძალიან შეზღუდულია. მას უფლება არა აქვს გამოიტანოს დადგენილება იმ საკითხებზე, რომელიც შეეხება ინდოეთის საზოგადოებრივ ვალს ან საზოგა-



ახალი დელი.

დოებრივ შემოსავალს, რელიგიას, რელიგიურ წესებსა და ინდოეთში მცხოვრებ ბრიტანეთის ქვეშევრდომთა რომელიმე კლასის ზნე-ჩვეულებებს, ქვეითა, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალთა რომელიმე ნაწილის დისციპლინას ან შენახვას, მთავრობის დამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებულებას უცხოეთის ხელმწიფეებთან ან სახელმწიფოებთან და სხვა. რა თქმა უნდა, არცერთი აქტი ან ღონისძიება არ შეიძლება დაისვას პალატაში განსახილველად ვიცე-კოროლის წინასწარი სანქციის გარეშეც.

როგორც სახელმწიფო საბჭოს, ისე საკანონმდებლო კრებას, მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებათა განხილვის დროს შეუძლია მისი უარყოფა, როგორც ეს იყო, მაგალითად, ამასწინად, მარილზე აქციზის მომატების კანონის ან ფინანსიური ბილის მიმართ, რომლებიც უარყოფილ იქნა საკანონმდებლო კრებისაგან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვიცე-კოროლს აქვს „ვეტოს“ უფლება, რომელიც აუქმებს საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებებს.

პროვინციების მმართველობა წარმოადგენს ცენტრალური ადმინისტრაციის მინიატურულ განმეორებას, იმ განსხვავებით, რომ ინდოეთის ცენტრალურ ხელისუფლებაზე მაღლა დგას ინდოეთის სტატ-სეკრეტარი, პროვინციალურზე კი — ვიცე-კონსული თავისი აღმასრულებელი საბჭოთი.

1919 წლის კონსტიტუციის ძალით ინდოეთი გაყოფილი იყო 13 პროვინციად; ამათში ცხრა პროვინციამ (ბენგალიამ, მადრასმა, ბომბეიმ, პენჯაბმა, ბიხარამ, ორისმა, ასამმა, ცენტრალურმა პროვინციებმა და ბირმამ (რომელიც 1922 წ. შევიდა ამ პროვინციების შემადგენლობაში) მიიღო შეზღუდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შინაური თვითმართველობა—დიარხია. დანარჩენ ოთხ პროვინციაში—დელში, აჯერ-მერვარსა, კურგსა, ჩრდილო-დასავლეთის პროვინციებსა და ბელუჯისტანში დაყენებულ იქნენ რწმუნებულები.

1919 წ. რეფორმის მიხედვით პროვინციალური მთავრობების ფუნქციები გაორდა. აქედან ინდოეთის მმართველობის პროვინციალურმა სისტემამ მიიღო „დიარხიის“ ანუ ორხელისუფლიანობის სახელწოდება. დიარხიის სისტემის თანახმად, ინდოეთის 9 მთავარ პროვინციას თავისი ადმინისტრაციის შემადგენლობაში ჰყავს სახელმწიფო მოსამსახურენი, და ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები. პირველთ ეკუთვნის გუბერნატორი თავისი აღმასრულებელი საბჭოთი, რომელიც შესდგება ერთი ინდოელისა და ორი ინგლისელი მოხელისაგან; მათი გამგებლობის ქვეშაა ფინანსები, ვაჭრობა, მრეწველობა, გადასახადები და კანონმდებლობა. მოსახლეობის წარმომადგენლებად ითვლებიან მინისტრები (მათი რიცხვი უდრის ორს ან სამს, პროვინციების სიდიდის მიხედვით), რომელნიც ინიშნებიან გუბერნატორის მიერ არჩეულ პროვინციალურ საკანონმდებლო საბჭოს წევრთაგან. მათ ექვემდებარებათ განათლების, ჯანმრთელობის, და საზოგადოებრივ სამუშაოთა საქმეების მმართველობა. ქვეყნის თავდაცვა, საგარეო ურთიერთობა და პოლიტიკური ხასიათის ყველა საკითხი იმყოფება ცენტრალური მთავრობის უშუალო და განსაკუთრებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლის ქვეშ, რომელიც თავის მხრივ ემორჩილება ლონდონს.

ორი პალატის სისტემა პროვინციალურ საკანონმდებლო კრებაზე არ ვრცელდება. თვითეულ პრო-



მთავრობის სპილო.

ვინციას თავისი საკანონმდებლო საბჭო ჰყავს, რომელთა წევრების რიცხვი სხვადასხვაა პროვინციის მიხედვით. ასე, მაგალითად, ბენგალიის საკანონმდებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოში 125 წევრია, ასამისაში კი—53. 1919 წლის კანონის მიხედვით თვითეულ საბჭოში ყოველ შემთხვევაში 70% უნდა იყოს ამორჩეული წევრები, ოფიციალურ პირთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს, აღმასრულებელი საბჭოს წევრები აუცილებლად უნდა შედიოდენ საკანონმდებლო საბჭოში. პროვინციალური საკანონმდებლო საბჭოს მიმართ გუბერნატორს აქვს იგივე უფლებები, რაც ვიცე-კოროლს ცენტრალურ საკანონმდებლო კრებაში.

განსაკუთრებით რთულია საარჩევნო სისტემა, რომელიც შექმნილია 1919 წლის კონსტიტუციის მიხედვით. ეს სისტემა ცვალებადია პროვინციის, მოსახლეობის, საარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესის მიხედვით. ქალები (ორიოდე ქალაქის უმაღლესი კასტის მცირეოდენი გამონაკლისით) მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას; გლეხობას, ქალაქის პროლეტარიატს და წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობას საარჩევნო უფლება წართმეული აქვს მაღალი ქონებრივი და საშემოსავლო ცენზის დაწესების გამო. მასებმა ვერ მიიღეს ვერავითარი უფლებები რეფორმის შედეგად. ინგლისის მთავრობა ამ შთაბეჭდილების გაქარწყლების მიზნით თავის მხრივ ნიშნავს წარმომადგენლებს საკანონმდებლო ორგანოებში მუშების ინტერესების დასაცავად.

ბოლოს და ბოლოს ბრიტანეთის ინდოეთის 247.138.396 მცხოვრებთაგან სახელმწიფო საბჭოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობს 17.644 კაცი; საკანონმდებლო საბჭოში 909.603 კაცი და პროვინციალურ საკანონმდებლო საბჭოებში 5.346.768 კაცი. გასაკვირი არაა, რომ 1919 წ. კონსტიტუციამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ფართო მასებში, რომელნიც მოტყუებულნი დარჩენ რეფორმატორებისაგან. დროთა მსვლელობაში აშკარა გახდა, რომ კონსტიტუციით ისარგებლა უმთავრესად ინგლისის მთავრობამ. ასე, მაგალითად, ორხელმწიფების სისტემის შედეგად არა მარტო პროვინციების მმართველობის მთავარი ფუნქციები დარჩა ინგლისის მთავრობის მოხელეებს, რომლებიც არავის წინაშე არ არიან პასუხისმგებლები, გარდა ინგლისელ გუბერნატორისა, არამედ ეს სისტემა მათ ორმაგი პოლიტიკის წარმოების საშუალებას აძლევს; ისინი იწვევენ შეღლს აღმასრულებელ საბჭოს მოხელეთა და მინისტრებს შორის, რის შედეგადაც მინისტრებს უმორჩილებენ ოფიციალური ფინანსიური ექსპერტის კონტროლს, რომელსაც მათი ანგარიშების გადახდაზე უარის თქმით შეუძლია მინისტრების მთელი მუშაობის ჩაშლა. თავისი ამომრჩევლების წინაშე პასუხისმგებელი მინისტრები ხშირად ვარდებიან ყალბ მგომარეობაში, რადგან ამომრჩევლები მათ ბრალს სდებენ მოხელეების მიერ ჩადენილ შეცდომებში, რომლებიც ვალდებული არ არიან ინდოეთის საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწიონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტიდან ინდოელ ნაციონალისტებს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ მისი უვარგისობა. ზოგიერთ პროვინციაში ორხელმწიფების სისტემა მათ მიერ ჩაშლილ იქნა და უკანასკნელ დრომდე არ მოქმედებდა.

1919 წ. კონსტიტუციის აქტის თანახმად, არა უგვიანეს 10 წლისა, ე. ი. 1929 წ., ინდოეთი იღებს ახალ კონსტიტუციას, რომელიც პირველთან შედარებით „უდიდესი ნაბიჯი“ იქნება წინ ინდოეთის სრული დამოუკიდებლობისაკენ. ეს დამოუკიდებლობა კი სხვადასხვანაირად ესმით ინგლისს და ინდოეთს. წინასწარ განსაკუთრებულ კომისიას უნდა შეემოწმებინა, თუ რამდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა კონსტიტუცია ინდოეთისათვის.

1919 წლის რეფორმების გადამსინჯველი კომისია შესდგა 1927 წლის ნოემბერში, ხოლო ინდოეთს მოევლინა 1928 წ. თებერვალში. ინდოელი ნაციონალისტების მოლოდინის წინააღმდეგ, ის მთლიანად შედგენილ იქნა ინგლისელებისაგან—ინგლისის პარლამენტის წევრებისაგან, მასში არცერთი ინდოელი არ შესულა.

ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ინდოელთა მონაწილეობა კომისიაში არაა სასურველი, რადგან ინდოეთის კონსტიტუციის სრული პასუხისმგებლობა ინგლისის პარლამენტს აწევსო. ინდოეთის მთავრობას უფლება მიეცა საკუთარი კომისიის შექმნისა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო საბჭოსა და საკანონმდებლო კრების წევრებისგან. ამ კომისიას უნდა შეემუშავებინა კონსტიტუციის საკუთარი პროექტი და შეეტანა ის განსახილველად ინგლისიდან ჩამოსულ კომისიაში, რომელმაც თავისი თავმჯდომარის გვარის მიხედვით **საიმონის** კომისიის სახელწოდება მიიღო. თავის მხრივ პროვინციალური მთავრობებიც ვალდებული არიან წარადგინონ პროექტები. ინგლისის მთავრობის რწმუნებით, კონსტიტუციის საბოლოოდ განხილვის დროს მხედველობაში იქნება მიღებული ამ კომისიების ყველა სურვილი და რჩევა, გარდა ამისა, მოწვეულ იქნება ინდოეთის ერთი წარმომადგენელი სათათბირო ხმით.

ინდოელმა ნაციონალისტებმა, რომლებიც ძალიან ბევრს მოელოდენ ახალი კონსტიტუციისაგან და იმედოვნებდენ ძველი კონსტიტუციის გადამსინჯავ კომისიაში ფართო მონაწილეობას, ხმა ალიმაღლეს მიყენებული შეურაცხყოფის გამო. მთელს ინდოეთში გაიმართა საპროტესტო მიტინგები და საიმონის კომისიას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის დაპყრობის მიზნით მოგზაურობდა მთელს ინდოეთში, ყველგან მტრულად შეხვდენ, უმცირესობის გამოკლებით, რომელთა ფეხქვეშ გათელილ ინტერესებზე ამ კომისიას ჰსურდა ინდოელი ნაციონალისტების საწინააღმდეგო პოლიტიკა აეშენებინა.

მაგრამ ნაციონალისტების მთელი რიგი ბელადები გამოდიოდენ საიმონის წინააღმდეგ, რადგანაც ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასები აიძულებდენ. ინგლისური გაზეთები იტყობინებოდენ, რომ ზოგიერთმა ნაციონალისტმა, რომელმაც ხმა მისცა პროტესტისა და ბოიკოტის რეზოლუციებს, არაოფიციალურად განუცხადა საიმონს, რომ მათი მოქმედება „მდგომარეობით", იძულებითაა გამოწვეული და რომ ისინი პირადად არ უთანაგრძობენ რეზოლიუციებს, რომელთაც საჯაროდ ხმა მისცეს.

საიმონის კომისია მოქმედებდა ინდოეთში ინგლისელების ჩვეული ტაქტიკის თანახმად. მან განხეთქილება შეიტანა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფში, გამოიყენა უმთავრესად სარწმუნოებრივი შუღლი, შემდეგ უკანვე დაბრუნდა ინგლისში და განაცხადა, რომ საქმეები არც ისე ცუდადაა და ოქტომბრისათვის, როცა ის მეორედ უნდა ეწვიოს ინდოეთს საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად, მდგომარეობა შეიძლება ძირ-ფესვიანად შეიცვალოსო. მართლაც, ინგლისიდან მეორედ წასვლის წინ გამოსამშვიდობებელ სიტყვაში საიმონმა განაცხადა, 9 პროვინციიდან რვამ უკვე აირჩია კონსტიტუციის რეფორმების გადამსინჯავი კომისიის დამხმარე კომიტეტებიო. რამდენიმე ეფექტიანი დემონსტრაციის გამოკლებით, ინდოეთის ბურჟუაზია მშვიდად თანამშრომლობდა საიმონთან, რომელსაც 1928 წ. შემოდგომაზე გაცილებით უფრო თბილად შეხვდენ ინდოეთში.

საკანონმდებლო კრებაში საიმონმა ინგლისში წასვლის წინ სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვამ უამრავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედი დაბადა ნაციონალისტებს შორის. გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც ირწმუნებოდენ, რომ საიმონს ინდოეთისათვის დომინიონის უფლების მინიჭება ჰსურსო. ინდოეთის ბურჟუაზია თავის დამცირებაში იქამდეც კი მივიდა, რომ ეს ახალი ამბავი „ძალიან კარგ ამბად“ გამოაცხადა. მალე ეს ხმები გაფანტულ იქნა პროვინციების გაერთიანებულ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ, რომელმაც განაცხადა, რომ, მიუხედავად დიდი სურვილებისა, საიმონის კომისიის ზრახვები არ შეიძლება გამოქვეყნდესო, საიმონი ყველაფერს საიდუმლოდ ინახავს და, ალბათ, თვითონაც არ იცის კარგად, როგორი გამოვა ინდოეთის კონსტიტუციაო. ამ თავმჯდომარეს ინგლისიდან ჩქარა გადაასხეს ცივი წყალი, როცა გაიგეს, რომ იგი გადაკვრით ლაპარაკობს ინდოეთისათვის კანადის მსგავსი კონსტიტუციის მინიჭების შესაძლებლობაზე.

ძალაუფლების სათავეში მაკდონალდის ჩადგომამ დიდი იმედები აღუძრა ნაციონალისტებს. მუშათა პრემიერმა ჯერ კიდევ 1927 წ. გამოსთქვა აზრი ინდოეთისათვის დომინიონის სტატუსის მინიჭების შესახებ, ნაციონალისტები კი მეტ პრეტენზიებს არც აცხადებდენ.

მაგრამ არც კაბინეტის შეცვლის გამო წარმოთქმულ სეფე-სიტყვაში, არც მაკდონალდის საპროგრამო სიტყვაში, კრინტიც არ იყო დაძრული ინდო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთზე. ინდოეთის ნაციონალისტებმა მოვლენათა დაჩქარების მიზნით მოითხოვეს ინგლისის პარლამენტისა და ინდოეთის ხალხის (სხვანაირად—ნაციონალისტების) წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევა, რომ შეთანხმებულად გარჩეულიყო საკითხი ინდოეთის მომავალის შესახებ. ლებორისტების მთავრობამ არავითარი პასუხი არ გასცა ნაციონალისტებს, სამაგიეროდ საიმონის კომისიის ანგარიშის შესახებ ცოტა რამ გამომჟღავნდა. დიდი უთანხმოება გამოიწვია კომისიის წევრთა შორის საკითხმა იმ დათმობათა საზღვრების შესახებ, რომელზედაც წასვლა ინგლისს განზრახული აქვს ინდოელი ნაციონალისტების მიმართ.

ამის შედეგად კომისიის ანგარიშში, რომელიც 1930 წელს უნდა გამოქვეყნდეს, ნაჩვენები იქნება, თუ რა უფლებებს ვერ მიიღებს ინდოეთი.

უკეთ რომ ვთქვათ, უკვე დღესაც აშკარაა, რომ ინდოეთს არ მიეცემა ბრიტანეთის იმპერიაში თანასწორი უფლებით შემავალი სახელმწიფოს არც უფლება, არც კონსტიტუცია, ე. ი. დომინიონად ის ვერ გახდება. ინგლისი უფლებას იტოვებს თვითონ განაგოს ქვეყნის თავდაცვის, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის (სავაჭრო პოლიტიკის საკითხების ჩართვით), ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ სამთავროებს შორის ურთიერთობის საკითხები. ინგლისინდოეთის მთავრობას განსაზღვრული უფლებანი ეძლევა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს კიდევ ცოტაა, კომისია მიზანშეწონილად სთვლის ისედაც ძალზე შეკვეცილი საარჩევნო უფლების გაფართოებას პროვინციალური საბჭოების არჩევნების დროს.

ამ ხმებთან დაკავშირებით ინდოელ ნაციონალისტებში შექმნილმა მღელვარებამ დაბადა ახალი ხმები, თითქოს ინგლისს სურდეს ინდოეთისათვის დომინიონის სტატუსის მინიჭება იმ პირობით, რომ იგი დაიტოვებს სამხედრო ძალების, საგარეო პოლიტიკის და ინდოეთის ფინანსების მუდმივი კონტროლის უფლებასო. მაგრამ იქვე უმატებდენ, რომ ავტონომია შემოღებული იქნება თანდათანობით და ქვეყანაში „წესრიგის“ დაცვის პირობით.

ინგლის-ინდოეთის მომავალი ურთიერთობის თვალსაჩინო ილუსტრაციას იძლევა ბომბეის პროვინციის კომისიის უარი იმ კანონის დამტკიცებაზე, რომელიც აფართოებდა მუნიციპალური არჩევნების უფლების მქონე პირთა რიცხვს იმ მიზეზით, რომ „ძლიერ გადიდებულია უვიც ამომრჩეველთა რიცხვი“.

ინგლისი თავის განზრახვას სრულიად არ ფარავს, მას სურს მისცეს რაც შეიძლება ცოტა და, თუ შესაძლებელი იქნება, არაფერიც არ მისცეს.

ეროვნული მოძრაობა.

ინდოეთის ეკონომიური განვითარების ხელოვნურმა შეჩერებამ და ადგილობრივი კაპიტალის ინგლისისადმი დამორჩილებულმა მდგომარეობამ ნიადაგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუქმნა ინდოეთის ნაციონალურ ბურჟუაზიულ მოძრაობას. ნაციონალური მოძრაობა ჩაისახა ინდოეთში ადგილობრივი ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით; ეს ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო იმ როლით, რომელიც მას მიაკუთვნა გამარჯვებულმა ინგლისმა. ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის (რომელიც დაიწყო მე-XIX ს. პირველ ათეულ წლებში) ეკონომიური იდეალი იყო ინგლისის საქონლის განდევნა, მისი ადგილის დაჭერა ინდოეთის პროდუქციით და აგრეთვე მთელი საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობის დაპყრობა. მისი პოლიტიკური იდეალი იყო თვითმართველობა, რასაც ინგლისის მთავრობასთან მეტად თუ ნაკლებად გამწვავებული ურთიერთობის დროს ინდოეთის ბურჟუაზია მოითხოვდა ან სრული თვითმართველობისა და ინგლისისაგან ჩამოშორების სახით, ან კანადის და ავსტრალიის მსგავსი თვითმართველობის სახით. ინდოეთის ნაციონალისტების განწყობილებათა გამომხატველი იყო ნაციონალური კონგრესი, ინგლისელების და მსხვილი მიწათმფლობელების მიერ 1885 წ. დაარსებული ორგანიზაცია. მისი სულის ჩამდგმელების აზრით, ამ ორგანიზაციას ერთგვარი მოჩვენებითი გამოსავალი უნდა მიეცა ინდოეთის ბურჟუაზიის მისწრაფებისათვის. კონგრესი იწვეოდა ყოველწლიურად დეკემბრის პირველ რიცხვებში, გამოჰქონდა დადგენილებები და პროტესტები, რომელთაც ანგარიშს არავინ არ უწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის წინა წლებში კონგრესი პოლიტიკური კლუბიდან გადაიქცა ბურჟუაზიის საომარ იარაღად, რომელიც დაირაზმა მის გარშემო ეკონომიური მონობიდან თავის დასახწევად. ბურჟუაზიას ეგონა, რომ მას მოთხოვნათა წამოყენების უფლება აქვს, რადგანაც ინდოეთმა ისმინა ინგლისის თხოვნა და დახმარება გაუწია ომის საქმეში — მისცა მას ხალხი და საგრძნობი თანხები.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ომამდე ინგლის — ინდოეთის მთავრობა, რომელიც ეყრდნობოდა ლოიალურ რეაქციონურ სოფლის არისტოკრატიას და საოგებლობდა ფართე მასების პასივობით, — ინდოეთის ბურჟუაზიას სთვლიდა ისეთ სუსტ კლასად, რომ არ მოელოდა რაიმე საფრთხეს მის მიერ შექმნილი მოძრაობისაგან და ამიტომ ებრძოდა მას რეპრესიებით. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მსოფლიო ომმა მისცა ბურჟუაზიას ეკონომიური შესაძლებლობანი, რომლებმაც იმდენად განამტკიცა მისი პოზიციები, რომ ინგლისი იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნებისთვის; ინდოეთს ნება დართეს ჯარის საჭიროებისათვის ზოგიერთი შეკვეთა შეესრულებია და, მეორეს მხრივ, გამოქვეყნებულ იქნა 1919 წ. კონსტიტუცია.

1919 წ. კონსტიტუციამ ვერავინ დააკმაყოფილა. მაშინ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ბურჟუაზიის გადაბირება თავის მხარეზე მთელი რიგი ეკონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათმობებით. 1921 წ. დაარსებულ იქნა ფისკალური კომისია, რომელსაც უნდა დაემუშავებინა საკითხი საბაჟო ავტონომიის შესახებ. 1923 წ. დაარსდა სატარიფო ბიურო, რომელიც ინდოელი და ინგლისელი კაპიტალისტების დამაკავშირებელ რგოლად იქცა. ამ ბიუროს პირველი ღონისძიება იყო მმართველობითი სისტემის შემოღება ინდოეთის მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის, ფოლადის ჩამომსხმელი წარმოებიდან დაწყებული.

ინდოეთის მსხვილი ბურჟუაზია ამ ღონისძიებით დაკმაყოფილდა. იაპონელების კონკურენციამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა ის ინგლისელ კაპიტალისტებთან, რომლებთანაც მან შექმნა ერთიანი ფრონტი ინდოეთის ბაზრისათვის საბრძოლველად.

ნაციონალურ მოძრაობაში, მსხვილი ბურჟუაზიის გარდა, მონაწილეობას იღებდა საშუალო, წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია. მთავრობამ შესძლო მსხვილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილის ჩამოცილება მოძრაობიდან. საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას არაფერი მიუღია არც რეფორმებისაგან, რომელიც მაღალ ქონებრივ ცენზთან იყო დაკავშირებული, არც შელავათებისაგან, რომელიც მსხვილ კაპიტალისტებს მისცეს.

ოპოზიციონური ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები გაერთიანდენ ნაციონალური კონგრესის პლატფორმაზე. 1919 წლიდან კონგრესმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელთ აიღო ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობა. სწორედ ამ პერიოდში პირველ რიგში ჩვენ ვხედავთ განდის ფიგურას.

წარმოდგენა განდის შესახებ, როგორც რევოლიუციონერზე, სრულიად ყალბი წარმოდგენაა. ის

გ ა ნ დ ი.

იყო და დარჩა წვრილ-ბურჟუაზიულ უტოპისტად, რომელიც ცდილობდა მასების გატაცებას კაპიტალიზმის უკულმართობათაგან წინაკაპიტალისტური წყობილებისაკენ დაბრუნების განუხორციელებელი გეგმით. მისი გავლენის ხანმოკლე პერიოდმა უარყოფითი შედეგი გამოიღო, რადგან რამდენიმედ ჩაკლა მან მასების რევოლიუციონური ნებისყოფა და მისი ყურადღება კლასობრივი ბრძოლის ამოცანებიდან „პასიური წინააღმდეგობის“ გზაზე გადაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდიმ წამოაყენა „სვარაჯა“-ს — თვითმმართველობის — ლოზუნგი, რომლის მიღწევას ფიქრობდა ერთ წელში, ე. ი. 1921 წელს.

ბრძოლის საშუალებად მან აირჩია „პასიური წინააღმდეგობა“. პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკას უნდა გამოეყენებინა „კანონიერი და მშვიდობიანი საშუალებები“, მთავრობის სასამართლო ორგანოების და სასწავლებლების ბოიკოტი, სპირტის სასმელების და საგარეო ქსოვილების მოხმარების უარყოფა, შინაური ქსოვილების მოხმარებაზე გადასვლა, და ბოლოს, მთავრობისათვის გადასახადზე მშვიდობიანი უარის თქმა.

განდიზმმა ფართო მასების თანაგრძნობა გამოიწვია. მუშები და გლეხები შეუერთდენ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ მოძრაობას და მისცეს მას რევოლიუციონური აჯანყების სიძლიერე და გაქანება. განდის სახელი იქცა ინდოეთის განთავისუფლებისა და ოქროს საუკუნის ლოზუნგად. მისი ყველა წინადადება ხორციელდებოდა, მთავრობის რეპრესიები იწვევდა რევოლიუციონური ხალხის აღშფოთებას. 25 ათასი კაცი უსიტყვოდ ჩაჯდა ციხეში წინააღმდეგობის გაუწევლად.

მაგრამ სვარაჯი არსად სჩანდა. ჯერ ერთი, მოძრაობას ჩამოშორდა მსხვილი ბურჟუაზია, რომელმაც სხვადასხვა ხასიათის დათმობა მიიღო. საერთოდ ამ მსხვილ ბურჟუაზიას ჭკუაში არ უჯდებოდა მოძრაობის რევოლიუციონური ხასიათი, იგი მხოლოდ საბაბს ელოდა, რომ მასებისგან განზე გამდგარიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი ამ მასებს ბრძოლის პერიოდში ხშირად ღალატობდა ხოლმე, რადგანაც მთავრობასთან ერთად მსხვილ ბურჟუაზიაში აღშფოთებას იწვევდა გაფიცვები და აგრარული მღელვარება.

განდი და სხვა აქტიური ბელადები დატუსაღებულ იქნენ. ხანმოკლე შეჩერების შემდეგ კვლავ აგორდა გაფიცვებისა და აგრარულ მოძრაობათა ახალი ტალღა, უკვე ახალ საფუძველზე. მასიურმა მოძრაობამ წმინდა ეკონომიური ხასიათი, სრულიად დამოუკიდებელი ბრძოლის ხასიათი მიიღო, რომელიც მიზნად ისახავდა სამუშაო დღის შემოკლებას, ხელფასის მომატებას, ორგანიზაციის უფლებას, მიწაზე აუტანელი გადასახადების შემცირებას და მევახშეებისაგან განთავისუფლებას. ამავე დროს გახშირდა ტერორისტული აქტები რევოლიუციონური ჯგუფების მხრივ, რომლებიც ნაციონალური კონგრესის მოძრაობისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდენ.

განდიზმი შეეცადა თავის პლატფორმაზე გაეერთიანებინა ინდოეთის ყველა კლასი — კაპიტალისტები და პროლეტარიატი, მიწათმფლობელები და გლეხები, ერთი დროშის ქვეშ დაეყენებინა ისინი, და ჰგულისხმობდა პასიურ წინააღმდეგობას ინგლისის ბატონობისადმი.

განდის უტოპიურმა ლოზუნგებმა, ძველი ხელოსნური შრომისაკენ დაბრუნების მისწრაფებამ, მანქანური წარმოების უარყოფამ, რაც წვრილბურჟუაზი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ული ცრუმორწმუნების გამოხატულება იყო, მასების კლასობრივი შეგნების გამხრწნელი როლი ითამაშა: მოძრაობა მიიყვანა სრულ განადგურებამდე და გააკოტრა თვით განდი. ნაკლები როლი არ ითამაშა განდიზმის კრახში დადებითი ეკონომიური პროგრამის უქონლობამ. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განდის გამცემლობას მასების მიმართ, რომელთაც სჯეროდათ მისი ქადაგება მოკლე ხანში მონობიდან დახსნის შესახებ. ისინი გაყვენ განდის არა როგორც ინგლისის უღლისაგან განმანთავისუფლებელს, არამედ როგორც დაჩაგრულთა ინტერესებისათვის მებრძოლს. განდის მოწოდებას ხელისუფლებისადმი ურჩობისა და ბეგარის გადახდაზე უარის თქმის შესახებ მასები გამოეხმაურნენ აჯანყებებით მჩაგვრელების წინააღმდეგ. ჩაური-ჩაურაში მომხდარმა ერთმა ასეთმა აჯანყებამ, რომელიც პოლიციელების დაწვით დამთავრდა, აიძულა განდი თავისი ნამდვილი სახე გამოემჟღავნებინა. მან მოიწვია ბარდოლში კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის თათბირი, რომელზეც გაატარა „სამოქალაქო ურჩობის“ ტაქტიკის უარყოფა და განაგრძობდა ძალადაუტანებლობისა და წინააღმდეგობის გაუწევლობის ტაქტიკის გატარებას. განდის თეორიებით გატაცებისათვის ჩაური-ჩაურას მოსახლეობას წილად ხვდა სახრჩობელები და კატორღა, განდიმ კი ეს გამოისყიდა ხუთდღიანი მარხვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დატუსაღებამ ძლიერი გავლენა მოახდინა განდის აქტივობაზე, ის უფრო და უფრო სცილდება პოლიტიკურ მუშაობას, მისი განწყობილებები სულ უფრო რეაქციონური ხდება.

1928 წელს თავის გამოსვლებში განდი გადაჭრით გამოდის ინდოეთის სრული თვითმმართველობის მოთხოვნის წინააღმდეგ, იმ მოთხოვნის, რომელიც კონგრესის სესიაზე იყო მიღებული. ამ დროიდან განდი გადაჭრით ჰგმობს ყოველგვარი რევოლიუციონური მოქმედების ნასახსაც კი და გამოდის ბურჟუაზიის მემარჯვენე ჯგუფების იდეოლოგად, რომლებიც რევოლიუციის შიშით ინგლისელებთან შეთანხმების გზას ადგიან.

განდის დატუსაღება მაშინ, როცა მისი გავლენა მასებზე თანდათან სუსტდებოდა, საუკეთესო სტრატეგიული სვლა იყო ინგლისის მთავრობის მხრივ.

ნაციონალურმა კონგრესმა, რომელმაც, როგორც ერის სულისკვეთებათა გამომხატველმა, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა განმანთავისუფლებელი ბრძოლის პროცესში, ვერ გაიგო მოძრაობის ნამდვილი ხასიათი. იგი შეუშინდა იმ რევოლიუციონურ ხასიათს, რომელიც ბრძოლამ მიიღო, მიუხედავად ხელისუფლების სასტიკი რეპრესიებისა. უკანასკნელი არა ჰზოგავდა არც ჯარსა და არც იარაღს მოძრაობასთან ბრძოლაში.

ჯერ კიდევ განდის დატუსაღებამდე, ბარდოლში შეკრებილმა კონგრსიის სესიამ წამოაყენა რაიმე რე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვოლიუციონურ ნასახს მოკლებული ახალი პროგრამა. ნაციონალური მოძრაობის მთავარ ამოცანად ის სახავდა შინამრეწველური ტანსაცმლის „კადდარას“ ქსოვას და ტარებას, ნაციონალური სკოლების შექმნას, ლოთობის წინააღმდეგ პროპაგანდას და ე. წ. „ხელუხლებლობის“ წინააღმდეგ ბრძოლას. „ხელუხლებლობა“, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოადგენს ძველი კასტური წყობილების ნაშთს და მდგომარეობს მასში, რომ უმაღლესი კასტის წარმომადგენელი შებილწულად სთვლის თავს დაბალი კასტის წარმომადგენლებთან ურთიერთობით, ან იმათთან ურთიერთობით, რომლებიც კასტის გარეშე დგანან, ე. წ. ხელუხლებლებთან.

ამგვარი პროგრამის წამოყენებამ იმ დროს, როცა მასიური მოძრაობა კლასობრივ ხასიათს იღებდა, კონტრრევოლიუციონური როლი ითამაშა, შეაფერხა მოძრაობა და ამის შედეგად კონგრესის პოლიტიკურ ჯგუფებსა და პარტიებს შორის განხეთქილება გამოიწვია. ამ პროგრამის ინიციატორი იყო განდი, რომელიც ამ დროიდან, ნაცვლად ნაციონალური რიგების გამაერთიანებელი ძალისა, ყოველგვარი უთანხმოების წყაროდ გადაიქცა. მისმა დატუსაღებამ ნაციონალისტები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ყველაფერი ის, რის წინააღმდეგაც განდი ბოიკოტს ჰქადაგებდა, კვლავ განაგრძობდა არსებობას და თვითმმართველობა არამც თუ მიღწეულ იქნა, არამედ არასოდეს ისე შორს არ ყოფილა, როგორც იმჟამად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბნევის და არევდარევის მომენტში მოხდა განხეთქილება მსხვილ, წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას შორის. პირველი საბოლოოდ ჩამოსცილდა ნაციონალურ მოძრაობას, დანარჩენმა ორმა შექმნა ახალი პარტია, რომელსაც ეწოდა სვარაჯის ანუ თვითმმართველობის პარტია.

1923 წ. სვარაჯისტების პარტიის სათავეში ჩადგა იურისტი და მსხვილი მესაკუთრე დასი. მისი ჩადგომა ნიშნავდა იმას, რომ ბურჟუაზიულ ნაციონალურ მოძრაობას საბოლოოდ ჩამოშორდენ მასები, რომლებიც 1919-22 წლებში მას მხარს უჭერდენ. ამ პარტიის პლატფორმა მდგომარეობდა ინგლისის მთავრობასთან შეთანხმების ტაქტიკაში, 1919 წ. ბოიკოტის უარყოფაში და საპარლამენტო ობსტრუქციების ტაქტიკაზე გადასვლაში.

1922 წ. შეკრებილი კონგრესი არ ჰგავდა წინანდელ კონგრესებს. მასში თავი იჩინა უკვე არა ერთმა, არამედ სამმა ძირითადმა ჯგუფმა.

ნაციონალისტების მემარჯვენე ფრთა გადაჭრით იდგა ინგლისის მთავრობასთან თანამშრომლობის ნიადაგზე და 1919 წ. რეფორმებს უსიტყვოდ სცნობდა. ეს პოზიცია ძალიან ახლო იდგა 1919 წ. კონსტიტუციამდე არსებულ მსხვილი კაპიტალისტების—მოდერატების—პარტიის მემარჯვენე ფრთის პლატფორმასთან, რომელიც ნაციონალისტების კონგრესიდან გამოვიდა, რადგანაც უარი სთქვა მებრძოლ ნაციონალურ მოძრაობაში მონაწილეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრი შესდგებოდა განდისტებისაგან, რომლებიც ებლაუჭებოდენ პასიურ წინააღმდეგობას, იდგენ სკოლების, სასამართლო დაწესებულებების და საზღვარგარეული ქსოვილების ბოიკოტის თვალსაზრისზე, მაგრამ უარყოფდენ მასიურ გამოსვლებს და გადასახადების შეტანაზე უარის თქმას.

მემარცხენე ფრთას შეადგენდენ სვარაჯისტები, რომლებიც უფრო აგრესიულ პოლიტიკას იცავდენ. ეს პოლიტიკა ჰგულისხმობდა საკანონმდებლო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღებას. იგი ჰგმობდა განდის პოლიტიკას, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა საკანონმდებლო კრებასა და საკანონმდებლო საბჭოს პირველ არჩევნებს. სვარაჯისტებს ჰსურდათ ამ ორგანოების შიგნიდან აფეთქება, მისი უვარგისობის დამტკიცება მთავრობის წინადადებებისა და ლონისძიებათა სისტემატიური ობსტრუქციების გზით და სხ.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ მუსულმანები. კონსტანტინეპოლის დაპყრობამ ინდოელ მუსულმანებს შორის დიდი უკმაყოფილება დაბადა ინგლისელების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით შექმნილ იქნა ე. წ. ხალიფატის კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა მუსულმანური ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილ ძალებთან ბრძოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვარაჯისტული პარტიის წარმოშობის მომენტში ხალიფატის კომიტეტი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინ დროს მუსულმანებს შორის, მიემხრო დასს, რითაც საგრძნობლად გააძლიერა ახალი პარტია.

ამგვარად 1923 წ. აღინიშნა ომის შემდეგი დროის ნაციონალურ მოძრაობაში ახალი გარდატეხით. 1919 წელს კონსტიტუცია ტარდებოდა მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის მონაწილეობით, რომელმაც შექმნა სვარაჯისტების პარტია და ე. წ. **დამოუკიდებლობის** პარტია, დაარსებული 1921 წ. ეს უკანასკნელები სვარაჯისტებთან ერთად წარმოადგენდენ მთავრობის საწინააღმდეგო ნაციონალურ ბლოკს. 1923|24 წ. განმავლობაში ამ ბლოკმა შესძლო რამდენჯერმე ჩაეშალა მთავრობის კანონპროექტები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ვიცე-კოროლის ბრძანებით კვლავ ტარდებოდა ცხოვრებაში. უფრო მემარცხენედ განწყობილმა ნაციონალისტებმა წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის წრეებიდან, რომელთაც ეკონომიურის მხრივ არაფერი არ მიუღიათ, დაიწყეს ტეროროისტული აქტების მოხდენა და მღელვარებებს იწვევდენ ცალკე პროვინციებში. განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდებოდა მღელვარება ბენგალიაში, სადაც მოძრაობის სათავეში მთლიანად ინტელიგენტები იდგნენ. ისინი უარყოფდენ სვარაჯისტების მშვიდობიან ტაქტიკას, მაგრამ მასებს დარაზმვის უნარი არ ჰქონდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისის მთავრობამ კარგად გაითვალისწინა ნაციონალური მოძრაობის მშვიდობიანი მიმართულება. ის არ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს და ამიტომ სრულიად არაფერი უშლიდა ხელს რევოლიუციონურად განწყობილი ჯგუფების მიმართ მკაცრი რეპრესიებისთვის მიემართა. ნაციონალისტების პროვოკაციული მოქმედებით მრავალჯერ მოტყუებული მუშები და გლეხები, რომელთაც ვერავითარი დაკმაყოფილება ვერ მიიღეს მათი პროგრამით, ჩამოშორდენ მოძრაობას, მათი პოლიტიკური აქტივობა საგრძნობლად შესუსტდა. ბურჟუაზიის ერთი ნაწილი დაკმაყოფილდა მიღებული დათმობებით, მეორე ნაწილი იმედოვნებდა მშვიდობიანი საშუალებებით კიდევ მეტი დათმობები მიეღო. ამ დროს მთავრობას საშუალება მიეცა სრულიად უმტკივნეულოდ განეცალკევებინა რევოლიუციონურად განწყობილი ნაციონალისტური ჯგუფები და გადასულიყო ულმობელ ტერორზე. 1924 წ. გამოქვეყნებულ იქნა ე. წ. ბენგალიის დეკრეტი, რომლის ძალითაც თითოეულ ინგლისელ მოხელეს უფლება მიეცა სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დაეტუსაღებინა და ციხეში ჩაესვა მთავრობის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებაში შემჩნეული თითოეული ინდოელი. იგივე დეკრეტი დატუსაღებული პირის ქონების კონფისკაციის უფლებას იძლეოდა. დაპატიმრებულ იქნენ მთავრობისათვის არასასურველი ელემენტები, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესად სვარაჯისტული პარტიის მემარცხენეფრთას ეკუთვნოდენ და ისწრაფოდენ პარლამენტარული ობსტრუქციებიდან უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადასვლისაკენ.

1924 წ. განდის განთავისუფლების შემდეგ მოხდა შეტაკება განდისტებსა და სვარაჯისტებს შორის, კერძოდ განდისა და დასს შორის. ბოლოს და ბოლოს განდისათვის აშკარა გახდა, რომ მას ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ და გადააბარა თავისი რწმუნებანი დასს. კონგრესი სვარაჯისტების პარტიის ოფიციალურ ორგანოდ გადაიქცა.

ინდოეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის შემდეგი ისტორია წარმოადგენს მისი ნაციონალისტური პარტიების თანდათანი გამემარჯვენების პროცესს. სვარაჯისტები და სხვა ნაციონალისტური პარტიები, განდისტები, დამოუკიდებლები და სხვანი თანდათან ჰკარგავენ თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ჰკარგავენ ყოველგვარ კავშირს მასებთან და სულ უფრო და უფრო გადადიან მკვიდრი ბურჟუაზიის (ე. ი. საკუთარი) ინტერესების დაცვის პლატფორმაზე, ინგლისელებთან კავშირში ინდოელი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მდგომარეობა საბოლოოდ გამოირკვა ინგლისის პარლამენტში ინდოეთის სახელმწიფო წყობილობის შეცვლის შესახებ ცნობილი ბილის გაგზავნის შემდეგ, რომელიც შეიცავდა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მოთხოვნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელმოწერილი იყო ყველა ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენლების მიერ.

ეს ბილი, უკეთ პეტიცია, წაიღო ინგლისში ინდოეთის მაშინდელმა ვიცე-კოროლმა რედინგმა, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშნული იყო 1921 წ., როცა ნაციონალისტური მოძრაობა გაჩაღებული იყო. ამ პეტიციის მეოხებით რედინგმა დაამტკიცა თავისი სრული გამარჯვება ნაციონალისტებზე.

ბილისაგან ნაციონალისტები ბევრ რამეს მოელოდენ. იგი განხილულ იქნა ლორდთა პალატაში და რედინგმა უკან დაბრუნებისას მიიტანა პასუხი, რომელიც ყოველგვარ სიტყვებზე უფრო ნათლად ღაღადებდა, რომ ინგლისის პოლიტიკა ინდოეთის მიმართ გამოიხატება შემდეგში: არავითარი დათმობა ნაციონალისტებს და რევოლიუციონური მოძრაობის შეუბრალებელი განადგურება.

ეს პასუხი ჩატანილ იქნა ინდოეთში ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელი პარტიის ბელადის დასის გარდაცვალების შემდეგ. ამ პასუხს ნაციონალისტები სრულიად მოუმზადებლად შეხვდენ. დასი, დარწმუნებული ინგლისის ლოიალობაში, სიკვდილის წინ გამოვიდა საჯარო სიტყვით, რომელშიაც განაცხადა: სვარაჯისტები მზად არიან იმუშაონ მთავრობასთან ერთად იმ პირობით, თუ ის უზრუნველყოფს ინდოეთის „ღირსეულ“ პოლიტიკურ მდგომარეობასო. ამგვარად, თანამშრომლობის მოწინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგეებმა და ობსტრუქციების მომხრეებმა ჯერ კი-
დევ ინგლისის პასუხამდე დასთმეს ყველა თავისი პო-
ზიცია. ინდოეთის საქმეების მინისტრის ბერკენხე-
დის პასუხის მიღების შემდეგ, რამაც აიძულა ნაცი-
ონალისტები ბოლო მოეღოთ თავისი ილუზიები-
სათვის, სვარაჯისტებში განხეთქილება მოხდა: სვარა-
ჯიხტების ერთი ნაწილი მოითხოვდა დასის განცხა-
დების განხორციელებას, ე. ი. ძალდატანების მეთო-
დებზე უარის თქმას, საკანონმდებლო ორგანოებში
ობსტრუქციების შეწყვეტას და მთავრობასთან თა-
ნამშრომლობას „ინდოეთისთვის ღირსეულ პირო-
ბებში“.

სვარაჯისტების მეორე ნაწილი აყენებდა ნაციო-
ნალისტური პარტიების მთლიანი ფრონტის ტაქტიკას;
სვარაჯისტების, განდისტების და დამოუკიდებლების
გაერთიანებას, მოითხოვდა მათ შეთანხმებას საერთო
ნაციონალურ კონგრესში და მთავრობისადმი ოპო-
ზიციის ძველი ლოზუნგებისადმი დაბრუნებას.

სვარაჯისტების პარტიის აღმასრულებელმა კომი-
ტეტმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ჰგმო-
ბდა ძალდატანებით მოქმედების მეთოდებს და მო-
უწოდებდა მთავრობას თანამშრომლობისაკენ. სვარა-
ჯისტები, რომლებიც თავის თავს ნაციონალური იდე-
ების განსახიერებად და ნაციონალური მოძრაობის
მოწინავე მებრძოლებად სთვლიდენ, კაპიტულიაცი-
აზე წავიდენ ლონდონის პირველი დაყვირებისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ უარი სთქვეს ხალხთა მასების ინტერესების დაცვის პლატფორმაზე. ეს სავსებით გასაგებია, რადგან სვარაჯისტების პარტია, დაინტერესებული ინდოეთის დღევანდელი აგრარული ურთიერთობის შენარჩუნებით, ოპოზიციაში ჩაუდგა ინდოეთის რევოლუციის მომავალ ძალას — გლეხობას. მისი წევრების უმრავლესობა ეკუთვნის ინტელიგენციას და ბურჟუაზიას, რომელიც უმთავრესად ცხოვრობს მიწის საიჯარო გადასახადით. ინგლისელებთან უთანხმოების ჩამოგდება ხელიდან გამოაცლიდა მათ ამ შემოსავალს, ამაზე წასვლას კი ისინი ვერ ბედავდენ.

სვარაჯისტების კაპიტულიაცია ინდოეთის საშუალო კლასების კაპიტულიაცია იყო. მათი პოლიტიკა ნაკარნახევი იყო საშუალო ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებით და იგი ახალი გადაჯგუფების მიზეზი გახდა ნაციონალისტების რიგებში, როგორც კლასობრივი დიფერენციაციის პროცესის შედეგი.

ამ სახით მოაღწია ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა 1926 წლამდე, როცა მის რიგებში მოხდა გადაჯგუფებანი, რომელიც აღინიშნა ინდოეთის ბურჟუაზიის ინგლისთან საბოლოოდ დაახლოების მისწრაფებით.

როგორც დავინახეთ, ნაციონალური მოძრაობის ძალები მუდმივ ცვალებადობაში იყო. მის შიგნით იქმნებოდა და იშლებოდა პარტიები იმის მიხედვით, თუ რამდენად იზრდებოდა ინგლისის ეკონომიური დათმობები და იკვეცებოდა ინდოეთის ბურჟუაზიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიტიკური მოთხოვნები. ამჟამად სამი ძირითადი ნაციონალისტური პარტიისაგან — მოდერატებისა, სვარაჯისტებისა და დამოუკიდებლებისაგან — ალარაფერი არ დარჩა. იმათ ნაწილობრივ სახელი გამოიცვალეს, მათი ნაწილი შევიდა ახლად წარმოშობილ პარტიებში, ნაწილი კი, როგორც, მაგალითად, დამოუკიდებლები, სრულიად წავიდა პოლიტიკური და ნაციონალური ბრძოლის სარბიელიდან. არც ახლანდელი მდგომარეობაა მტკიცე და ახალი გადაჯგუფება ყოველთვისაა მოსალოდნელი იმის მიხედვით, თუ როგორ მოეწყობა ეკონომიური ურთიერთობანი დიდ ბრიტანეთსა და ინდოეთის ბურჟუაზიას შორის. ცოტა მნიშვნელობა არა აქვს შინაპარტიულ დაჯგუფებებსა და უთანხმოებებში რელიგიურ მომენტს. ნაციონალ-ბურჟუაზიული პარტიების შიგნით გაჩნდა სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა ფრაქციები. ინდოეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული მუსულმანური პარტია წარმოადგენს მუსულმანურ ფრაქციას ყოფილი სვარაჯისტულ პარტიისა, რომლის უმრავლესობას ინდუსები შეადგენდენ.

ისლამის მიმდევართა დიდი ჯგუფის არსებობას ინდოეთში ინგლისელები თავისი ინტერესებისათვის იყენებენ. მუსულმანები, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამ ქვეყნის მოსახლეობის 22%-ს შეადგენენ. ომამდე ისინი უფრო მტრულ განწყობილებაში იყვნენ ინდოელებთან, ვიდრე ინგლისელებთან. 1906

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელს დაარსებულ იქნა სრულიად ინდოეთის მუსულმანთა ლიგა—ინდოეთის ნაციონალური კონგრესის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვდა მხოლოდ ინდოელებისაგან შემდგარ წარმომადგენლობითს მმართველობას.

ლიგა დაარსებულ იქნა ინგლისელების დახმარებით ინდოეთის ნაციონალიზმის წინააღმდეგ მუსულმანური ოპოზიციის შექმნის მიზნით და მას პირველად ანტინაციონალური სახე ჰქონდა. ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისელებმა იმთავითვე უფრო ხელსაყრელი პოზიცია დაიჭირეს მუსულმანების მიმართ. ომის წინ წარმოშობილი მუსულმანური სავაჭრო ბურჟუაზია სულ სხვა გზით წავიდა, ვიდრე ლიგის შემქმნელი შთამომავლობითი არისტოკრატია და ფეოდალური მემამულეები. მუსულმანური კაპიტალისტების ინტერესები ისევე მტრულად იყო მიმართული ინგლისელი ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როგორც ინდოელების წინააღმდეგ. ომის შემდეგ პერიოდში ინდოეთის და მუსულმანთა ბურჟუაზიას აკავშირებდა საერთო მატერიალური ინტერესები. მუსულმანური ლიგა და ნაციონალური კონგრესი შეთანხმდენ ეწარმოებინათ ერთი ტაქტიკა და მოქმედების ერთი პროგრამა, რომელიც ინგლისთან თანამშრომლობის უარყოფაში გამოიხატა—ჯერ განდიზმის, შემდეგ კი სვარაჯიზმის სახით. ინგლისის მთავრობამ, ვაითვალისწინა რა ის შედეგები, რომელსაც მას მისცემდა შულლის დათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვა ნაციონალურ ბურჟუაზიის რიგებში, უფრო მეტი დათმობები მისცა მუსულმანებს, ვიდრე ინდოელებს, რამოდენიმეჯერ დემონსტრატიულად გამოამჟღავნა თავისი უკეთესი დამოკიდებულება მუსულმანთა ბურჟუაზიის მიმართ. ამით გამოიწვია ნაციონალისტებში ხანგრძლივი უთანხმოებანი, რომელიც დღემდე გრძელდება.

ასეთია ის რიული მომენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბურჟუაზიულ ნაციონალურ მოძრაობასა და მის მიერ შექმნილ პარტიებზე.

დღეს ინდოეთში არსებობს ორი ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია: კონგრესის პარტია და ნაციონალური პარტია.

კონგრესის პარტია წარმოიშვა 1926 წლის საარჩევნო კაიპანიის დროს და შესდგება ყოფილი სვარაჯისტებისაგან.

სახელის გამოცვლა მოხდა პოლიტიკური მერყეობისა და პროგრამის შეუსრულებლობის შედეგად, რადგანაც სვარაჯისტების პარტიამ ყოველგვარი გავლენა დაკარგა და პარტიიდან მრავალი ნაციონალისტი გამოვიდა. სახელის გამოცვლით ისინი სცდილობდენ მიმდევართა რაც შეიძლება მეტი რიცხვი მიეზიდათ პარტიაში. ამ პარტიის პროგრამას წმინდა რეფორმისტული ხასიათი აქვს. მასში გათვალისწინებულია ინგლისთან ბრძოლა, ბრძოლა წმინდა კონსტიტუციური მეთოდებით. უკანასკნელ დროს კონგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის პარტია სულ უფრო და უფრო იხრება თავისი პროგრამიდან ინგლისის მთავრობასთან თანამშრომლობის მიმართულებით, მის ღონისძიებათა მხარის დაჭერისაკენ.

ასე მაგალითად, დაიწყო რა საიმონის კომისიის წინააღმდეგ საპროტესტო კამპანია, რაც გამოწვეული იყო ამ კომისიაში ინდოეთის წარმომადგენლის უყოლობით, პარტია სწრაფად იცვლის ტაქტიკას და ჯერ კიდევ კომისიის ინდოეთიდან გამგზავრებამდე, პარტიის წევრები მიდიოდენ კომისიის წევრებთან მონანიებით,

ნაციონალური პარტია, მსგავსად კონგრესის პარტიისა წარმოიშვა 1926 წელს ორი პარტიის შეერთების შედეგათ: — რესპონსუისტების და დამოუკიდებლების (რომლებიც თანამშრომლობის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობის მომენტში ჩამოშორდენ სვარაჯისტების ყოველ პარტიას) და ლიბერალებისა, რომელთაც თავიდანვე ამ მოძრაობაში მონაწილეობაზე უარი სთქვეს.

ნაციონალური პარტიის აღმოცენება ამტკიცებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სრულ დაცემას. სვარაჯისტების პარტიისაგან გათიშული ფრთა, დამოუკიდებლების და რესპონსუისტების სახით იმდენად გადიხარა მარჯვნივ, რომ მას ბევრი რამ აღმოაჩნდა საერთო ლიბერალებთან, რომლებიც დღიდან ჩასახვისა ე. ი. 1918 წლიდან, სდგანან კონსტიტუციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკის ნიადაგზე. ნაციონალური პარტიის პროგრამა სცნობს არსებულ კონსტიტუციას, სრულ უფლებას-აძლევს პარტიის წევრებს სახელმწიფო სამსახურში იყვნენ და 1919 წ. კანონის მიერ მიცემული შესაძლებლობანი ფართოდ გამოიყენონ, რომ ამით მიაღწიონ კონსტიტუციონურ რეფორმებს.

აქედან სჩანს, რომ ნაციონალური პარტიის პროგრამა ერთის მხრივ სავსებით ეთანხმება ინგლისის მოთხოვნილებებს, მეორეს მხრივ ისეთი უფორმოა, როგორც დანარჩენ ნაციონალისტურ ბურჟუაზიულ პარტიების პროგრამები, რომლებიც ყოველთვის იტოვებენ გამოსავალს მთავრობასთან კომპრომისისათვის.

მემარჯვენე ნაციონალისტური წყების პოლიტიკამ კონგრესის შიგნით გამოიწვია მემარცხენე ფრთის კრისტალიზაცია. კონგრესი აქამდე აერთიანებდა ყველა ნაციონალისტურ პარტიებს.

მემარცხენე ფრთა შესდგება უმთავრესად წვრილი ბურჟუაზიისა და დეკლასიურ უმუშევარი ინტელიგენციისაგან. მემარცხენე ფრთა ხმას იმაღლებს ბრძოლის სხვანაირ მეთოდებისათვის, სხვანაირი ტაქტიკისათვის, ნაციონალური მოძრაობის რიგებში მუშების და გლეხების ჩაბმისათვის. ნაციონალური მოძრაობის წვრილ-ბურჟუაზიულ მემარცხენე ფრთას, რომლის სათავეში სდგას ჯავახარლალ ნერუ, ძალიან ბუნდოვანი პროგრამა აქვს. იგი ითვალისწინებს „სოფლების ორგანიზაციას“ და ამავე დროს უნდობლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურებს სამრეწველო და სოფლის პროლეტარიატის დარაზმვის საქმეს იმის შიშით, რომ „მუშები და გლეხები ნაციონალურ მოძრაობაში შეიტანენ თავის კლასობრივ ინტერესებსო“. ამავე დროს თავის პროგრამის ერთ ძირითად მუხლად მას მიაჩნია მასებზე და მასიურ გამოსვლებზე ორიენტაცია. ეს, ერთი შეხედვით, შეურიგებელი წინააღმდეგობა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ 1920—1922 წლებს, როცა მუშურ-გლეხური მოძრაობა გამოყენებული იყო ბურჟუაზიის მიერ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერების მიზნით, რომლის გაქანება მაშინვე შეჩერებულ იქნა, როცა თავი წამოყო კლასობრივმა ურთიერთობამ.

წვრილ-ბურჟუაზიული მემარცხენე ფრთა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს უკვე მომაკვდავ წმინდა ნაციონალური ბურჟუაზიულ მოძრაობასა და მასიურ ნაციონალურ მოძრაობის შორის, რომლის ჩასახვის და პირველი ნაბიჯების პერიოდში ჩვენ ვიმყოფებით. საიმონის კომისიას შეტაკება მოუხდა ამ ახალ ძალასთან. საიმონის კომისიის ჩასვლის გარშემო მთელს ინდოეთში მოეწყო გაფიცვები და დემონსტრაციები ახალი ლოზუნგებით. მათში მონაწილეობას იღებდა ფართო მასები. ბურჟუაზიული პარტიები ინგლისის კომისიის ბოიკოტის რეზოლიუციით დაკმაყოფილდენ, რადგან „კონსტიტუციური საშუალებები“ შორს წასვლის ნებას არ იძლევა. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებმა კი მოწინავე და უფრო აქტიურ ბურჟუაზიულ ფრთასთან ერთად ამ რეზოლიუციას ხორცი შეასხა და საიმონის ჩასვლის დღეს გაფიცვა გამოაცხადა.

ინდოეთის მასების სცენაზე გამოსვლამ ნაციონალისტების მშვიდობიანი პროტესტი გააფთრებულ აქტიურ პროტესტად გადააქცია.

ასე იყო 1919-22 წლებში, მაგრამ მსგავსებას აქ მხოლოდ გარეგნული ხასიათი აქვს. განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ მასების მოძრაობას დღეს აქვს გარკვეული კლასობრივი ხასიათი. მასები დამოუკიდებლად გამოვიდენ საიმონის კომისიის წინააღმდეგ, რითაც მტკიცედ აღიბეჭდა ინდოეთის ნაციონალისტურ მოძრაობაშ., მონაწილეობა კლასობრივად შეგნებულ მუშებისა და გლეხების, რომლებიც თავისი გამოსვლებით ინდოეთის ბურჟუაზიას გაეთიშენ.

ინდოეთის ბურჟუაზია, ინგლისის პოლიტიკით უკმაყოფილო, კვლავ დაადგა თავის ძველ ნაცად გზას სხდომების, კონფერენციების, ყრილობების და რეზოლიუციების გზას, რომლებიც არავისთვის სავალდებულო არ იყო. 1928 წ. მაისში მოწვეულ იქნა ყველა პარტიების შეერთებული კონფერენცია. კონფერენციამ მიანდო განსაკუთრებულ კომისიას მოტილალ ნერუს (სვარაჯისტების ლიდერი) ხელმძღვანელობით „კონსტიტუციის შეთანხმებული პროექტის“ შედგენა, „რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა პარტიებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წ. აგვისტოში მოწვეულ იქნა ახალი პარტიული კონფერენცია ნერუს პროექტის განსახილველად. ნერუს პროექტის ძირითადი მუხლები შემდეგში მდგომარეობს:

1. ინდოეთს ენიჭება თვითმმართველობის უფლება კანადის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის და ავსტრალიის მსგავსად.

2. ინდოეთის საქმეების სამინისტრო ისპობა, როგორც პირველი ნაბიჯი პოლიტიკური ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის ხალხზე გადაცემისათვის.

3. მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია.

4. საკანონმდებლო ძალაუფლება გადაეცემა ინდოეთის პარლამენტს, რომელიც სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან შესდგება. სენატი უნდა შესდგეს 200 წევრისაგან, ის არჩეულ იქნება პროვინციალურ საბჭოების მიერ, წარმომადგენლების პალატა კი 500 წევრისაგან, რომლებიც ამორჩეული იქნებიან საყოველთაო ხმის მიცემით. სენატის წევრები აირჩევიან 7 წლით, წარმომადგენელთა პალატის წევრები კი 5 წლით.

5. აღმასრულებელი ორგანო რჩება ინგლისის მეფის წარმომადგენლის გენერალ-გუბერნატორის (ვიცე-კოროლის) ხელში. მასთან იქნება აღმასრულებელი საბჭო, რომელშიაც შევა პრემიერი და 5 მინისტრი. აღმასრულებელი ძალაუფლება კოლექტიური პასუხისმგებელია საკანონმდებლო ხელისუფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე. ქვეყნის თავდაცვა და საგარეო ურთიერთობა გადავა ინდოეთის პარლამენტის მმართველობაში.

6. პროვინციალური საკანონმდებლო ორგანოები ირჩევა მოსახლეობის მიერ. პროვინციალური აღმასრულებელი საბჭო შესდგება 5 მინისტრისაგან.

7. უმაღლეს სასამართლოებს გარდა არსდება უზენაესი სასამართლო.

8. არსდება თავდაცვის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და წევრები: თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სამხედრო ძალების მთავარსარდალი, საჰაერო ძალების მთავარსარდალი და სხ.

9. პროვინციების ახალი დარაიონება ლენკეს პრინციპის მიხედვით.

10. არჩევნების ერთნაირი უფლებები მთელი მოსახლეობისათვის (დღეს ის ხდება რელიგიურ ნიშნის მიხედვით) წარმომადგენელთა პალატაში და პროვინციალურ და საკანონმდებლო ორგანოებში.

11. ინდოეთი, როგორც თვითმმართველობის მქონე დომინიონი ცნობს მკვიდრთა სახელმწიფოების ყველა უფლებებს.

12. ინდოეთში შემოღებულ იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლება.

13. სამხედრო კონტროლი რჩება რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი კომიტეტის ხელში, მათგან 3 ინდოელია, დანარჩენი ინგლისელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. მოხელეებს ეძლევათ მაღალი ჯამაგირები და პენსია.

1928 წლის აგვისტოში ახალმა პარტიულმა კონფერენციამ განიხილა ნერუს კონსტიტუციის პროექტი და თუმცა ყველა არ ეთანხმებოდა მას,—გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ინდოეთში შექმნილიყო საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებელი მათავრობა. ამავე დროს მმართველობის ფორმა უნდა იქნეს არა ნაკლებ დომინიონის თვითმმართველობისა. კონფერენციამ შეიტანა შესწორება, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ შეზღუდავს იმ პარტიების მოქმედებას, რომელთა მიზანია სრული დამოუკიდებლობა.

კონგრესის მემარცხენე ფრთა ჯავახარლალ ნერუ (მოტილალ ნერუს შვილი) გამოვიდა კონფერენციაზე პროტესტით და განაცხადა, რომ „დომინიონის სტატუტის“ მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა კონგრესის 1927 წლის სესიის გადაწყვეტილებას, რომელმაც კურსი აიღო ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობაზეო.

უმცროსი ნერუს მომხრეებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას — დამოუკიდებლობის ლიგას, ვითომდა ქვეყნის სრული განთავისუფლების მიღწევის მიზნით. ნამდვილად კი ეს ლიგა აწარმოებს ბრძოლას მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ცდილობს მის შეჩერებას ყალბი რევოლუციონური ლოზუნგებით, მისი ბელადები თანაშრომლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ მთავრობასთან და უკანასკნელ ხანებში უარს ამ-ბობენ არა მარტო დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე, არამედ დომინიონის სტატუსზეც კი.

ნერუს კონსტიტუცია შემუშავებულ იქნა სწორედ საიმონის მეორედ ჩასვლის დროისათვის, რომელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა ნაციონალისტურ ბელადების „კეთილი განწყობილებით“. მას არ მიუქცევია არავითარი ყურადღება მუჭარისთვის, თანამშრომლობის საწინააღმდეგო ტაქტიკის და გადასახადებზე უარის თქმის განახლების შესახებ—იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ იქნებოდა მიღებული. ინდოეთის ბურჟუაზიის კაპიტულიაცია ძალზე ხელშესახები იყო, ისე რომ წვრილ-ბურჟუაზიულმა ჯგუფებმაც კი ვერ შესძლეს ხმამაღლა პროტესტის განცხადება, თუმცა წინააღმდეგი იყვნენ ინდოეთის დომინიონად გადაქცევისა. ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა 1928 წ. დეკემბრის სესიაზე კალკუტაში მხარი დაუჭირა საერთო განწყობილებას და მიიღო განდის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა ინდოეთის გადაქცევას თვითმმართველობის მქონე დომინიონად. წინადადება პოლიტიკური დამოუკიდებლობის უარყოფის შესახებ უარყოფილ იქნა 973 ხმით, 135-ის წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, საიმონის მეორედ ჩასვლისას სულ სხვა მდგომარეობა იყო, ვიდრე პირველად. ცხრა პროვინციალური საბჭოსაგან რვამ წინასწარ განაცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თანხმობა საიმონთან მუშაობის შესახებ. მისი ჩასვლის მომენტისათვის 1928 წ. ოქტომბერში უკვე ყველა პროვინციაში არჩეული იყო დამხმარე კომიტეტი საბჭოს წევრებისაგან, „რომლებიც უნდა გამოსულიყვნენ საიმონის კომისიის წევრების კოლემების როლში და დახმარებოდენ მათ მუშაობაში“. ერთდროულად შექმნილ იქნა ინდოეთის ცენტრალური კომიტეტი საკანონმდებლო კრების წევრებისაგან, ნაწილობრივ არჩეული, ნაწილობრივ დანიშნული ვიცეკოროლის მიერ.

მართალია, საიმონის ჩასვლა არ ჩატარებულა უდემონსტრაციოდ ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხრივ, რომელთაც გაათამაშეს სამგლოვიარო შეხვედრის პროტესტი შავი დროშებით, მაგრამ მათი შემდეგი მოქმედება, მათი შემდეგი შეთანხმებული მუშაობა საიმონთან მოწმობს მათ სრულ კაპიტულიაციას.

ინდოეთის ნაციონალისტებმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილი დაუთმეს მუშებს და გლეხებს, რომლებიც საიმონს გაფიცვებით და აჯანყებით შეხვდენ. ამავე დროს საბოლოოდ გამოირკვა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის დაშლა. 1929 წ. ბოლოს გამოირკვა, რომ 1920-21 წლების ეს ძლიერი ორგანიზაცია იმდენად დაქვეითდა, რომ მან არ იცის თავისი წევრების რაოდენობა, შემოსავალი ფონდში ათიათასი რუპიდან შემცირდა ერთ ასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულამდე და ზოგიერთ რაიონში მისი კომიტეტები ფაქტიურად აღარ მუშაობენ.

ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდის შემდეგ ამჟამად ნაციონალისტური მოძრაობა გამოცოცხლებას განიცდის. ის წააგავს 1919-20 წწ. ბრძოლას, იმ განსხვავებით, რომ ადრინდელი მოძრაობის ნახევრად შეგნებული მისწრაფება—იმპერიალიზმზე თავდასხმა დაეკავშირებია მასების სოციალ-ეკონომიურ ბრძოლასთან საკუთარ და გარეშე ექსპლოატატორების, წინააღმდეგ, — ახლა ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო შეგნებულ და ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. რევოლუციონური მოძრაობის 1922-26 წწ. შენელების პერიოდში ზოგიერთმა ფაქტორმა ხელსაყრელი გავლენა მოახდინა ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის გამოცოცხლებაზე. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება: ინდოეთის პროლეტარიატის ზრდა და გამოცდილების დაგროვება, გლეხობის ფართო მასებისა და წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციონურ გზაზე შედგომა მათი გალატაკების შედეგად და აგრეთვე გარეშე ფაქტორები, როგორიცაა: ჩინეთის რევოლუცია, ინგლისის მემარცხენეების ბრძოლა, დაბოლოს საბჭოთა კავშირის მუშების მხრივ ეკონომიური დახმარების აღმოჩენა გაფიცულ მუშებისათვის. ყველაფერმა ამან შესაფერი როლი ითამაშა ნაციონალური გრძნობის გამოცოცხლებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად ნაციონალურ მოძრაობას არა აქვს ისეთი მძაფრი ხასიათი, როგორც 1919-1922 წლებში. ეს აიხსნება, პირველ ყოვლისა, ინდოეთის ბურჟუაზიის ორჭოფული მდგომარეობით. მან გარკვევით არ იცის თუ რა ქნას. ერთის მხრივ ინგლისი არ აპირებს მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მეორეს მხრივ მას არ შეუძლია ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან ეს იქნებოდა თავისი თავის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან მოძრაობას აქვს კლასობრივი ხასიათი.

ბურჟუაზია ამიტომ არასოდეს არ წავა პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად, მისთვის მასები უარესი მტერია, ვიდრე ინგლისელები. ამავე დროს ინგლისის ახალი პოლიტიკა მათ მიმართ, რაც ეკონომიური და პოლიტიკური დათმობების შეწყვეტაში მდგომარეობს, აიძულებს ინდოეთის ბურჟუაზიას ცუდ განწყობილებაში იყოს მეტროპოლიასთან. ყველა ამ წინააღმდეგობათა შედეგად ინდოეთის ბურჟუაზია დაადგა ოპოზიციის გზას და იმიჯნება ყველა რევოლუციონური გამოსვლებისაგან.

ერთ-ერთი ნიმუში ამ „ლოიალურ-ოპოზიციონურ“ განწყობილებისა არის პარტიების შეერთებული კონფერენცია და ნერუს კონსტიტუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთის პროლეტარიატი.

მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატის სწრაფი ზრდა. 1914 წ. აღწერით ინდოეთში საფაბრიკო მუშები მილიონზე ცოტა ნაკლები ითვლებოდა. 1921 წ., საყოველთაო აღწერით კი მათი რიცხვი უკვე 2.681.125 უდრის. უკანასკნელი ციფრები საგრძნობლად შემცირებულია. ინდოეთის მუშების სრული აღრიცხვა საერთოდ გაძნელებულია, რადგან არაკვალიფიციური შრომის მთელი რიგი სახეები აღრიცხვის გარეთ რჩება. აღწერის და საერთოდ საფაბრიკო მუშების რეგისტრაციის დროს მხედველობაში იღებენ მხოლოდ კვალიფიციურ მუშებს და ისიც იმ წარმოებების, რომლებშიც 20-ზე მეტი მუშა ითვლება.

კვალიფიციური მუშები, მელითონეები და სხვ. მუდმივად ქალაქებში ცხოვრობენ. უკვალიფიკაციოს იძლევა სოფელი. უმრავლესობა შედის ფაბრიკაში აგენტის საშუალებით, რომელიც კრებს მათ სოფლებში.

ინდოეთის ქალაქებში იაფი საცხოვრებელი ბინები მუშებისთვის არ მოიპოვება. უკანასკნელ დროს მრავალ ქალაქის განაპირა უბნებში შენდება სპეციალური ფიცრული — „ჩაული“, რომლებიც კერძო პირების ხელშია. ასეთი „ჩაულები“ შესდგება სამი-ოთხი სართულისაგან კორიდორის სისტემით გამწკრივე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ოთახებით. ამ ოთახების უმრავლესობას არა აქვს ფანჯარა, საშინლად ნესტიანი და ბინძურია; ჰაერზე და სინათლეზე ლაპარაკიც ზედმეტია, ისე როგორც წყალსადენზე და კანალიზაციაზე. თვითეულ ოთახს აქვს არა უმეტეს 3 კვ. მეტრის სივრცისა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ შიგ ცხოვრობდეს ერთი ან ორი კაცი. ინდოელი მუშა იმდენად ღარიბია, რომ თვითონ არ შეუძლია ბინის ქირის გადახდა. ამ ოთახების ფასი 2 მან. 12 მანეთამდეა — ეს დამოკიდებულია ქალაქზე და მიწის ფასზე ქალაქში; მუშის ოჯახი ქირაობს ასეთ ოთახს და შემდეგ თვითონ აქირავებს მის კუთხეებს. ბომბეაში ხშირია შემთხვევა, როცა ერთ ასეთ ოთახში, 3 კვ. მეტრის სივრცეზე, ცხოვრობს ოთხი ოჯახი, თვითეული 5-6 კაცის შემადგენლობით. სძინავთ ჩვეულებრივ მორიგეობით, დღის მორიგეებს სძინავთ ღამით, ღამისას დღისით.

ინდოეთის მრავალ ფაბრიკაში გუგუნებს საფეიქრო მანქანები — უკანასკნელ ტექნიკის საოცრება. ამ ფაბრიკის მუშები კი პირველყოფილ ქოხებში ცხოვრობენ. ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ მუშათა უბნებში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდეს. ინდოეთში კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას მიხვდებით უმალვე, როგორც კი შეხედავთ ინდოელ მუშის ბავშებს. შიშველი და მუნიანი ბავშები თამაშობენ ყოველგვარ უსუფთაობაში, მკვდარი კატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, თხებით და სხ. სავსე ქუჩებში. აქვე დაეხეტებიან ქეციანი ძაღლები დაჩირქიანებული თვალებით. ქალაქებში ქუხს მუსიკა, კინოსა და თეატრებში ფუსფუსობს მორთული ბრბო, წარმოებებში ხმაურობს უახლესი მექანიკური ჯარა და დაზგები. აქ კი ბუზებივით ირევიან შავი ჭირით შეპყრობილი ბავშები. მთელი ის სიკეთე, რომელსაც ცივილიზაცია მათ აძლევს, მდგომარეობს იმასში, რომ, როცა ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად უარეხდება, რომელიმე ადმინისტრატორი ბრძანებას გასცემს — ავადმყოფი ბავშის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნის შესახებ.

მაშ რამდენს იღებს ინდოელი მუშა, თუ კი თვით მთავრობის გამომკვლევთა თქმით მათი ბინები წარმოადგენს საშიშროებას მთელი ქალაქისათვის სანიტარული მხრივ?

ინდოელი მუშა თავისი ოჯახით იღებს იმდენს, რომ მას შეუძლია ჭამოს დღეში მხოლოდ ერთხელ — ეს მაშინ, როდესაც იგი დღედაღამეში 10-ს და უფრო მეტ საათსაც მუშაობს. ძალიან ცუდია ინდოეთის ციხეები, მაგრამ გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ტუსაღები ფიზიკურად გაცილებით უფრო ჯანმრთელებია და გაცილებით მეტი წონა აქვთ, ვიდრე ინდოელ მუშებს—მელითონეებს და მქსოველებს. ფაბრიკების სულ მცირე რიცხვს აქვს ვენტილიაცია, კიდევ უფრო ნაკლები ჰყავთ ექიმი. იქ, სადაც ექიმია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იმდენად დახელოვნებული არაა, ყოველგვარი ავადმყოფობის შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს. გასაგებია, რომ ინდოელი მუშა ავადმყოფობს ძალიან ბევრს. საფეიქრო ფაბრიკაში მქსოველი მუშა საშუალოდ დღიურად 11 საათის მუშაობაში 1 მანეთს იღებს. ქალები იმავე სამუშაოში იღებენ 50 კაპ., ბავშები 5 ს. მუშაობაში 16-დან-20 კაპ. ჩვენი ფულის მიხედვით. თვიური ხელფასი ძალზე მცირდება ულმობელი ჯარიმებით დაგვიანებისა და სამუშაოზე საპატიო მიზეზით დაკლების შემთხვევაშიაც კი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ეს უმნიშვნელო თანხაც ძალიან იშვიათად ეძლევა მუშებს თავის დროზე, მისი მიღება ხშირად გაჭიანურდება ერთ თვეს. ცხადია, მუშები შიმშილობენ და ბოლოს და ბოლოს ვარდებიან მევახშეების კლანჭებში, რომლებიც ახდევინებენ მათ 75 %-დან-300 %-მდე. იგივე სურათია ყველა წარმოებებში. ჯუტის ქარხნები აძლევენ პაის პატრონებს 90 % მოგებას წლის განმავლობაში, მაშინ როცა მუშის ხელფასი ქანაობს 1 მ. 50 კ. კვირაში 6 მანეთამდე, კვალიფიკაციის ხარისხის მიხედვით. თავისი თვიური ხელფასიდან მუშა ვალდებული არის გადიხადოს 6 მ. 50 კ. ფაბრიკაში სადილობისათვის და 50 კ. 1 მანეთამდე აძლიოს ზედამხედველს „კარგი მოპყრობისათვის“. ინდოელი მუშა ნახევრად მშიერია, სამაგიეროდ უდი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეს მოგებას იღებენ, როგორც ინდოელი, ისე ინგლისელი კაპიტალისტები.

ინდოეთის პროლეტარიატის საერთო რაოდენობა, სოფლის მოჯამაგირეების, შინა მოსამსახურეების და რკინისგზელების ჩათვლით, — უდრის 43.885 ათას კაცს. სოფლის პროლეტარიატი, უმიწაწყლო გლეხობა, კიდევ უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ქალაქის პროლეტარიატი. სოფლის მოჯამაგირეთა რიცხვი ინდოეთში 37 მილიონს აღწევს. ნაწილი მუშაობს მესაკუთრე გლეხებთან და მდიდარ მემამულეებთან, რომელნიც აწარმოებენ მეურნეობას თავიანთ მიწაზე და იღებენ მათგან 30—35 კაპ. დღეში. მოჯამაგირეთა ეს ნაწილი უფრო უზრუნველყოფილია. უმეტესობას კი არა აქვს სამუშაო, რადგანაც ინდოეთში ორ მესამედ სახნავ-სათეს მიწას წვრილი მოიჯარადრეები ამუშავებენ და სრულიად საკმაოა ოჯახის წევრების ხელები იჯარით აღებული ნაწილი მიწის დასამუშავებლად. ბევრი მოჯამაგირე მიდის პლანტაციებზე სამუშაოდ.

რაც უნდა ცუდათ ცხოვრობდენ ინდოელი მუშები — ფეიქრები, მემაღაროეები, მელითონეები, ისინი მაინც ქალაქებში არიან ან საწარმოო ცენტრების ახლოს. ბევრი კავშირშიაც არის ჩაწერილი. რაც ცუდი უნდა იყოს ეს კავშირი, მაინ კ რამდენიმედ იცავს მუშებს მწარმოებლის თვითნებობისაგან. ამ უკანასკნელ დროს პროფკავშირების ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციები უფრო და უფრო ხშირად ძრავენ საჩივარს მწარმოებლების წინააღმდეგ დაჩაგრულ მუშის დასაცავად და, თუ სასამართლო არ შველის, მაშინ შველის თავის დროზე გამოცხადებული გაფიცვა.

პლანტაციებზე მომუშავე მუშებთან შედარებით ფეიქრები, მელითონეები და მემაღაროები დიდი უფლებით აღჭურვილნი გეჩვენებათ. ჩაის, ჯუტის და სხვა პლანტაციები ჩვეულებრივად დაშორებულია ყოველგვარ კულტურულ ცენტრისაგან. პლანტაციებზე მუშაობენ უმიწაწყლო გლეხები — მოჯამაგირეები, რომლებმაც არ იციან არც წერა, არც კითხვა და სრულიად უმეცრები არიან.

ინდოეთის სამრეწველო ცხოვრებაში ჩაის პლანტაციები დიდ როლს თამაშობს. იმათ უჭირავთ ბენგალიის და ასამის პროვინციებში უდიდესი ფართობი. ბენგალიის პროვინციაში ჩაიზე მუშაობს 250 ათასი მუშა-კაცი, ასამში კი მილიონზე მეტი მუშა და მუშა ქალი, ბავშვს გარდა.

დარჯლინგის რაიონის ჩაის პლანტაციებისაკენ მიმავალი გზა ერთი უმშვენიერესი გზათაგანია მთელს მსოფლიოში. იგი მიიმართება მაღლა მთებზე, გიმალაის მაღლობებზე, სადაც გაშენებულია ინდოეთის ჩაის ბაღები. ძნელია მთელს ქვეყანაზე ისეთი ადგილის მონახვა, სადაც ასე მშვენიერი იყოს ბუნება და ასე ცუდად ცხოვრობდეს ადამიანი. 1860 წელს ჩაის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა თვიურად სამ მანეთს (ჩვენი ფულით) იღებდა. დღესაც ის იმავე სამ მანეთს იღებს, ამაში შედის აგრეთვე ზედმეტი სამუშაო ხელფასი და ჯილდო.

3 მანეთით კული ვერ გამოიკვებება. ის ყიდულობს ბრინჯს და დროგამოშვებით ჩვრებს, რომელშიაც გახვეულია. ის ატარებს მას მანამდე, სანამ ძონძებად ქცეული თვითონ არ მოშორდება მის ძვლებს, სამაგიეროდ ის იღებს უფასო ბინას.

კული ცხოვრობს თიხის ქოხმახებში, რომლებიც პლა ნტაციის მფლობელებს ეკუთვნის. გარდა ამისა, კულის ეკუთვნის ერთი მეოთხედი აკრი მიწა, რომელზეც უფლება აქვს თავისუფალ დროს დაამუშაოს თავისთვის ბრინჯი, და, რადგანაც ისინი მუშაობენ პლანტაციებში მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, დრო საკუთარი მიწის დასამუშავებლად მათ სრულებით არ რჩებათ. მიწის ნაჭერი მოჩვენებითი უპირატესობაა, რომელიც იზიდავს კულის პლანტაციებისაკენ. ამ საეჭვო უპირატესობათა მაგიერ ის მუშაობს იმდენს, რამდენიც სურს პატრონს. ჩაის ფაბრიკებზე ვრცელდება შრომის კანონები, ფაბრიკები იმყოფებიან საფაბრიკო ინსპექტორის მეთვალყურეობის ქვეშ. მაგრამ ჩვეულებრივ ამ ფაბრიკებში ვერ შეხვდები ერთ მუშასაც კი, რომელსაც ოდესმე თავის სიცოცხლეში ენახოს საფაბრიკო ინსპექტორი. პლანტაციებზე კი, რომელშიაც ორჯერ მეტი მუშაა, ვიდრე ჩაის ფაბრიკებში, მოქმედობს მხოლოდ ერთი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონი: კანონი მუშების მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, გამოცემული 1859 წელს. პლანტაციის პატრონები გულისხმობენ, რომ ყოველი კული, რომელიც პლანტაციაში იწყებს მუშაობას, ვალდებულია ხელი მოაწეროს კონტრაქტს. კულიმ წერა-კითხვა არ იცის, კონტრაქტს მას არავინ უკითხავს, მაგრამ მისი დარღვევა მას არ შეუძლია. კული, რომელიც მუშაობას თავს ანებებს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, ისჯება იძულებითი სამუშაოთი მის მიერ მიტოვებული პატრონის სასარგებლოდ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებაში, და უფასოდ.

პლანტაციებს არავისი გარეშე თვალი არ ხვდება. ინდოეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მოტყუებით მოყვანილ მუშებს კანონი პლანტაციის მფლობელის საკუთრებად ხდის. იგი სწყვეტს მის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. თუ ვინმე ხმას აღიმაღლებს მუშების მდგომარეობაზე პლანტაციებში, მისი მფლობელები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მას. მათ იციან, რომ ინგლისის მთავრობა ძალიან აფასებს ჩაის უძლიერესი მფლობელების კარგ განწყობილებას.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩაის მაგნატებს უფლება ჰქონდათ დაეტუსაღებიათ და ციხეში ჩაესვათ, მათი აზრით, დამნაშავე კული. ახლა ეს აკრძალულია და ასეთი საქციელი კანონის დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვევად ითვლება, მაგრამ პლანტაციების მფლობელნი არ სცხრებიან და განაგრძობენ საკუთარი საშუალებებით და სასამართლოთი მოქმედებას. სულ ცოტა ხნის წინად გამომჟღავნდა, რომ პლანტაციაში მომუშავე 14 წლის ქალი იჯდა ციხეში 17 დღე, ის არავის გაუსამართლებია და ფაქტიურად არც არავითარი ბრალდებები არ იყო წაყენებული. ასეთი შემთხვევები შეიძლება მრავალი ხდებოდეს ყოველდღიურად, მაგრამ ძალიან იშვიათად მჟღავნდება. ამას წინად რაღაც სასწაულით კულის მოკვლისათვის სასამართლოში მისცეს მოურავი მერე რა? ის გაამართლეს, მოსამართლემ არ მიიღო მოწმე კულის ჩვენება და განაცხადა, კულები ძალზე უვიცნი არიან, რომ ინგლისელის წინააღმდეგ ჩვენება მოგვცენო. მუშის სიკვდილი კი იმით ახსნა, რომ მზემ დაჰკრა თავშიო.

ცხადია, ასეთ პირობებში მუშებს შეუძლიათ საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევა მხოლოდ აჯანყების მოწყობით. ასეც მოხდა 1921 წელს, როცა ასამის ჩაის პლანტაციებიდან მთლიანად წავიდენ მუშები. ნაციონალისტურმა პრესამ მაშინ შესძლო კულის სამუშაო პირობების და პლანტაციებში მისი საერთო მდგომარეობის გამოსარკვევად კომისიის დანიშვნა. პლანტატორები ცოტა ხნით დაწყნარდენ, მაგრამ მალე დაუბრუნდენ ძველ წესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კანონმდებლობა

მთავრობა არაა დაინტერესებული შრომის კანონების მკაცრად დაცვაში. ამიტომ მისი დარღვევა ყოველ ნაბიჯზე ხდება.

პირველი კანონი შრომის შესახებ გამოცემულ იქნა ინდოეთში 1881 წელს. მას დაარქვეს „მუშათა კლასის დაცვის“ კანონი, ნამდვილად კი მისი მიზანი იყო ინდოეთის საფეიქრო ფაბრიკების მუშაობის შეფერხება, რომელნიც იაფი მუშახელისა და დიდი სამუშაო დღის გამო (მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე) საგრძნობ მეტოქეობას უწევდენ ინგლისელთა საფეიქრო ფაბრიკებს. ეს კანონი საუცხოვო ილუსტრაციაა იმის ნათელსაყოფად, თუ მუშაობის როგორი პირობები იყო მის გამოქვეყნებამდე ინდოეთის ფაბრიკებში. მან შემოიღო 15 საათის მაქსიმალური სამუშაო დღე. აღსანიშნავია, რომ ეს დადგენილება მხოლოდ ათი წლის შემდეგ გახდა სავალდებულო განსაკუთრებული შესწორებით. მიუხედავად ამისა, მუშების მდგომარეობის გამომკვლევი კომისია 1911 წ. მივიდა დასკვნამდე, რომ სამუშაო დღე ძალიან დიდია, 14-დან 22 საათამდე დღე და ღამეში; ამ ფაბრიკებში ჰაერი იმდენად აუტანელია, რომ გარეშე პირი, რომელიც არ მუშაობს, 8—10 საათის განმავლობაში ამ ატმოსფერაში ყოფნით საშინელ მოქანცულობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრძნობს. ეს კანონი ეხება მხოლოდ იმ წარმოებებს, რომლებშიც 50 კაცზე მეტი მუშაობს.

1922 წლის მარტში გამოქვეყნებული ახალი საფაბრიკო კანონმდებლობა წარმოადგენს ძველის განმეორებას იმ განსხვავებით, რომ ის ფაბრიკად სთვლის ისეთ საწარმოს, სადაც მუშაობს არა ნაკლებ 20 კაცისა. შემდეგ, 12—საათის სამუშაო დღის ნაცვლად მყარდება, როგორც მინიმუმი, 60 საათი კვირაში. ბავშები 11 წლის ასაკამდე ფაბრიკაში არ დაიშვებიან. ეს კანონი, როგორც ყველა წინანდელი კანონი, არ ვრცელდება სოფლის მოჯამაგირეებზე, პლანტაციების მუშებზე და მემაღაროებზე.

1923 წ. გამოქვეყნებულ იქნა კანონი მაღაროებში მუშაობის შესახებ. მისი განხილვა ძალიან დიდ ხანს გაგრძელდა მაღაროს მესაკუთრეთა პროტესტის გამო, რადგანაც იზღუდებოდა მათი თვითნებობა. საბოლოო რედაქციით კანონი კრძალავს 13 წლის ასაკზე პატარა ბავშების მუშაობას მიწის ქვეშ; ქალების მიმართ ეს კანონი ისეა შედგენილი, რომ არავის სრულიად არაფერში არ ავალდებულებს, და დღესაც ინდოეთში მიწის ქვეშ მუშაობს 50.000-მდე ქალი. 1923 წ. გამოცემულ იქნა კანონი მუშების უზრუნველყოფის შესახებ, თუ ისინი წარმოებაში დაშავდებიან. კომისიამ, რომელიც მას ამუშავებდა, კანონს გამოაკლო ერთი უმნიშვნელოვანესი პარაგრაფთაგანი — იმ მწარმოებელთა პასუხისმგებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, რომლის მიზეზითაც მოხდა დაშავება. კომისიამ ყველა ღონისძიება იხმარა იმისთვის, რომ კანონი შეეთანხმებია მწარმოებელთა ინტერესებისათვის და რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯა მუშებისათვის. ეს მან სავსებით ვერ შესძლო, რადგან მუშათა მოძრაობის ერთი მთავარი მოთხოვნილებათაგანი დღეს არის კომპენსაცია საწარმოოში მიყენებულ დასახიჩრებისა და მწარმოებელთა პასუხისმგებლობა.

დაბოლოს, 1925 წ., ინდოეთში გამოქვეყნდა კანონი პროფესიონალური კავშირების შესახებ; აქამდე არსებული პროფკავშირები არალეგალურად ითვლებოდა. ამ კანონმა, ცხადია, ვერ დააკმაყოფილა მუშათა კლასი, რადგან ის სცნობდა რეგისტრაციაქმნილ, ლეგალურ კავშირად სწორედ ისეთს, რომელიც პირობას დასდებდა, რომ პოლიტიკურ მოქმედებაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

პროფესიონალური მოძრაობა.

დიდი ხანი არაა, რაც მუშათა მოძრაობა წარმოიშვა ინდოეთში. მას უფრო განსხვავებული სახე აქვს, ვიდრე დასავლეთ ევროპის პროფესიონალურ მოძრაობას. ევროპაში თავდაპირველად მუშათა გაერთიანებები იქმნებოდა პროფესიონალურ საფუძველზე და უკვე შემდეგ მოვლენათა ზეგავლენით იღებდა პოლიტიკურ ელფერს. ინდოეთში პირველი პროფესიონალური კავშირი შექმნილ იქნა სპეციალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მიზნით, რომ მუშათა კლასი ჩაბმულიყო პოლიტიკურ ბრძოლაში. ამიტომ ინდოეთის პროფკავშირების უმრავლესობის სათავეში დგას პოლიტიკური მოღვაწე-ნაციონალისტი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ამ პროფესიონალურ გაერთიანების ხელობასა ან პროფესიასთან.

პირველი პროფესიონალური კავშირები ინდოეთში ჩაისახა 1919 წ., როცა ინდოეთის წვრილი ბურჟუაზია, უკმაყოფილო და შეურაცხყოფილი ახალი რეფორმებით, სათავეში ჩაუდგა ინგლისელების წინააღმდეგ შექმნილ მოძრაობას. მან გადასწყვიტა დაერაზმა მუშები ინგლისელების ბატონობის წინააღმდეგ. ამგვარად, ინდოეთის მუშათა მოძრაობა იმთავითვე მოექცა ოპორტუნისტულ ბელადების გავლენის ქვეშ, რომლებიც ყოველ წუთში მზად არიან კაპიტალისტების მხარეზე გადავიდენ. მდგომარეობის სირთულე გამოიხატება იმაში, რომ ამ მოძრაობას ერთდროულად ყურადღება მიაპყრო სამმა უძლიერესმა ძალამ: ინგლის-ინდოეთის მთავრობამ და მასთან ერთად მყოფ ინდოეთის მსხვილმა სამრეწველო ბურჟუაზიამ, რომლებმაც გაიგეს, რომ ნაციონალისტებს სურდათ მუშების გამოყენება თავისი ინტერესებისათვის, და წვრილ ბურჟუაზიულმა სრულიად ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა, რომელიც 1919-1922 წ. ნაციონალური მოძრაობის სათავეში მოექცა. ნაციონალური კონგრესი 1920 წ. თვითმართველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპოებისათვის, ინგლისელებისადმი ბოიკოტის გამოცხადების დროს, ცდილობდა თავის მხარეზე გადაეყვანა მუშები.

მუშები, რომელთაც არა ერთი გაფიცვა ჩაატარეს ბოიკოტის თანაგრძნობისათვის, არა ერთხელ წამოეგენ პროვოკაციის ანკეტს და გაცემულ იქნენ ნაციონალისტური ლიდერების მიერ. მრავალი გაფიცვა მთავრდებოდა დამარცხებით ბელადების მოღალატური პოლიტიკის წყალობით, რომლებიც ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ მომენტში გადადიოდენ ინგლისის ადმინისტრაციის მხარეზე. მუშები ჩამოსცილდენ კონგრესის ხელმძღვანელობაში მყოფ მოძრაობას და მათ გაფიცვებსა და მოთხოვნილებებში მეტი ადგილი დაიჭირა წმინდა ეკონომიურმა ამოცანებმა. მთავრობამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მუშებს შორის ჩნდება ორგანიზაციისადმი მიდრეკილება, გადასწყვიტა ამ მოძრაობის ხელში ჩაგდება და თავის მხრივ მწარმოებლებთან ერთად იწყო კავშირების შექმნა შესაფერი პროგრამებით.

ამგვარად მუშათა მოძრაობის დასაწყისშივე ინდოეთში თავი იჩინა სამი ტიპის მუშათა კავშირმა: პირველი ტიპის — ეს იყო შემთანხმებელი ნაციონალისტების ბელადების მიერ შექმნილი კავშირები; მეორე — წარმოებათა პატრონებისა და მესამე — პატრონთან ბრძოლის მომენტში თვით მუშების მიერ შექმნილი კავშირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა თვით მუშების შექმნილი პროფკავშირები. ასეთი კავშირის სათავეში დგას მცოდნე, შეგნებული მუშა. თავისი რწმუნებულების საშუალებით ასეთი ბელადი რამდენიმე საათში იწვევს ორი ათასი მუშის კრებას. მუშები თვითონ იხილავენ და სწყვეტენ ყველა საკითხს, რომელიც მათ კავშირს ეხება. ამ კავშირების სალარო უმრავლეს შემთხვევაში ცარიელია, მაშინ, როცა მათ კმაყოფაზეა მრავალი დასახიჩრებული მუშა, რომლის უზრუნველყოფას მწარმოებლების მიერ არ სცნობს არც კანონი და არც წარმოების პატრონი. კრებებზე ყოველმხრიდან მიემართებიან ხელ-ფეხ-დაკოჟრილი მუშები, ძონძებში გახვეული ჩონჩხები, და თავს იყრიან სადმე ქალაქს გარეთ, პოლიციისაგან მოშორებით მოთავსებულ კავშირის ბინაზე. უხელო, უფეხო, უსინათლონი, — ფაბრიკაში შრომის უნარდაკარგულები, — ისინი ამოვარდნილი არიან ცხოვრების კალაპოტიდან და არა აქვთ დახმარების მიღების უფლება. მათ ეხმარება კავშირი, მაგრამ მას საშუალება არა აქვს ყოველთვიურად აძლიოს დახმარება და დროგამოშვებით იკრიბებიან წევრები, რომ გამოარკვიონ მდგომარეობა. თუ ასეთი კავშირი აცხადებს გაფიცვას, მუშებს საქმე ბოლომდე მიჰყავთ და მტკიცედ დგანან თავის მოთხოვნებზე.

საბინაო პირობების გაუმჯობესებისა, პროფკავშირების და მუშათა ორგანიზაციების ცნობის მოთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნა, განურჩევლად კასტისა და სარწმუნოებისა, მოწმობს იმას, რომ ინდოელი მუშის შეგნება ძალზე გაიზარდა მას შემდეგ, რაც ის ჩაება ინდოეთის ბურჟუაზიის მიერ ჩამოყალიბებულ ნაციონალურ მოძრაობაში.

ინგლისის მთავრობა ცდილობს ასეთ პროფკავშირებში თავისი აგენტები შეაპაროს. მას ყველგან მოეპოება თავისი ხალხი, რომლებიც აბეზღებენ აქტიურ მუშებს, აწყობენ შტრეიკბრეხერობას და შლიან გაფიცვას. გარდა ამისა, ინგლისელები არ ერიდებიან პროვოკაციულ მეთოდებს და სასტიკად ამწვავებენ კასტურ და რელიგიურ შუღლს, რომ დაარღვიონ მუშათა სოლიდარობა და გამოიწვიონ შეტაკება მუშებს შორის.

დასასრულ, ინგლისის მთავრობას პროფესიონალური კავშირების წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი საშუალება მოეპოვება. მან გამოაცხადა პროფკავშირი უკანონო ორგანიზაციად. კანონიერია მხოლოდ ისეთი პროფკავშირი, რომელიც პოლიციის აღრიცხვაზე იმყოფება და რომელსაც ხელწერილი აქვს მიცემული პოლიტიკურ ბრძოლაზე უარის თქმის შესახებ.

ინდოეთში არსებული ყველა პროფესიონალური კავშირი ყალიბდება სხვადასხვანაირი მიზეზით. ინდოეთის პროფესიონალური კავშირების უარყოფითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი რაზმავენ მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მუშებს, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან კავშირების ლიდერების უმრავლესობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს უცოდინარ და ლატაკ მუშათა მასებს. ამ მხრივ უმოქმედონი არიან სრულიად ინდოეთის ისეთი საწარმოო გაერთიანებებიც კი, როგორიცაა რკინისგზელების სრულიად ინდოეთის ფედერაცია, ბომბეის მუშათა ბიურო და სხვა.

მაგრამ ბოლო ხანებში, გაფიცვების ტალღის თანდათანი ზრდის წყალობით, მუშათა კლასის დარაზმვის საქმეში დიდი მიღწევებია. ამას გვიჩვენებს პროფკავშირებისა და მათი წევრების რიცხვის ზრდა. მაგალითად, 1922 წელს ბომბეის პროვინციაში ითვლებოდა 22 კავშირი 57.314 წევრის შემადგენლობით, 1928 წელს კი 94 კავშირი 198.078 წევრის შემადგენლობით; 1929 წ. პირველ ნახევარში იყო უკვე 195 კავშირი 200.325 წევრით. ორგანიზაციაგირნი, კამგარი — ფეიქრების ყველაზე უფრო დევნილი რევოლუციონური კავშირი, გარკვევით საზღვრავს იმ გზას, რომლითაც წავიდა ინდოეთის მუშათა კლასი. მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს.

„კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება ინდოეთში არის პროფკავშირების ორგანიზაცია და საერთოდ მუშების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება“—ასეთი ლოზუნგით შეიქმნა სამეფო კომისია მუშათა საკითხის შესასწავლად ინდოეთში. ამ კომისიის კომპეტენციაში შედის ხელფასის, სოციალური კანონმდებლობის, სამუშაო დღის, ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, ქალისა და ბავშთა შრომის პრობლემები და სხვა. მუშების ორგანიზაციის საქმეში დიდ პასიობას იჩენს პროფკავშირების სრულიად ინდოეთის კონგრესი, რომელმაც აქამდე ვერ შესძლო არსებულ პროფკავშირების გაერთიანებაც კი. პროფკავშირების კონგრესი წარმოიშვა 1920 წელს. თავისი არსებობის პირველ წლებში ის განიცდიდა ნაციონალური კონგრესის გავლენას, რომლის ლიდერებიც მას ხელმძღვანელობდენ და იყენებდენ თავისი მიზნებისათვის. უკანასკნელად, რევოლიუციონური მოძრაობის შენელების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, პროფკავშირთა კონგრესი კვლავ იღებს მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და **აქტიური ხასიათის გადაწყვეტილებები გამოაქვს**. თავისი შემთანხმებლური პოლიტიკით პროფკავშირების კონგრესს არა ერთხელ გაუცია მუშები, რომ თავიდან აეცილებია ფაბრიკა-ქარხნების პატრონებთან უთანხმოების ჩამოვარდნა. განსაკუთრებული სიცხადით გამომჟღავნდა პროფკავშირების კონგრესის სრული უვარგისობა საგაფიცვო მოძრაობის ახალი ტალღის შემდეგ. 1927 წ. დაწყებული საგაფიცვო მოძრაობა ინდოეთში ძალიან გახშირდა და 1928 წ. შუაში მან იმდენად მძლავრი სახე მიიღო, რომ ბურჟუაზიის მიერ საიმონის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მასთან შედარებით სრულიად უმნიშვნელო გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წ. განმავლობაში, ოფიციალური ცნობების მიხედვით, ინდოეთში მოხდა 213 გაფიცვა 506851 გაფიცულით, 1927 წელს კი—129 გაფიცვა 131.635 გაფიცულით. 1928 წლის განმავლობაში გაცდენილ იქნა 21.647.404 სამუშაო დღე, რაც 1927 წ. 12.019.970 გაცდენილ სამუშაო დღესთან შედარებით 100%-ით ზრდას იძლევა.

გაფიცვების მთავარი მიზეზი იყო კაპიტალის გაძლიერებული შეტევა მუშათა კლასზე. ეს შეტევა ვითომდა შრომის რაციონალიზაციის სახეს ატარებდა. ხელფასის შემცირებამ, ვითომდა ბაზრის სტაბილიზაციის საბაბით, გაამწვავა მდგომარეობა. ბენგალიის რკინისგზელების გაფიცვამ 1927 წელს დასაწყისი მისცა მთელ რიგ გაფიცვებს, რომლებიც ერთიმეორეზე უფრო გრანდიოზული იყო: ბომბეის 10.000 ფეიქრის გაფიცვა, რომელმაც 1927 წლის ბოლოს და 1928 წ. დასაწყისში გამოიწვია ლილოას (აღმოსავლეთ-ინდოეთის რკ. გზა) 14 ათასი რკინისგზელის ლოკაუტი, ფეიქრების ლოკაუტი ჯერინალში, რკინისგზელების გაფიცვა ჯამშედპურში — ტატას წარმოებებში, კალკუტის თვითმართველობის 10.000 მუშის გაფიცვა, ბომბეის ფეიქრების საყოველთაო გაფიცვა და მუშა-მეთუნუქეების გაფიცვა 1929 წ. მთავრობა არ ერიდებოდა დასჯას, დახვრეტას, დატუსაღებას. პროფკავშირთა ბელადები აწარმოებდენ მოლაპარაკებას მუშებთან, გამოქონდათ შემარიგებელი დადგე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნილებები, მაგრამ მუშების განწყობილება, მიუხედავად ყოველგვარი შევიწროებისა, მტკიცე იყო.

საგაფიცვო მოძრაობას, რომელსაც დღეს აქვს ადგილი ინდოეთში, რამდენიმედ სხვანაირი ხასიათი აქვს, ვიდრე 1919-22 წ. მუშების გაფიცვებს. დღეს გაფიცვებს, უპირველეს ყოვლისა, მასიური ხასიათი აქვს, თანაგრძნობის გაფიცვები ედება მთელს რაიონებს და მთავრობას არა ერთხელ ჰქონია საქმე საყოველთაო გაფიცვის მუქარასთან. საგაფიცვო მოძრაობა მოედო მთელს ინდოეთს, მის სულ სხვადასხვა რაიონებს. მასში იღებს მონაწილეობას ყველა მუშა — ორგანიზაციაში გაერთიანებულები და მის გარეთ დარჩენილებიც.

პროფკავშირთა კონგრესის აღმასკომის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არცერთ გაფიცვას არ ჰქონდა ამ ორგანიზაციის სანქცია; იგი იძულებული ხდებოდა მონაწილეობა მიეღო მასში. ეს მონაწილეობა გამოიხატებოდა შემთანხმებელი ბიუროების მოწყობაში და იმის ცდებში, რომ დაემტკიცებიათ ფაბრიკების პატრონების მოქმედების სისწორე. ბურჟუაზიულ ნაციონალისტურმა პრესამ მთელი კამპანია გამართა გაფიცვების შეწყვეტისათვის იმ აზრით, რომ ისინი ხელს უწყობდენ უცხოელების გაძლიერებას ინდოეთის ბაზრებზე. ფეიქრების გაფიცვის 2 თვის პერიოდში იაპონიამ შემოიტანა ქსოვილების 20 ათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი კიპით მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ. ინგლისმა რომ ისარგებლა კრიზისით, ამაზე ლაპარაკიც მეტია.

ინტერესთა წინააღმდეგობამ პროლეტარიატსა და მეფაბრიკეებს შორის, მუშებსა და პროფკავშირთა ლიდერებს შორის და, ბოლოს, თვით პროფკავშირთა ლიდერებს შორის გამოიწვია ამ ჯგუფების ურთიერთობის გამწვავება.

პროფკავშირების მემარჯვენე ხელმძღვანელთა საწინააღმდეგოდ მემარცხენე ლიდერები ყოველ ღონეს ხმაროობდენ იმის დასამტკიცებლად, რომ მეფაბრიკეების იძულება შესაძლებელი გახდება მხოლოდ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით. მემარცხენე ბელადების მიერ მოწვეულ მიტინგებს მუშები ათასობით ესწრებიან. მუშათა კლასის ახალი ბელადები თვითონ პროლეტარული წრეებიდან არიან გამოსული და უმრავლეს შემთხვევაში ეკუთვნიან ან კომუნისტურ ან მუშათა და გლეხთა პარტიას.

კომინტერნის მე VI კონგრესმა დასახა ის გზა, რომლითაც უნდა წავიდეს ინდოეთის ჯერ კიდევ ახალგაზრდა კომუნისტური პარტია. ინდოეთის კომპარტიის ძირითად ამოცანად უნდა გახდეს ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ: ქვეყნის განთავისუფლებისათვის, ფეოდალიზმის ყველა ნაშთის მოსპობისათვის, აგრარული რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბჭოთა რესპუბლიკის სახით. ყველა კომუნისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფის და მთელს ინდოეთში გაფანტულ ცალკე კომუნისტების შეკავშირება ერთ მთლიან არალეგალურ, დამოუკიდებელ და ცენტრალიზაციაქმნილ პარტიაში — აი ინდოეთის კომუნისტების პირველი ამოცანა. პარტიის ორკლასობრივ საფუძვლის პრინციპზე მშენებლობის უარყოფასთან ერთად, კომუნისტებმა საკუთარი პარტიის გასაძლიერებლად უნდა გამოიყენონ მუშურ-გლეხური პარტიის არსებული კავშირი მშრომელ მასებთან. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ პროლეტარიატის ჰეგემონიის განხორციელება არ შეიძლება მტკიცედ შეკავშირებული და მარქსიზმის თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის გარეშე. კომპარტიის აგიტაცია დაკავშირებული უნდა იყოს მუშების უახლოეს მოთხოვნილებებთან, იმ მიზნების განმარტებასთან ერთად. აუცილებელია წარმოებებთან უჯრედების ჩამოყალიბება, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა მოძრაობაში, გაფიცვების და პოლიტიკური გამოსვლების მოწყობა-გატარებაში. კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა მიაქციონ ყურადღება მუშებისაგან ხელმძღვანელი პარტიული კადრის მომზადებას.

კომინტერნის პროგრამის თანახმად, ინდოეთის კომუნისტებმა პროფკავშირებში უნდა აწარმოონ ნაციონალ-რეფორმისტული ბელადების ულმობელი მხილება, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფკავშირთა პროლეტარიატის ნამდვილ კლასობრივ ორგანიზაციად გადაქცევისათვის, რეფორმისტული ხელმძღვანელობის გამოსაცვლელად მუშათა მასების გამოწვრთვნილ და საიმედო რევოლიუციონური წარმომადგენლებით. პარტიის დასაყრდენი პუნქტები პროფკავშირებში უნდა იყოს კომუნისტური ფრაქციები და კომუნისტებისა და მათ თანამგრძნობთაგან შემდგარი ჯგუფები. აუცილებელია მიმდინარე საგაფიცვო ტალღის გამოყენება დაურაზმავი მუშების ორგანიზაციებში ჩასაბმელად.

გლეხობისა და გლეხური ორგანიზაციების მიმართ ინდოეთის კომუნისტების წინაშე პირველ რიგში წამოჭრილია ამოცანა, რომ იმათ გააცნონ გლეხობის ფართო მასებს პარტიის საერთო მოთხოვნილებანი აგრარულ საკითხში, რისთვისაც პარტიამ უნდა დაამუშაოს მოქმედების აგრარული პროგრამა. სოფელთან დაკავშირებული მუშების საშუალებით და აგრეთვე უშუალოდ კომუნისტებმა უნდა გააძლიეროონ გლეხობის ბრძოლა ნაწილობრივ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და ამ ბრძოლის პროცესში მოაწყონ გლეხთა კავშირები. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭიროა, რომ ახლად შექმნილი გლეხური ორგანიზაციები არ მოექცენ სოფლის ექსპლოატატორული ფენების გავლენის ქვეშ. გლეხთა არსებულმა კავშირებმა უნდა გამოიმუშაონ კონკრეტულ მოთხოვნილებათა გარკვეული პროგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭა. კომუნისტებმა გლეხთა გამოსვლებს უნდა დაუჭირონ მხარი მუშების დემონსტრაციებით ქალაქად.

უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტებმა არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა სთქვან იმ მასიური ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ოპორტუნისტული და რეფორმისტული ტაქტიკის პირდაპირ კრიტიკაზე, რომლებშიაც მუშაობენ. კომუნისტური პარტიის მთელ რიგ წევრებს მიეცა დავალება შევიდენ პროფკავშირთა კონგრესის და მუშათა ცალკე ორგანიზაციების შემადგენლობაში, რათა მის შიგნით მოაწყონ კომუნისტური ფრაქციები. ასეთი პოლიტიკის მიზანია პროფკავშირების და მთლიანად კონგრესის ბურჟუაზიული ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლა და მემარცხენე ფრთის შექმნა, რომელიც დღეს მუშებს უდიდეს დახმარებას უწევს.

კომუნისტური პარტია ერთის მხრივ და მუშათა და გლეხთა პარტია. მეორეს მხრივ, დიდ ორგანიზაციულ როლს თამაშობენ დღეს მუშათა მოძრაობაში.

მუშათა და გლეხთა პარტია დიდი ხანი არაა, რაც არსებობს. ოფიციალურად მისი არსებობა ცნობილი გახდა მხოლოდ 1927 წელს. პირველად გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა ბომბეიში, კალკუტაში და სხვა ქალაქებში მუშათა და გლეხთა პარტიის ორგანიზაციების დაარსების შესახებ კლასობრივი პროგრამით და შემდეგი პლატფორმით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. პარტია მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცავს მუშებისა და გლეხების ინტერესებს.

2. არსებული მთავრობა უნდა დაემხოს და მთელი ძალა-უფლება მუშებს და გლეხებს გადაეცეს.

3. პარტიის პროგრამა შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოებით.

ამგვარად, ინდოეთის ნაციონალისტურ მოძრაობაში შევიდა ახალი ძალა, რომელიც მოითხოვს: „იმპერიალიზმისაგან სრულ ნაციონალურ დამოუკიდებლობას და საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დამყარებულ თვითმართველობას“.

1927 წლის ივლისში გამოქვეყნდა მუშათა და გლეხთა პარტიის სრული პროგრამა, ის ხაზს უსვამს ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელის — კონგრესის — მოწყვეტას მასებისაგან, მის მიერ მსხვილი კაპიტალისტების, მათი მოკავშირე მდიდარი ინტელიგენციის და მდიდარი პროფესიონალების ინტერესების დაცვას. ერთად-ერთ უტყუარ საშუალებად ინდოეთის ხალხის განთავისუფლებისათვის პარტიას მიაჩნია პირდაპირი მოქმედება, რისთვისაც უნდა დაირაზმოს მთელი მოსახლეობა, დაწყებული სოფლის მოსახლეობიდან. „მთავრობა უნდა იძულებული იქნეს, — ნათქვამია პროგრამის მე-XV პარაგრაფში, — შექმნას ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი პროგრამის განხორციელებას, მასების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფხიზლებას და კლასობრივად შეგნებული ძალების ორგანიზაციას. ამასთანავე აუცილებელია ვაიძულოთ მთავრობა დაუყოვნებლივ, გაატაროს შემდგომი პოლიტიკური რეფორმები. მთავრობასთან ბრძოლის ნაყოფიერების მიზნით აუცილებელია რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, კავშირის სხვა საშუალებები, ტრანსპორტი და სხვა—ძლიერი პროფესიონალური კავშირების კონტროლის ქვეშ მოექცეს. ასეთი კონტროლის დამყარების შემდეგ, საყოველთაო გაფიცვის მუქარით, აუცილებელია მოთხოვნილ იქნას მთავრობისაგან შემდგომი პოლიტიკური რეფორმების გატარება".

მუშათა და გლეხთა პარტიაში, რომლის განყოფილებებით მოფენილია მთელი ინდოეთი, მუშებსა და გლეხებს გარდა შედიან წვრილბურჟუაზიული და ინტელიგენციის წრიდან გამოსული ელემენტები. პარტიის აგრარული პროგრამა ძალიან ბუნდოვანია და ანგარიშს არ უწევს იმ პროცესებს, რომელიც დღეს ინდოეთში ხდება. ამის შედეგად პარტიამ ვერ შესძლო დაერაზმა რევოლუციონური გლეხური მოძრაობა. უკანასკნელ დროს მთელ რიგ პროვინციებში პარტიამ ვერ გამოიჩინა უნარი სათავეში ჩასდგომოდა გლეხობას და ზოგან ადგილი ჰქონდა მისი აგიტატორების ნაციონალისტების განკარგულებაში გადაცემასაც კი. მუშათა და გლეხთა პარტიის სრულიად ინდოეთის კონფერენციის რეზოლუციას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგრარულ საკითხზე, სვარჯისტების მსგავსად, წმინდა ფილანტროპიული ხასიათი აქვს. ინდოეთის კომუნისტები მიისწრაფვიან ანტიბრიტანული რევოლუციონური ბლოკის შექმნისაკენ ყველა მშრომელისაგან ინდოეთში, მაგრამ ამავე დროს ახლა იღებენ კურსს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის განვითარებაზე. იგი მიიღებს მონაწილეობას მუშათა და გლეხთა პარტიის მუშაობაში იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნება ინდოეთის და ინგლისის ბურჟუაზიის ცალკე ჯგუფებს შორის კონფლიქტის გამოსაყენებლად. ამავე დროს ის გამოვა სრულიად დამოუკიდებლად, როგორც ინდოეთის ყველაზე მოწინავე, დარაზმული კლასის ავანგარდი.

ინდოეთის თანამედროვე მდგომარეობამ აუცილებელი გახადა ე. წ. პროგრამა-მინიმუმის გამომუშავება ამ ქვეყნისათვის. ამ პროგრამის მთავარი პუნქტები შემდეგია: 1. სრული ნაციონალური დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე; 2. მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება; 3. მიწის საიჯარო გადასახადის შემცირება, არაპირდაპირი გადასახადის შემცირება და გადიდება პროგრესიულ გადასახადისა შემოსავლის მიხედვით; 4. თანამედროვე ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობაში; 5. საზოგადოებრივი მნიშვნელობის წარმოებათა ნაციონალიზაცია; 6. ქვეყნის ინდუსტრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზაცია მთავრობის დახმარებით; 7. რვა საათის სამუშაო დღე და ხელფასის მინიმუმის შემოღება.

ინდოეთის ნაციონალურ მოძრაობაში ახალი ძალის — პროლეტარიატის — გამოსვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ მოძრაობის გამარჯვებას. ინდოეთის ხალხის კლასობრივი შეგნება თუმცა ჩქარი ტემპით იზრდება, მაგრამ სტიქიურ ხასიათს ატარებს. კომუნისტური პარტია და მუშათა და გლეხთა პარტია ძლიერ ახალგაზრდა და სუსტია, მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმმა საიმონის კომისიის სახით შეიგნო, რომ ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ბურჟუაზიიდან მასებზე. მან შეიგნო, რომ მასები დღეს არ დაკმაყოფილდებიან იმ პასიური როლით, რომელიც მათ მიაკუთვნა ბურჟუაზიამ 1920 წელს. ამიტომ საიმონი არა თუ არ ლაპარაკობდა რაიმე დათმობაზე ბურჟუაზიის მიმართ, არამედ ხანდახან მუქარის ტონითაც კი აცხადებდა, რომ არამც თუ შემდგომი რეფორმების გატარება, არამედ საჭიროა იმ მდგომარეობისკენ დაბრუნება, რომელიც 1919 წ. იყო. მან იცოდა, რომ ინდოეთის ბურჟუაზია მისი მოკავშირეების რიგებში ჩადგებოდა, რათა მასთან ერთად აწარმოოს ბრძოლა ინდოეთის ხალხის წინააღმდეგ. მისი აზრი სავსებით გამართლდა: ინდოეთში მეორედ ჩასვლის დროს საპროტესტო დემონსტრაციებს აწყობდენ მხოლოდ და მხოლოდ მუშები; ბურჟუაზია კი კმაყოფილდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა ეფექტიანი სამგლოვიარო გამოსვლებით. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ საშუალება არ მისცეს ინგლისს გამოიყენოს მასის სუსტი მხარეები, საშუალება არ მისცეს პროვოკაციული მეთოდებით დაარღვიოს მისი მთლიანობა, დათესოს შუღლი და რელიგიური მტრობა.

როგორც ჩანს, მან უკვე შესძლო ამ მიმართულებით ცოტა რამის გაკეთება; 1929 წ. ივლისში „მანჩესტერ გარდიანი" სწერდა: „მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, ბომბეისა და კალკუტაში, მეორე ხარისხოვან სამრეწველო ქალაქებშიაც კი, როგორიცაა კაუნპორი, ახმედაბადი, შალაპური, კომუნისტების გავლენა იზრდება. მთელი რიგი გაფიცვები და არეულობანი ამ ქალაქებში მოწმობენ კომუნისტური საფრთხის ზრდას".

ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს ცდები — თავის მხარეზე გადაიყვანოს ინდოეთის პროფკავშირები და დაუპირისპიროს ის ნაციონალურ მოძრაობას, ამტკიცებს ჩვენს აზრს იმ ახალი გზის შესახებ, რომელზედაც დადგა ინდოეთის მუშათა მოძრაობა. ინგლისი შეშინდა და ინდოეთში გაგზავნა პერსელი და ხოლსუორტი. ამის შესახებ აი რას სწერს ნაციონალური მოძრაობის მემარცხენე ფრთის კალკუტის გაზეთი „ფორუორდი": „ინგლისის მუშათა ბელადები უკმაყოფილონი არიან ინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოელი მუშების მებრძოლი სულიერი განწყობილებით. იმათ გადასწყვიტეს ინდოეთის პროფესიონალური მოძრაობა პოლიტიკური გახადონ და ჩამოაცილონ ინდოეთის ნაციონალურ მოძრაობას. მიღებული ცნობებით, გენერალულმა საბჭომ შესაფერი ხელშეკრულებები დასდო ინდოელ მუშა ბელადებთან. უახლოეს ხანში ინგლისიდან იქნება გამოგზავნილი დახმარება ინდოეთის პროფკავშირებისათვის, რის შემდეგაც წამოყენებულ იქნება მოთხოვნა, რომ პროფკავშირებმა კავშირი გასწყვიტონ ნაციონალური მოძრაობის ბელადებთან, რადგანაც უკანასკნელები სუბსიდიებს იღებენ ინდოელ კაპიტალისტებისაგან".

ინგლისის მთავრობამ ალლო აუღო ინდოელ მუშების ახალ განწყობილებას და მიმართა თავის ჩვეულებრივ მანევრს: „დაანაწილე და იბატონე". მიუხედავად ამისა, მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბრძოლაში. ყველაზე რევოლუციონური პროფკავშირები მოხსენებულნი არ არიან მთავრობის არცერთ სიაში. სწორედ მათ აქვთ ყველაზე მეტი მნიშვნელობა მასების რევოლუციონური დარაზმვისათვის. ახალმა, მემარცხენე პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მუშაობა შეუფარდეს პოლიციური რეპრესიების პირობებს,—მათ აქვთ არალეგალური ხასიათი და ცნობები მათ შესახებ, მხოლოდ დროგამოშვებით თუ ამოტივტივდება რომელიმე კარგად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩატარებული გაფიცვის, ან მწარმოებელთა თვითნებობისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ.

ინდოეთის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში დღეს ადგილი აქვს შემაძრწუნებელ სოციალურ წინააღმდეგობებს. ქალაქის განაპირა უბნებში ცხოვრობენ პირველყოფილი ცხოვრების წარმომადგენლები. თიხისა ან სილისაგან გაკეთებულ ბინძურ ქოხმახებში, ან კიდევ გამოქვაბულებში ცხოველებთან ერთად ცხოვრობენ შავი მუშები და ქალაქის ღატაკნი. ძველი ქალაქის მოედნებზე წყაროსავით გადმოქუხს საშუალო საუკუნეების მრავალფეროვანი ცხოვრება, ხელუხლებელი თანამედროობის მიერ. ფაბრიკებისა და ქარხნების მაგალითზე, განსაკუთრებით იმათზე, რომლებიც ინდოელებს ეკუთვნისთ, დღესაც შეიძლება დავინახოთ, თუ რას წარმოადგენდა კაპიტალიზმის ადრინდელი ცხოვრება, მისი პირველი ნაბიჯები. მეფაბრიკეებს საქმე აქვთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რომელთაც ერთგვარი ზიზღით უცქერის როგორც საზღვარგარეთელი, ისე ადგილობრივი ბურჟუაზია. ამის გვერდით ვითარდება მსხვილი კაპიტალიზმი, თავისი მანქანებით, რკინის გზებით და ქალაქების მშენებლობით. მას გვერდს უმშვენებს ცივილიზაცია, რომელსაც დაკავებული აქვს ფუფუნებით მორთული სახლები და ოტელები. ისინი განსხვავდებიან ლონდონის ოტელებისაგან მხოლოდ იმით, რომ მათ შესავალთან, უმშვენიერეს ქანდაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა კიბეებზე, ქუჩებზე ღამეს ათევენ არა თეთრი, არამედ შავკანიანი მუშები. ღამე იმდენად თბილია, რომ მათ არ სჭირდებათ ფიქრი თბილ ძონძებზე — სიცივისა და სინესტისაგან დასაფარავად. საკმაოა მხოლოდ თავიდან მოიძრონ ჭუჭყიანი ნარმა, რომ მთელი ღამე მშვიდად იძინონ.

ღამით რაუტებიდან დაბრუნებული ინგლისელი ლედი და ჯენტლმენები, იქიდანვე მომავალი ადგილობრივი მდიდარი კომერსანტები, მეფაბრიკენი და თავადები ნაკლებ ამაყი სახით სანტიმენტალურად ამოიოხრებენ ქვებზე გაწოლილ შავი სხეულების დანახვაზე: „ბედნიერები, მათ არ იციან რა არის უძილობა, ისინი მიეჩვიენ ღორულ ცხოვრებას, მათ სხვა არაფერი უნდათ“. ბრწყინვალე ჯენტლმენები სცდებიან: უმეცარი ინდოელი მუშები ყოველდღიურად სწავლობენ მას, თუ როგორ გააუმჯობესონ თავისი ცხოვრება.

დასკვნა

ინდოეთსა და ჩინეთშიც ხოვრობს მთელი დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ხალხთა ეს გიგანტური მასა იწყებს აღმოსავლეთის გაქვავებულ და უძრავი მდგომარეობიდან განთავისუფლებას კაპიტალიზმის რევოლუციონური მოქმედების ზეგავლენით. ინდოეთის მოსახლეობა, ისე, როგორც ჩინეთისა, იყოფა თანამედროვე, კაპიტალისტურ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყნებისათვის ტიპიურ საზოგადოებრივ კლასებად. ფერადკანიანი ინდოელების უფორმო სტიქიური მასის ადგილზე კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე გამოდიან რევოლუციონური კლასები, რომლებიც ირაზმებიან და იგნებენ თავის კლასობრივ ინტერესებს. მანამდე, სანამ კაპიტალიზმი პროგრესიული ძალა იყო, სანამ ის ანვითარებდა საწარმოო ძალებს და ტექნიკას,—ინდოეთი წარმოადგენდა ინგლისის ბურჟუაზიის კეთილდღეობის საფუძველს. სულ ბოლოს იმპერიალისტური ომის დროს ინდოეთმა ნებსით თუ უნებლიედ ხელი შეუწყო ბრიტანეთის ძლიერების ზრდას, რადგანაც ინგლისი გამოვიდა ომიდან გამარჯვებული ინდოეთის ფინანსებისა და ინდოელ ჯარისკაცთა კონტინგენტის ხარჯზე.

მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა. ამ ცვლილებათა გავლენა საგრძნობია უკვე დღეს და ყოველწლიურად უფრო და უფრო გამოამჟღავნებს თავის თავს: ინგლისის იმპერიალიზმი დაექანა ძირს, იხრწნება, ლპება უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა ქვეყნების კაპიტალიზმი და ამავე დროს ინდოეთი ინგლისის კეთილდღეობის შემქმნელ ქვეყნიდან გადაიქცა უძლიერეს ძალად, რომელიც დაშლით ემუქრება მსოფლიო კაპიტალიზმს.

ინგლისის კაპიტალისტებმა იციან, რომ ინდოეთის ნედლეულის და გასაღების ბაზრის დაკარგვა გამოიწვევს კატასტროფას მსოფლიო მასშტაბით და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის პოლიტიკურ ძალა-უფლებას მიმართავს ინდოეთის მრეწველობის დასახმობად. იმათ აუკრძალეს ინდოეთის ბურჟუაზიას სარკინისგზო მშენებლობაში მონაწილეობა და ხშირად დაკვეთებს რკინის გზის ვაგონებზე გზავნიან საზღვარგარეთ ანუ ინგლისში. ინდოელ მეფაბრიკეებს არ აძლევენ სესხს, რომ შეგორკონ ადგილობრივი მრეწველობა და ამასთანავე რუპის კურსის ხელოვნური აწევა ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის ინგლისელი მრეწველებისათვის.

ინდოეთის ბურჟუაზიას, ერთის მხრივ, არ შეუძლია ამ მდგომარეობას შეეგუოს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ინდოეთის პროლეტარიატის ბრძოლის გარკვეული კლასობრივი ხასიათის გამო, ამ ბურჟუაზიის როლი თანდათან შემთანხმებლური ხდება. ინდოეთის პროლეტარიატის ბრძოლაში ჩაბმულია გლეხობა და პლანტაციებში მომუშავე მოჯამაგირე გლეხები. ეს ბრძოლა სულ უფრო დარაზმულ ხასიათს იღებს და პროლეტარიატი სულ უფრო მეტი ნდობით უყურებს ინდოელ კომუნისტ ბელადებს.

ინდოეთის ბურჟუაზია ინგლისის იმპერიალიზმთან ხელი-ხელჩაკიდებული იბრძვის მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ინდოეთის ბურჟუაზიის იძულებითი ზეგავლენით ინგლისი სცემს მთელ რიგ კანონებს კომუნისტური პარტიისა და საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ. ინგლისის იმპერიალისტები ცდილობენ ძირ-ფესვიანად აღმოფხვრან კომუნისტების გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა მუშათა მასებში და აძლიერებენ მათ წინააღმ-
დეგ რეპრესიულ ზომებს. ამ პოლიტიკის შედეგი იყო
1929 წ. 20 მარტის გრანდიოზული თავდასხმა ინ-
დოელ კომუნისტებზე, მუშათა და გლეხთა პარტიის
წევრებზე და აქტიურ პროფესიონალურ მოღვაწეებზე
ინდოეთის მთავარ ქალაქებში: კალკუტასა, ბომბე-
ი‍ში, ალახაბადში, ლუკნოვსა, პუნსა, დაკკესა და
ლაგორში.

„ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსის
121 მუხლით შეიარაღებულნი, — აღტაცებით სწე-
რენ ინგლისური გაზეთები, — პოლიციელები და
ინგლის-ინდოეთის ქვეითა ჯარის ნაწილები, სრული
საიდუმლოების დაცვით 20 მარტს დილაადრიან
გარს შემოერტყენ შემჩნეულ სახლებს და ხელი მი-
ჰყვეს ჩხრეკას და დატუსაღებას“. 121 მუხლი ლაპა-
რაკობს: „ბრიტანეთის ინდოეთში ან მის გარეთ
შეთქმულობის მოწყობა, ინდოეთზე, ან მის რომე-
ლიმე ნაწილზე მეფის სუვერენიტეტის წართმევის
მიზნით, ან მოღალატური მოქმედებების გზით შე-
თქმულებებში მონაწილე ისჯება სამუდამო ან
განსაზღვრული დროით გადასახლებით ან დაპატიმ-
რებით 10 წლამდე“. ამ საფუძველზე დატუსაღებულ
იქნა რამდენიმე ათეული კომუნისტი, მუშათა და
გლეხთა პარტიის წევრები, პროფკავშირთა ბელადები,
რომლებიც შემჩნეული იყვნენ კომუნისტურ საქმია-
ნობაში. მარტო ერთ ბომბეიში მოხდა 120 გაჩხრეკა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მუშათა პროფკავშირების, ახალგაზრდობის ლიგის ბინებზე, სტამბებზე და რედაქციებზე თავდასხმას.

ათასი მილის მანძილზე კალკუტამდე და დაკამდე აღმოსავლეთით, ალახაბადიდან ლეკნოვამდე ჩრდილოეთით უდიდესი ტერიტორიის სივრცეზე მოხდა ეს თავდასხმა მუშათა ორგანიზაციებზე და მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ ელემენტებზე. ტუსაღები წაიყვანეს მეირუტში. მათ უმზადებენ გრანდიოზულ გასამართლებას.

როგორ შეხვდენ ამ ამბებს მუშები?

რკინისგზელთა კავშირის საოლქო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ დატუსაღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მისი წევრები არ გამოვლენ სამუშაოზე. ამ დადგენილების თანახმად 5 ათასი მუშა არ გასულა სამუშაოზე. პოლიციის თავდასხმის შედეგად ბომბეიში შეჩერდა 14 ფაბრიკის მუშაობა, მთელი საფაბრიკო რაიონი გარშემორტყმული იყო პოლიციელებით, გაიფიცა 30 ათასი მუშა და სხვა. ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები გაფიცვების შესახებ. იქ ინგლისის კომპარტია თავის დეკლარაციაში პროტესტების შესახებ აცხადებს: „დაპატიმრებანი ნიშნავს გამოფხიზლებულ ინდოელ მუშების მოძრაობის წინააღმდეგ გრანდიოზული თავდასხმის დასაწყისს. დაპატიმრებულთა მთელი დანაშაული მასში მდგომარეობს, რომ იმათ თვალები აუხილეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონ მშივრებს, დაუმტკიცეს მასებს, რომ უცხოეთის კაპიტალიზმის ტანჯვისაგან განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ ისეთ მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ თვით მუშები. მუშათა და გლეხთა მოძრაობაზე თავდასხმა ინდოეთში, სადაც ინგლისის კაპიტალის ბრჭყალებში იმყოფება 300 მილიონი ხალხი, წარმოადგენს ინგლისის პროლეტარიატის რიცხვობრივად ყველაზე დიდ მოკავშირეზე თავდასხმას. ეს თავდასხმა ხდება იმ დროს, როცა ინგლისის მუშათა პარტია თანამშრომლობს ინგლისის იმპერიალიზმთან საიმონის კომისიაში, რომ გააძლიეროს ინდოელი ხალხის ტანჯვა. თეთრი ტერორი, რომელიც ახლაა მიმართული ინდოეთის მშრომელთა წინააღმდეგ, ამჟღავნებს ინგლისის მუშათა პარტიის ჭეშმარიტ სახეს. დღევანდელი თავდასხმის აზრი მდგომარეობს მასში, რომ კონსერვატიული მთავრობა საჭიროებს რაიმე „წითელ საფრთხობელას“ საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების დროს“

აზიის საშიშროება დიდი ხანია დგას ბურჟუაზულ პოლიტიკოსების წინაშე. ჩვეულებრივად ის წარმოდგენილი ჰქონდათ შეიარაღებული ფერადკანიანების ურდოების სახით, რომლებიც მიისწრაფვებიან ევროპის ცივილიზაციის საფუძვლების დანგრევისაკენ. ინდოეთის ნამდვილი რევოლუციონური ძალები კი თავის დანიშნულებას ხედავენ არა „შეიარაღებულ ინტერვენციაში“, არამედ კლასობრივ ბრძოლაში, პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტარიატის ბრძოლაში გლეხობასთან ერთად მსოფლიო ბურჟუაზიის, და არა მხოლოდ ნაციონალური ინგლისის ან ინდოეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ინდოეთის რევოლუციონური ძალები შესდგება ოთხი სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისაგან, რომლებიც ხანდახან ერთდებიან და ჰქმნიან მთლიანი ნაციონალური ოპოზიციის ილუზიას ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. ეს ძალებია: ნაციონალურად განწყობილი მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია (კონგრესის მემარცხენე ფრთა), გლეხობის მასიური, ჯერ კიდევ აქტიური მოძრაობა და კლასობრივად დარაზმული' კლასობრივად შეგნებული პროლეტარული მასები.

სოციალურ დაჯგუფებათა კრისტალიზაცია წმინდა ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, კლასობრივი ინტერესების ნიშნის ქვეშ სწარმოებს ნაციონალისტური ილუზიების, რელიგიური მტრობის, კასტური ცრუმორწმუნეობისა და ილუზიების, ინგლისთან ბრძოლაში ბურჟუაზიის და პროლეტარიატის კოალიციის აღმოფხვრასთან ერთად.

ამჟამად რევოლუციონური მოძრაობის განვითარება ინდოეთში იმყოფება იმ ფაზისში, როცა მსხვილი ბურჟუაზია გამოდის ბრძოლიდან, უარს ამბობს ინგლისელებთან ბრძოლაზე და მჭიდრო ბლოკში შედის ინგლისის ბურჟუაზიასთან. დროებითი შეთანხმება, რასაც ადგილი ჰქონდა მუშებსა, გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებსა, და ბურჟუაზიას შორის, უკვე ლიკვიდაციაქმნილია. ინდოეთის ბურჟუაზია პირდაპირ ბრძოლას აწარმოებს მუშათა ორგანიზაციების და გლეხთა კავშირების წინააღმდეგ. წვრილბურჟუაზიული მოძრაობა ებრძვის ინგლისის იმპერიალიზმს, ცდილობს მასების დარაზმვას, მაგრამ ყოველ წუთს მზადაა დასტოვოს თავისი დღევანდელი პოზიციები. ამგვარად რჩება მხოლოდ ორი რევოლუციონური ძალა: გლეხობა, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად, პროლეტარიატის ხელმძღვანელობის გარეშე რევოლუციონური როლის თამაში და პროლეტარიატი, რომელსაც თავის მხრივ არ შეუძლია რევოლუციის მოხდენა გლეხობასთან კავშირის გარეშე,

ინდოეთის გლეხობა გაპროლეტარებულია კაპიტალიზმისაგან. ინდოეთის სოფელში თითქმის არ მოიპოვება ისეთი ნოციონალური ჯგუფები, რომელთაც კაპიტალისტური ელემენტებისა და ყერძო მესაკუთრეთა საქონლის მწარმოებელ მეურნეობის საფუძვლების შექმნა შეეძლოთ. კულაკობა ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია. უმიწაწყლო, გაღატაკებულ ინდოელ გლეხობას სხვა რევოლუციონური გზა არა აქვს, თუ არა პროლეტარიატთან კლასობრივ სოლიდარობის გზა, გლეხობის რევოლუციონური ორგანიზაციები პენჯაფში, რომელსაც მთავრობა დატუსაღებით და პროცესებით უმასპინძლდება, იმის შესახებ ლაპარაკობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ინდოეთის პროლეტარიატმა უკვე გამოაფხიზლა გლეხთა მასები.

უკანასკნელი ათი წლის რევოლუციონურმა გამოცდილებამ მაღლა ასწია მისი შეგნება და აქტივობა. ინდოეთის პროლეტარები ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობისაგან, კოალიციის ილუზიებისაგან, კასტური ნაშთებისაგან, რელიგიური გავლენისაგან, რაც ბრძოლას ბადებს არა მასსა და ბურჟუაზიას შორის, არამედ მუსულმანებსა და ინდოელებს შორის. ამას უნდა დაემატოს პროფკავშირების შემთანხმებელი ბელადების გავლენა, რომლებიც ატარებენ ინდოეთში ტიპიურ ინგლისურ ტრედ-უნიონისტულ მეთოდებს და პოლიტიკას.

სუბიექტურად ინდოეთის პროლეტარები ჯერ კიდევ არ მომწიფებულან დამოუკიდებელ რევოლუციისათვის, ჰეგემონის როლისათვის, რომელიც სათავეში უდგია გლეხობას. მაგრამ რევოლუციის ობიექტური პირობები მწიფდება ინდოეთში უფრო ჩქარი ნაბიჯით, ვიდრე ჩინეთში. მრეწველობის ზრდა, კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და გლეხობის გაღატაკების ტემპების სწრაფი ზრდა, მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნა მსხვილ მრეწველობის გავლენით—ერთის მხრივ, და უკანასკნელი წლების წელი, განუწყვეტელი სამრეწველო კრიზისი მეორეს მხრივ—წარმოადგენენ ინდოეთის ისტორიაში გარდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალ საფეხურს და იწვევენ ეკონომიურ ურთიერთობათა გარდაქმნას და სოციალურ ძალთა გადაჯგუფებას.

ბრიტანეთის და ინდოეთის განვითარება ორმხრივი პროცესია, და არ შეიძლება გაგებულ იქნეს ინდოეთის ევოლუცია, თუ არ გავითვალისწინებთ ინგლისის განვითარებას. დღეს პირობები ისე ეწყობა, რომ ინგლისის მრეწველობის დაქვეითებას და ინგლისის ბურჟუაზიის სიძლიერის დაცემას თან ერთვის შესაფერი პროცესები ინდოეთში. კაპიტალიზმი უძლურდება, მაგრამ მის მიერ გამოწვეული შევიწროება უფრო მტანჯავ ხასიათს იღებს, რომელიც შესაფერ რევოლუციონურ წინააღმეგობას ჰბადებს.

თანამედროვე ინდოეთი იძლევა კოლონიის კაპიტალისტური განვითარების ნამდვილ სურათს. კაპიტალისტური ექსპლოატაციის სპეციფიური კოლონიალური ფორმები საბოლოო ანგარიშში აფერხებენ კოლონიის საწარმოო ძალების განვითარებას. ჩვენ ვხედავთ, რომ ინდოეთში ტარდება მშენებლობის მინიმუმი (რკინის გზები, ნავსადგურები და სხვა), რაც აუცილებელია სამხედრო ბატონობისათვის ქვეყანაში, საგადასახადო წესის შეუწყვეტელი მოქმედების უზრუნველსაყოფად და იმპერიალისტური ქვეყნის ვაჭრობის საჭიროებისათვის.

სოფლის მეურნეობა უმთავრესად ემსახურება ექსპორტს, მაგრამ ამით გლეხური მეურნეობა სრულებით არ თავისუფლდება წინა კაპიტალისტურ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთებისაგან, რომლებიც იმონებენ მას. გლეხობის ექსპლოატაცია ძლიერდება, მაგრამ მისი საწარმოო მეთოდები ისევ ძველი რჩება. საერთოდ კოლონიალური ნედლეულის დამუშავება ხდება არა თვითონ ინდოეთში, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებში, და პირველ ყოვლისა ინგლისში; ინდოეთში მიღებული მოგება არ იხარჯება ნაყოფიერად, ის გააქვთ ინდოეთიდან ინგლისში, ან ინგლისის იმპერიალიზმის ექსპლოატაციის ახალ სფეროში.

ამგვარად, ინდოეთში, ისე, როგორც სხვა კოლონიებში, იმპერიალისტური ექსპლოატაციის ძირითადი ტენდენცია მოქმედობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შეჩერების და ბუნებრივ სიმდიდრეთა გაძარცვის მიმართულებით. ამის შედეგად ინდოეთი იძულებულია შესწიროს თავისი დამოუკიდებელი განვითარების ინტერესები და იქცეს უცხოეთის კაპიტალიზმის აგრარულ დამატებად, რომ თავისი მშრომელი კლასების ხარჯზე განამტკიცოს ინგლისის ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ძალა-უფლება. ვაჭრობის განვითარებამ შექმნა ადგილობრივი სავაჭრო ბურჟუაზია, რომელიც ასრულებს აგრეთვე მევახშის ფუნქციებს. შინაური ბაზრისათვის ბრძოლაში ნაციონალური კაპიტალი წინ ეჩეხება საზღვარგარეთიდან ინდოეთში შემოტანილი კაპიტალის კონკურენციას და სოფლის არსებულ წინაკაპიტალისტურ ურთიერთობათა დამაბრკოლებელ მოქმე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებას. საზღვარგარეთის კაპიტალი, უმთავრესად ინგლისის კაპიტალი, ნაწილობრივ იწვევს სამრეწველო განვითარების დაჩქარებას, მაგრამ არა დამოუკიდებლობის მიმართულებით, არამედ, პირიქით, აძლიერებს ინდოეთის მეურნეობის დამოკიდებულებას ინგლისის ფინანსიური კაპიტალისაგან.

ინდოეთის ეკონომიური განვითარების დახშობისა და შეფერხებისაკენ მიმართული ინგლისის პოლიტიკის შედეგია ის, რომ ინდოეთი წარმოადგენს კოლონიალური განვითარების დამახასიათებელ ქვეყანას, რომელშიაც საწარმოო ძალთა განვითარება ხდება განსაკუთრებული სიძნელით, სპაზმატიურად, ხელოვნურად შეზღუდულ მრეწველობის ცალკე დარგებში.

დამოუკიდებელი განვითარების მუდმივი შეფერხების პოლიტიკა აღრმავებს ინდოელების ანტაგონიზმს ინგლისის იმპერიალიზმთან და იწვევს რევოლუციონურ კრიზისებს, ბოიკოტის მოძრაობას, აჯანყებებს და სხვა.

ერთის მხრივ, ინდოეთის კაპიტალისტური განვითარების ობიექტური წინააღმდეგობანი ძლიერდება, რითაც ღრმავდება წინააღმდეგობა ინდოეთის დამოუკიდებელ განვითარებასა და ინგლისის ბურჟუაზიას შორის, მეორეს მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ახალი ფორმა ბრძოლის ფერხულში აბამს ნამდვილ რევოლუციონურ ძალას — პროლეტარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატს, რომლის გარშემო ირაზმება მრავალმილიონიანი გლეხთა მასები ფინანსიური კაპიტალისათვის ორგანიზაციული წინააღმდეგობის გასაწევად.

მარქსისტული ანალიზი, რომელიც არსებული სინამდვილის შეთვისებიდან გამოდის, რათა ამით კლასთა ბრძოლის მომავალი განვითარების პერსპექტივები გაითვალისწინოს, უკვე დღეს შესაძლებლობას იძლევა ჩაგვახედოს ინდოეთის სოციალურ წყობილებაში და დაგვანახოს მასში კაპიტალიზმის გახრწნის უტყუარი ნიშნები და ინდოეთის — კაპიტალიზმის დამხმარე ძალიდან — მისი დანგრევის ხელშემწყობ ძალად გადაქცევის ნიშნები. ინდოეთის ნაციონალური რევოლუციის საკითხებს გადასწყვეტს სოციალური რევოლუცია.

ინდოეთის განთავისუფლება ინგლისის კაპიტალიზმისაგან იმავე დროს იქნება ინდოეთის მშრომელი მასის განთავისუფლება კაპიტალიზმისაგან საერთოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო და საბავშო ლიტერატურის განყოფილება

ტფილისი, ალმასკომის ქ., 7.

დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები:

გორბატოვი — უჯრედი	ფასი	1	მან.
დ. მესხი — ელექტროტექნიკა	„	40	კაპ.
ვ. ტიხონოვა — ვამბერი	„	50	„
ქარჩავა — პიონეროორგანიზაციების და სკოლების ამოცანები სოფლად	„	40	„
ჯანმრთელობის კომისარიატი — წერილი მოწაფეებს	„	15	„

მცირეწლოვანთათვის

მ. და დ. შევარდნაძეები — მელა-კუდა —	ფასი	უყ. 35 კ.	ყდ. 50 კ.
„ გულწითელა —	„		„
„ თრითინა —	„		„
„ კურდღელი —	„		„
ნ. ნაკაშიძე და სტაროსელსკი — ეზოში		15	„
— ტყეში		15	„
— მინდორში		15	„
— ოთახში		15	„
თ. ერისთავი და თუმანიშვილი — ჯამბაზები		20	„
ბოტანიკური ლოტო		1—50	„
ლოტო		2—50	„

5-ეფერ
ნ 7/939
ეროვნული
ბიბლიოთეკა